ზამთრისათვის ხახვის შენახვა. ხახვს რომ დაკვლევთ, დაწანით გალა (თავები ერთმანეთს მოუქციეთ და ფოზები ერთმანეთში დაწანით), ჩამოპკიდეთ საკუჭნაოში ან სხვენში; შეიძლება აგრეთვე მსხლის ჯაგანივით ასხათ თოკზე და ისე დაკიდოთ მშრალს ადგილას.

ქლიაზის ძორზად შენახვა. ეს ამნაირად შეიძლება: ხეზედვე მოკრივეთ ქლიავი, მწკრივად ჩააწერში, დააყარეთ ზემოდან ფეტვი, მერე კიდევ ქლიავი მწკრივად და აგრე რამდენიც გინდათ; კასრი გაფისეთ და დადგით ყინულზე; ქლიავი ისე დიდხანს არ შეინახება, როგორც ვაშლი და მსხალი.

ბამზრალი ქლიაზი. მწიფე და რამდენიმე ხნის ნაყარი ქლიავი დააწევეთ ჩალა-დაფარებულ თუნექზე და შედგით ნელ დუშელში, გამოიდეთ, გააცივეთ, ისევ შედგით და ასე გაშრობამდე. ამგვარი კერქისაგან აკეთებენ კომბოტებსა და დვეზელებს.

ქლიაზის ჩირი. დამწიფებული შავი ქლიავი დაჭერით შეა-შეა, კურგა გამოაცალეთ, დააწევეთ ხენხაზე და მზეზე დადგით; როდესაც გაახმება, ასხით ბამბის ძაფზე და ბადაგში გაავლეთ, შემდეგ გააშრეთ და შეინახეთ.

კოველი ჩირი ასე უნდა გააკეთოთ ხოლმე.

მსხლის ძორზად შენახვა. 1) ხეზედვე მოკრივეთ მსხალი, ჩააწევეთ ახალ მოკალულ სპილენბის ქვაბში და დადგით ყინულზე; ორ კვირაში ერთხელ იქვე დაწმინდეთ მსხლები და გამოამშრალეთ ქვაბი. 2) თუ ბევრს ინახავთ ერთად, მაშინ ჩაჰქარეთ კასრში, მაგრად მოჰკარით თავი და ჩაფალით ყინულში. 3) მშრალსა და გრილ თაროზე გაშალეთ მშრალივე თივა, ხედ გაამწკრივეთ მსხლები ისე, რომ ერთმანეთს არა ეხებოდეს; თივა მალ-მალ გამოუცვალეთ ხოლმე და მსხლებიც მშრალი ტილოთი წმინდეთ ფრთხილად.

ალუალის სიროპი. აიდეთ დიდი ქილა, ჩაუქარეთ ძირში წმინდად და დანაცილი და გაცრილი შაქარი, ამას ზემოდან დააყარეთ უკურგაო ალუალი ერთხახევარი (1 1/2) ან (2) ორი ამ შაქრის სისქედ, ამას ზემოდან წინანდელის-ტოლა შაქარი, მერე კიდევ ალუბალი და ასე ქილის გავსებამდე, ღლონდ ზემოთა პირი უნდა შაქარი იყოს. მოჰკარით ქილას თავი და დადგით სამი დღე მზეზე, რომ შაქარი დადნებს; შემდეგ წამოყარეთ საცერზე და დადგით, რომ გადაიწუროს, მაშინვე ჩაასხით ბოთლებში, დაუცვავით სუფთად და კარგად გამოხარშული საცობები. ამ-

ნაირ სიროპს ხმარობენ ახალი ხილის მაგივრად; თუ გინდათ სასმელად იხმაროთ, მაშინ უკეთესია პატარა ბოთლებში ჩასხათ, რომ დიდხანს ნახადად არ იყოს. ბოთლები შეინახეთ ყინვამდე ყინულში და შემდეგ მშრალი ქვიშით სავსე ყუთში წამოაწეონეთ.

ალუბლის კურკები წმინდად დანაყეთ, ჩაყარეთ ჯალაშა პარკში და ჩაყოლეთ ხილს ქილაში; როდესაც საცერზე დასწურავთ, ეს პარკი ამოიღეთ და დანარჩენი ხილის ჩენხზე ხაჭაპურის და მისონას გულად.

ნებვის სიროპი. აიღეთ მწიფე და კარგი ნესვი; გაფცევენით, როგორც საჭმელად ფცევნით, დასჭერით წვრილად, ჩაყარეთ ქილაში; ნესვს სიმუავე არა აქვს, მიმომ შეგიძლიათ გასამუავებლად ლიმონის წვენის ან ლიმონის სიმუავის მიმატება.

ძლიაგის სიროპი. ასეთი სიროპის მოსამზადებლად ხმარობენ უფრო თეთრ ქლიავს, მწიფეს. ქლიავს გამოაცალეთ კურკა, დაჭერით რამდენიმე ნაწილად, ჩაყარეთ ქილაში, მოყარეთ ზემოდან შაქარი იმის ნახევარი სისქე, რაც ქლიავია, შაქარს ზემოთ კიდევ ქლიავი და ასე, ვიდრე ქილა გაივსება. ჩენხზესაგან გააკეთეთ პიურე: მოხარშეთ კარგად თაფლში ან შაქარში და იხმარეთ ხაჭაპურის გულად.

ხილის შენახვა სასამთოროდ. ა) ახალი, მწიფე, მაგრამ ცოტა მაგარი ჟოლი, მოცხარი, კინკრიფა ან ალუბალი დაარჩიეთ, მაშინვე ჩაყარეთ მშრალ ბოთლებში, ცოტათი შეანჯდრიეთ, დაბეჭდეთ, ჩადგით თივიან ქვაბში, დაასხით ცივი წყალი და ხარშეთ ერთ საათს. შემდეგ გადმოდგით ქვაბი; როდესაც წყალი გაცივდება, ბოთლები ამოიღეთ, გადაფისეთ და ჩაყალით მშრალ ქვაბში; ამგვარი ხილიდან ზამთარში აკეთებენ კომპოტს ან ნაყინს.

ბ) ჩაყარეთ ქილაში შაქარი, ზემოდან დააყარეთ ხილი, ამას ზემოთ მოყარეთ კიდევ შაქარი, მერე კიდევ ხილი და ამგვარად გაავსეთ ქილა (გირვანქა ხილზე – გირვანქა შაქარი); თავი მოჰკარით ბურთით, გადაფისეთ და ჩადგით ყინულში. ამნაირად ხილს შეენახება სუნი და სიქორფავე. ამას ხმარობენ ზამთრობით დესერტის (ჩაროზის) მაგივრად და ზოგი დაასხამს კონიაქს ან რომს.

გ) გირვანქა ხილზე აიღეთ გირვანქა შაქარი და ნახევარი ჭიქა რომი; ჩაყარეთ ხილი ქილაში, მოყარეთ ზემოდან შაქარი და დაასხით ნახევარი ჭიქა რომი და ასე მოიქციოთ, სანამ ქილა გაივსება. შემდეგ აურიეთ ფრთხილად – არ დაჭცელიროთ, მოკარით პირი ბურთით. ხილი პირველად უნდა გაარჩიოთ და გაცემნათ და თითო გაჭრათ თოხად. ხანდახან ერთსა და იმავე ქილაში ჩააწერებენ სხვადასხვანაირ ხილს.

დ) 1) სუჟელა ხილი, რომლისგანაც ზამთარში აკეთებენ კომპოტს, უნდა იყოს ძალიან მწიფე და საუკეთესო ხარისხისა.

2) ამგვარი კომპოტის მოსამზადებლად ხმარობენ შუშის ქილას – საკომპოტებს – მირგანიერსა და ყელვიწროს. ქილაში ჩაყრიან ხილს, ზემოდან დაასხამენ სიროპს; გარს შემოაკრავენ თივას ან ჩალას და ჩადგამენ ცივი წყალით სავსე ქვაბში.

3) როდესაც წამოიდუდებს, იმ დროიდან უნდა ხარშოთ 10-15 წუთი.

4) ბურგი ჩაალბეთ ნელ-თბილ მარილწყალში ერთი საათის განმავლობაში; მერე გარეცხეთ სუფთა წყალში და იმით მოჰკარით პირი ქილას; პირველად მოჰკარით პირი, უბურთოდაც შეიძლება.

5) ქილას უნდა აკლდეს გავსებამდე სამი თოთის დადება.

6) გირვანქა ხილზე აიღეთ გირვანქა შაქარი და წყალი, სამი მეოთხედი ჭიქისა. პირველად მოხარშეთ სქელი სიროპი, მოქაფეთ ფრთხილად, გააცივეთ და დაასხით ხილს ქილაში.

7) საუკეთესო კომპოტებს აკეთებენ კინკრიფიდან, ატმიდან, მსხლიდან, ვაშლისაგან, ჟოლოსაგან, ჭერამისგან, ქლიავისგან, მარწყვისგან, უურძნისგან და ბლისგან.

8) რადგან ამაზე დასასხმელი სიროპი მალე თხელდება, ამიტომ კომპოტის გაკეთებისას ამ ხილისაგან უნდა ცოტა მოხადოთ სიროპი; დანარჩენი გადმოასხით, დაუმატეთ შაქარი და მოხარშეთ სქელი სიროპი; გააცივეთ და მერე დაასხით თევზზე.

შაძრის სიროპი. შენიშვნა: აიღეთ სამი ჭიქაცი. ერთ ბოთლი გაწურულ წვენზე გირვანქანახევარი შაქარი, წამოადუდეთ სამჯერ-ოთხჯერ, თანაც ქაფი უნდა მოხადოთ ხოლმე, გაწუროთ და ტილო დააფაროთ; როდესაც გაცივდება, უნდა ჩაასხათ ბოთლებში, რომლებიც რამდენიმე კვირის წინათ უნდა გამორცხეთ და გამოაშროთ; ბოთლები ყელამდე უნდა აავსოთ, თავი მაგრად დაუცოლო, დაფისოთ და შეინახოთ მშრალს ქვაბში მშრალ და ცივ სარდაფში. ასე მომზადებული და შენახული სიროფი გამდებს დიდხანს და კარგადაც შეინახება. ვისაც არ უნდა სქელი სიროპის ხმარება, შეიძლება ერთი ბოთლი სიროპი გაისხნას ერთ ან ერთნახევარ ჭიქა წყალში, ერთხელ წამოადუდეს და მზად იქნება. უნდა ხარშოთ უჟეველად სპილენის ტაშტში. შაქარი უჭრობესია რომ უყოთ ნაჭრებად.

სიროპი ალუბლისა, ალუბლისაგან პირველი. ალუბალს კურკები გამოუდეთ (რამდენიმე კურკა შეიძლება დანაყო), ჩაყარეთ ტაშტში, ერთხელ-ოთხჯერ წამოადუდეთ; როცა წვენი გამოუვა, გაწურეთ ტილოში. წვენი კოვზით უნდა ამოიღოთ. სამ ჭიქა წვენზე აიღეთ სამი ჭიქა, ე.ი. გირვანქანახევარი შაქარი, წამოადუდეთ სამჯერ-ოთხჯერ, თან ქაფი მოხადეთ; როდესაც წვენი გაიწინდება, გაწურეთ და სხვა.

ალუბალთან ერთად დატოვეთ ცოტაოდენი წვენი და ხარშეთ, ვიდრე ალუბალი არ ხაიხარშება, შემდეგ გასრისეთ საცერში, კვლავ მოაქციეთ ტაშტში და ხარშეთ ნელ ცეცხლზე, ვიდრე არ გასქელდება; ამ პიურეში შეიძლება ხაიდოს შაქარი ან თაფლი, ე.ი., ერთ ჭიქა პიურეზე ერთი ჭიქა თაფლი ან ნაკლები. როდესაც მოიხარშება ჩადეთ ქილაში და შედგით ნელ ღუმელში, შემდეგ დადგით – გაცივდეს და მოაკარით ქაღალდით თავი.

ალუბლის სიროპი სხვანაირად. ალუბალი დანაყეთ კურკებიანად, დაასხით წყალი იმდენი, რომ ოდნავ დაფაროს, მოხარშეთ და შემდეგ გაწურეთ სელსახიცში; როდესაც დაიწინდება, გადმოასხით წმინდა წვენი. სამ ჭიქა წვენზე აიღეთ ერთი ან ერთნახევარი გირვანქა

შაქარი, წამოადუდეთ სამჯერ-ოთხჯერ, თანაც ქაფი მოხადეთ ხოლმე; გაწურეთ, გააცივეთ და სხვა. ოორმეტი გირვანქა ალუბლიდან გამოვა ექვსი ბოთლი სიროფი.

ღვდი. როდესაც ღუმელიდან პურებს გამოალაგებთ, ღუმელი კარგად გამოწმინდეთ, დაყარეთ ძირზე რგა გირვანქა კარგი ქერი, თან ხელ-მოუშორებლივ ურიეთ, რომ არამც თუ არ დაიწვას, არამედ არც კი დაიხალოს. შემდეგ ქერი დანაყეო, ჩაყარეთ ქვაბში ან სხვა რომელიმე ჭურჭელში, დაასხით ერთი და მესამედი კასრი (ვედრო) ცხელი წყალი (65-გრადუსიანი), კარგად მოურიეთ, დადგით ასე სამი საათით, მერე ფრთხილად გადაწურეთ; ქვაბში დარჩენილ ხორბალს დაასხით ისევ ერთი კასრი ცხელი წყალი (72-გრადუსიანი). ორი საათის შემდეგ ესეც გადაწურეთ და ზედ დაასხით კიდევ ერთი კასრი ცივი წყალი, რომელიც საათნახევრის შემდეგ გადმოწურეთ. სამჯერვე გადმოწურებული წყალი ერთმანეთში აურიეთ. გაქნით 15 გირვანქა ალაო 2 1/2 კასრ იბილ წელში და ჩაასხით ამ შეერობებულ გადმონაწურ წვენში, მიუმატეთ ნახევარი გირვანქა სვია და აადუდეთ, თანაც ურიეთ. ორი საათის შემდეგ, როცა ეს სიოთხე გაცივდება, ჩაასხით შიგ 2 ჭიქა კარგი საფუარი, რაც შეიძლება კარგად აურიეთ და დადგით ისეთ ადგილას, სადაც სიოთო 15 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასე მომზადებული ლუდი რომ დადუდდება, გადაასხით კასრში და თავახბილი დატოვეთ სამი ლუდი, მეოთხე ლუდს კი თავი დაუცავით და ორიოდე კვირის შემდეგ გექნებათ მშვენიერი ლუდი; წყალი ძალიან ცხელი არ უნდა იყოს, თორემ ცუდად მოქმედებს ლუდზე.

## ღორის ხორცის შენახვის საპითხები და სხვა

ხორცის შენახვის სხვადასხვა ტექნოლოგია არსებობს როგორც ჩვენთან, ისე სხვა ქვეყნებში.

საჭიროა ცვლილებების შეტანა დორის ხორცის შენახვაში.

შინ დაკლუდი ღორი თუ მოხარდია, ტყავიანად უნდა დაიჭრას ნაჭრებად, თითოეული 5-7 კგ ღორებით და ხუთი სანტიმეტრის დაშორებით ქვალთან ერთად, დამარილდეს, მჭიდროდ დაიწყოს ემალის ან ხის კასრში; დავტოვოთ 20-25 ლიტ თავის გამონაყოფ სიოთხეში; შემდეგ გაგაშროთ, დავაყაროთ ქატო, 5-7 ლიტ შემდეგ მოვწმინდოთ ქატო; გავუკეთოთ სანელებელი, ნიორი, დაფნა, დავკიდოთ მშრალ ადგილას. 3-4 თვის შემდეგ დავაყაროთ გაცრილი ნაცარი. მოხახარშად წინასწარ გტოვებოთ წყალში, რომ დალებეს 8-10 საათი. სასურველია წყალი გამოვუცვალოთ; გავრცხავთ ცივი და ცხელი წყლით. ნაცრის გაკეთებამდე სასურველია ცოტა ხნით კვამლზე გამოვატაროთ დახურულ კარადაში. ასეთი მეოთხით დამუშავებული ღორის, იხვის, ბატის ხორცი ძალიან გემრიელია და ინარჩუნებს თავის არომატს, კალორიულობას დიდხანს.

დამარილებული ხორცის შენახვა. აიღეთ ახლად დაკლუდი ძოლების ხორცი, ვიდრე გაცივდებოდეს, გაწმინდეთ მშრალი ტილოთი ისე,

რომ სისხლი არ დარჩეს იმიტომ, რომ სისხლი აფუჭებს ხორცს; შემდეგ გამოაცალეთ დიდი ქვლები, ხორცი აწონეთ, ჟოველის მხრივ მოაყარეთ ფეხში გამშრალი მარილი, რომელშიც უნდა ერის გარჯილა და სანელებლები; მერმე ხორცი გააცივეთ; ჩააწყვეთ კასრში ისე, რომ შეუადგილას მოპყვეს დიდი ნაჭრები და ირგვლივ წვრილი ნაჭრები; თდნავ დატენეთ. კასრის ძირზე უნდა იყოს მობნეული გვარჯილაში არეული მარილი, დაფნის ფოთლები, პილპილი, როზმარინი (ზღვის ვარდი); მოაყარეთ ჟოველ რიგ კასრში ჩაწყობილ ხორცს. როდესაც კასრი გაივხება, თავი მაგრად დაასურეთ, გადაფისეთ ჟოველმხრივ, ორ-სამ დღეს გედგათ ოთახში, მხოლოდ ჟოველდღეს უნდა გადმოაბრუნოთ კასრი; მერე ის სარდაფში დადგით და კვირაში ორჯერ გადმოაბრუნეთ. სამი კვირის შემდეგ კასრი საყინულებში დადგით.

ერთ ფუონახევარ ხორცზე აიღეთ ორნახევარი გირვანქა მშრალი მარილი, ექვსი მისხალი გვარჯილა, კოლიანდრა, მაირანი, რეპანი, დაფნის ფოთლლი, სამი მისხალი პილპილი; ვისაც უვარს, შეუძლია ცოტა ნიორიც მიუმატოს; თუ ხორცის დიდხან შენახვა გნებავთ, მეტი მარილი უნდა მოაყაროთ. კასრები მუხის ფიცრისა უნდა იყოს და ამასთანავე პატარებიც; ვიდრე ხორცს ჩაწყობდეთ, კასრები უნდა გამორეცხოთ და კარგად გამროვოთ.

ხბოს ხორცის შენახვა. აიღევით ხბოს ბარკლები, ააცალეთ მეტი ქონი. აურიეთ ერთმანეთში გირვანქა მარილი, სამი მისხალი გვარჯილა და ერთი მერვედი გირვანქისა წმინდად დანაყილი შაქარი; ამგვარი სანელი მოაყარეთ ხბოს ხორცს ჟოველის მხრივ, ჩადეთ შემდეგ კასრში, დიდხან ან პატარაში, როგორც მოთხოვნილება იქნება და ჩალაგების დროს თან მარილი აყარეთ, ჩალაგების შემდეგ ზევიდან სარქველი დაადეო, რაც მძიმედ იქნება, უფრო სჯობია. ამგვარად მომზადებული ერთი დღე სახლში ამჟოფეთ, შემდეგ კი ცივ ადგილას უნდა გააჩეროთ ორი კვირის განმავლობაში და ამ დროს ჟოველ ორ დღეში ერთხელ უნდა ეს ბარკლები გადმოაბრუნოთ ხოლმე. ამ ორი კვირის განმავლობაში თუ შეატყობით, რომ წვენმა იკლო კასრში, აიღეთ ერთი ჯამი წყალი, შიგ აურიეთ ნახევარი კოგზი მარილი, წამოადუდეთ და, როდესაც გაცივდება, ხორცს ზევიდან წაუხვით.

ორი ან სამი კვირის შემდეგ ამოიღეთ კასრიდან ხბოს ბარკლები, გაახვიეთ მშრალ ტილოში და აცალეთ, ვიდრე ხორცი გაშრებოდეთ; როცა გაშრება, ფალასში გაახვიეთ, ასე გახვეულს დაუწყეთ ბოლება ორი კვირის განმავლობაში, მხოლოდ აი ასე: პირველად ძალიან დინჯად სამოთხ დღემდე და შემდეგ შეგიძლიათ ნელ-ნელა უმატოთ ბოლება; მედამ საათს კი არ უნდა, უსაოულ უნდა დღეში ორი საათი შეაყენოთ ხოლმე; სჯობის რომ ფუტურო შეშით უბოლოთ, ან თუ არა – ფიჭვის შეშით.

ბოლვას რომ გაათავებოთ, ჩამოჰყიდეთ ისეთ ალაგას, სადაც ქარი უგლიდეს განუწყვეტლივ.

დამარილებული ღორის ხორცის შენახვა. დამარილებული ღორის ხორცი უნდა ქარზე გააშროთ, მოაყაროთ წმინდად გაცრილი ნაცარი და შეინახოთ მშრალ ადგილას; სინებრე მალე აფუქქებს.

ძეხვის პარად შენახვა. აიღეთ ათი გირვანქა მჭდე ღორის ხორცი, ხუთი გირვანქა ძროხის სუკი; ესენი დაჭერით წვრილად და მიუმატეთ ხუთი გირვანქა უმი ღორის ქონი, რომელიც უნდა იყოს დაჭრილი თხელ და წვრილ ნაწილად; მერე დაამარილეთ, მიუმატეთ მისხალნახვარი გვარჯილა, ორი ჭიქა რომი, კარგად მოურიეთ და ჩაყარეთ ხარის ნაწლავში; ამოდეთ ფიცარ ქვეშ ორი დღით, მერე დაჭკიდეთ რამდენიმე დღით; შემდეგ ახმეთ სამი კვირის განმავლობაში ბოლზე.

ძეხვის სხვანაირად შენახვა. აიღეთ ოცდასამი გირვანქა ღორის ბეჭის უძარლეო ხორცი, წვრილად დაჭერით. მერე დააწყვეთ ცხრილზე, დადგით თბილ ოთახში გასაშრობად ოცდაოთხ საათს, აართვით ღორს ექვსი გირვანქა ქეჩოს ქონი, მოაყარეთ ოცდაოქებები მისხალი მარილი და დატოვეთ ასე ოცდაოთხი საათი. გამშრალი ხორცი წვრილად დაჭერით, მოაყარეთ ერთი გირვანქა მარილი, მოაყარეთ წმინდად დანაშიერი ექვსი მისხალი უბრალო პილპილი, სამი მისხალი თეთრი პილპილი, ექვსი მისხალი დარიზინი, სამი მისხალი გვარჯილა, ერთი დანაშიერი კუვზი და რამდენიმე ნივრის წვეთი. აიღეთ დამარილებული და ღვინოში ან სპირტში დასველებული ძროხის ნაწლავი, გადმოაბრუნეთ, დაჩხვლიტეთ ნემსით; ამ ნაწლავში ჩაწყვეთ ზემოხსენებული ღორის ხორცი; ამგვარად გაკეთებული ძეხვი შეინახეთ ცივ ადგილას ისე, ორმა გაიყინოს. მერე ახმეთ ორი კვირის განმავლობაში ცეცხლზე. შემდეგ შეჰქიდეთ ჩალურში; პროვანსის ზეთი, ღვინო და სპირტი აურივეთ ერთმანეთში, დაასველეთ ამაში ჯაგრისი და წმინდეთ ამითი მალ-მალ.

## თვაზზეულობის, ზრინელის ხორცის და ჟველის შენახვა

გადაზიდვა ცოცხალი თვაზზისა ზაფხულობით. ცოცხალ თავზებს, მაგალითად „საზან-პალუს“ შეუკრავთ თავისი სიგრძე-სიგანის უკავებს, უკავებს მირს თავსა და გვერდებს სულ ნაჩვრეტები უნდა პქონდეს დატანებული; დაუფეხნო მირსა და გვერდებზე წყალში დასველებულ სავსს, ჩასდებთ შიგ თვაზზს, ამოუდებოთ ლაუქებში არაქში დამბალი პურის გულს, დააჭედებოთ ყუთს თავს. ამგვარად შეგიძლიათ ცოცხალი თვაზზის წაღება ძალიან შეირს მანძილზეც წაიღოთ.

დამარილება ყრველგვარი თვაზზისა. სადაც ბევრ თვაზზს იქმრენ, უნდა დამზადებული პქონდეთ რამდენიმე პატარ-პატარა კასრი. თვაზზს გაძერქავთ (ქერქს გააყრევინებთ), გამოშიგნავთ და სისხლსა და სინესტეს ტილოებით გაუმშრალებოთ, მაგრამ კი არ გარეცხავთ; გააფეშხოებთ შუაზე და უველა მხრიდან წაუსვამო მარილს, სანამ სულ არ დაწიოლდება. ჩაალაგებოთ ქილებში, დააჭედავთ თავებს, გადაფისავთ და შეინახვთ ცივ, მაგრამ მშრალ აღგილს. კასრი უნდა გადაბრუნდეს ხოლმე ერთი თავიდან მეორე თავზე, რომ თვაზზის გაშვებულმა წვენმა თავიდან ბოლომდე გაუაროს. ასე

შეინახება თვაზზი ნახევარწლობით და თუ ერთხელ გაიხსნა კასრი, თვაზზი ძალიან მალე უუჭდება, ამისათვის გასრები ერთობ მომცროვები უნდა იყოს; თუ თვაზზის შემძმელი ცოტა ხანში არავინ იქნება, მაშინ ერთი ნაწილი ამ თვაზზისა ჩრდილში სადმე ჩამოჲკიდეთ და მერე ბოლში გამოიყანეთ; ამასთანავე გირჩევთ, რომ დასამარილებულ თევზებს თავები წააჭრათ, რადგან შემჩნეულია, რომ დამარილებულთავიანი თვაზზი უფრო ჩქარა უუჭდება და უსიმოვნო გემოს დაიკრავს.

თვაზზი თუ ძლიერ მდლაშე გამოვიდა, თბილ წყალში უნდა დაალბოთ.

ნაწილო ღორის რომ დაპკლავთ, გამოიღეთ კუჭი, რომელშიც პირველად ჩადის საჭმელი, გაძერით და კარგად გარეცხეთ, მერე ერთი ფინჯანი მარილი მოაყარეთ, დაასხით ჯამზე ღვინო და შიგ ჩადეთ; სამი ღვინო ასე იყოს, მეოთხე ღვინო და ბოლში დაპკიდეთ ორს კვირას, ზედ დაასხით ნახევარი ჭიქა ღვინო და ნახევარი ჭიქა წყალი, დაყარეთ მარილი, როი პარკი წიწაკა, ერთი ღვედვის ცოტი; დღეს რომ ასე დააყენებოთ, მეორეს ღვედვის ღვედვის დედად ივარგებს.

ყველის ჩაღედება მებრული ღვრილითი. ახალ მოწველილ, ორ ბოთლ რძეს ერთი სუფრის კოვზი ზემოთ აღწერილი ნაწილი მიეცით, ის რძე თბილად ცეცხლის ახლოს დადგით და მოურიეთ, რომ ჩაყველდეს; მერე ხელით ამოჭკლიტეთ, მოაგროვეთ და დაამრგვალეთ; ამოიღეთ თევზზე, მოაყარეთ მარილი; თუ სულუგუნად გნებავთ, მაშინ მარილს ნუ მოაყრით, ისე გააკეთეთ.

სულუბუნი. ახალ ყველს დილით რომ ჩაყველებოთ, საღამოზე დათლით თხლად, წყალს ააღუდებოთ და შიგ ჩაჰერით; როდესაც წამოშინინდება, საჩქაროდ გადმოიღებოთ და ბადიაზედ დაასხამო, ყველს ხელით მოაგროვებოთ, გადაჭეცავთ და გადმოჲკეცავთ, კარგად რომ დაიზილოს; შემდეგ მოაყრით მარილს და შეინახვთ; როდესაც გაშრება, თუ ზამთრისათვის გენებებათ, მაღლა ჩამოჲკიდებოთ და ასე გააჩერებოთ.

ყველის ამონაზურის ხაჭო. როდესაც ახალ ყველს ჩაადედებოთ და ამოიღებოთ, ის შრატი ააღუდეთ, ჩასხით პარკში; რამდენჯერაც ჩაყველებით, იმდენჯერ შრატი ააღუდეთ და სულ იმ პარკში მოაგროვეთ, შემდეგ გაწურეთ და ხაჭო გადმოიღეთ, მარილი და წმინდათ დაჭრილი ომბალო მოაყარეთ, ან ოხრანული და ისე მიირთვით.

რამდენჯერაც ყველს ჩაადედებოთ, იმის შრატიდან ნახევარ ფინჯანს, რაშიაც ნაწილი არის, იმ კოჭობს დაასხამო, რომ არ გამოიღიოს საღები; ერთი თვის შემდეგ კი ხელახლა უნდა დააყენოთ, ისევ ისე, როგორც ზემოთ პირველად აღვწერეთ.

ძართული გველის შენახვა ძილებში. ახალი ყველი, დაჭრილი ან მოელ-მთელი კვერეული, ჩადეთ ქილაში ამრიგად: კვერეული დაჭერით, მოაყარეთ ნაჭრებს მარილი და დაალაგეთ ისე ერთი ღვედვის დამარილი გაუჯდეს.

შემდეგ ააღუდეთ წყალი და ჩაყარეთ მარილი, მარილწყალი საჯაროდ მდლაშე უნდა იყოს. ყველის ნაჭრები ჩაალაგეთ ქილაში და დაასხით გაცივებული მარილწყალი, ნახეთ ხოლმე, რომ წყალი არ დააკლდეს,

თუ აკლია,მიუმატეთ ისევ მარილ-წყალი; ყველი ყოველთვის დაფარული უნდა იყოს წყლით,თორებ სითბოში უჟღველად მატლები გაუჩნდება.

შვეიცარული ყველის ბაპთიტა. ამ ყველისათვის დვრიტის მომზადება შეიძლება ორნაირად: ა) ახალდაკლულ ხბოს გამოუღერ აჟჭი,გარეცხეო კარგად და დაალებეთ 3-4 საათით მაგარ ძმარში, შემდეგ ამოავლეთ რამდენჯერმე კარგად შრატში, წაუსვით შიგნიდან და გარე-დან დანაყილი მარილი, გაჭიმეთ ორ წვრილ ჯოხზე, გააშრეთ კარგად და შეინახეთ შრატალ ადგილს სამი ან ოთხი საათით; ხმარების უმაღლ დაალბეთ შრატში და დადგით თბილ ადგილას. აი ამ შრატს ხმარობებ დედად ყველის ამოყვანის დროს; დვრიტი შეიძლება რამდენჯერმე იხმაროთ, მხოლოდ ხმარების შემდეგ უნდა კარგად გარეცხოთ, მარილი მოიყაროთ და გააშროთ ჯოხებზე.

ბ) ხბოს კუჭი გაწმინდეთ, კარგად გარეცხეო, წაუსვით შიგნიდან და გარედან დანაყილი მარილი, 2-3 დღის შემდეგ ისევ გარეცხეო, მარილი მოაყარეთ, გაჭიმეთ ჯოხებით და გააშრეთ. როდესაც ყველების გაკეთება გსურთ, აიღეთ ოთხი ბოთლი წველა (მაწონი), 4 ბოთლი ახალი რძე, აუ-რიეთ და შედგით ღუმელში (ან ცეცხლთან დადგით); როდესაც შრატს მოიგდებთ, გამოწურეთ და დაალებეთ შიგ ხბოს კუჭი, კუჭს მანამდე ნუ ამოიღებთ, გიღრე შრატი არ დამუკადება. შემდეგ შრატი იხმარეთ.

**ყველის მომზადება** აიღეთ ერთი კასრი (ვედრო) ახლად მოწველი-ლი რძე, მიუმატეთ ნაღები, რომელიც უნდა მოხადოთ ერთ კასრ წინაო მოწველილ რძეს, ჩასხით კარგად მოკალულ ქვაბზი და შეათბეთ ისე, რომ ცოტათი უფრო თბილი იყოს ახალ მოწველილ რძეზე; ჩასხით შიგ მომზადებული შრატი და ურიეთ ხის პატარა ნიჩით, ვიდრე რძე არ ჩაწება და შრატს არ მოიგდებს; მაშინ გადმოდგით ქვაბი ცეცხლიდან, გადაწურეთ შრატი და ყველი ურთხილად გაწურეთ ხელით; შემდეგ ჩადეთ ყორმაში, რომელსაც ჯერ სველი უაღასი უნდა შემოახვიოთ შიგნიდან. ფორმა უნდა იყოს ხისა და ოთხეუთხა, სიგრძით ექვსი ვერ-შრეკი და სიგანით ოთხი ვერშრეკი, სიმაღლე კი როგორიც გენებოთ, ძირი ხუთგან უნდა პქინდეს გახვრეტილი, რომ შრატი ჩამოიწუროს, ყველს ზევიდან დააფარეთ ერთვერშოკიანი სისქის ფიცარი და ზედ დაადეთ პატარა ქვები, შემდეგ ქვები მოუმატეთ.

ასეთი ყველი უმჯობესია მოამზადოთ მაისში და იყინისში, მით უფრო, რომ მაშინ რძე ბევრია. ზამთრობით მომზადებული, მართალია, გემრიელია, მაგრამ ისე ლამაზი და დაჩვრეტილი ვერ არის. უკეთესია დიდი კვერულები გააკეთოთ, რადგანაც პატარა კვერულები მაღლე ხმება; თუ ყველი გახმეს, შემოახვიეთ გარს ლუდში, მარილ-წყალში ან თეთრ ღვინოში დასველებული ფალასი, ფორმაში მინამდე იყოს, მანამ შრატი დენას არ შესწევებს და არ შეშრება, ე.ი. ოცდაოთხი საათით მაინც უნდა იდგეს ასე. მერე ამოიღეთ ფრთხილად, დანაყილი მარილი წაუსვით კარგად ყველგან, ჩადეთ კალათაში, რომ პატარი შედიოდეს და ბუზები კი ვერა ხვდებოდეს ყველს. დღეში ორჯერ გადააბრუნეთ ყველი და პირველ ხანებში მარტო მარილი წაუსვით ხოლმე. რამდენიმე კვირის

შემდეგ ყველი მზად იქმნება. ასე შეინახება ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ ცოტა ნოტიო აღგილს უნდა შეინახოთ.

ძონი ძორზებას და ღორისა. დაჭერით წმინდად დორის ქონი, დაად-ნეო, გაწურეთ, ჩაყოლეთ ხახვი და ხარშეთ: გაანელეთ ცოტა, დაასხით წყალი, ადაუდეთ, გაწურეთ ქვის ჭურჭელში, დადგით სიცივეში, გააცივეთ, მერე გადაუდგარეთ წყალი, თუ სულ არ ამომშრალა და შეინახეთ.

აირველი საშუალება პპერცებების შენახვისა. აიღეთ ახალ-ახალი კვერცხები, მოუსვით ზედ ქონი ან ერბო და ჩალაგეთ ყუთში; კვერცხები უნდა ელაგოს ყუთში თავ-და-ყირა; თითოეულ კვერცხს უნდა შემოაყაროთ იმდენი შვრია, რომ ერთი კვერცხი მეორეს არ ეხებოდეს; კვერცხები უნდა ჩალაგდეს მწვრივ-მწვრივად, რიგ-რიგობაზე და თითო რიგში ზემოდან უნდა წაეყაროს ორი გოჯის სიმაღლეზედ შვრია; სულ უკანასკნელი რიგობის ზემოდან კი უნდა ერთი ორად მეტი შვრია და-ყაროთ; დააფარეთ მერე თავი და დადგით ცივ ადგილს.

აგრეთვე შეინახება კვერცხები კარგა გამომშრალ მარილში, მუხ-ის ნაცარში, ცეცხლზე გამომშრალ ქვიშაში, ხოლო კვერცხის ჩალაგება ისევე უნდა, როგორც ზევით არის დაწერილი.

## სორცი

**ძროხისა, ხბოსი, ცხვრისა, ღორისა, ზრინველისა და სხვა**

საზოგადო შენიშვნა ვრინველებზე. თუ გნებავო, რომ ფრინველის ხერცი მაგარი არ იყოს, რამდენიმე დღით წინ უნდა დაკლაოთ და ცივ ადგილას დაპკიდოთ. ისიც კარგია, რომ ინდაურს, ქათამს ან ყვერ-ულს ყელში მმარი ჩასხსათ – ინდაურს ერთი სუფრის კოგზი, ქათამს და ყვერულს ერთი ჩას კოგზი – და ორი ან სამი საათი ისეთ ალაგას დაამწვდიოთ, რომ მოძრაობა შეეძლოს; შემდეგ დაკალით, გაბტყვენით, გამოშიგეთ და მაშინვე მოხარშეთ ან შეწვით; ამისთანა ქათმის ხორცი რბილიც იქნება და გემრიელიც. ქათამი ზოგი დიდია, ზოგი პატარა: ექვსი კაცისთვის უნდა აიღოთ სამგირვანქიანი ქათამი, ორი ან ოთხი წიწილა, ერთი ან იხვი, ნახევარი ან ერთი ინდაური.

შემწვარი ძათამი. ერთი დესერტის კოვზი ძმარი ჩასხით ცოცხალ ქათამს, როისამი საათის შემდეგ დაკალით, გაბტყვენით, გამოანაწლავთ, ან დაკლული ერთი საათი ცივ წყალში ჩადეთ და შემდეგ მოედნი დღე ქვაბზი შეინახეთ. მეორე დღეს გაბტყვენით, გამოანაწლავთ, მარილი მოაყარეთ, შეწვით შამფურზე ან ტაფაში: შეწვაში ერბო ან მსუქანი ბულიონი მაღლა-მაღლ დაუსხით; ტაფაში კოვზი ერბო გააბრენეთ, დაწვით შიგ ორი და-ნაყილი ორცხობილა, აურიეთ გაწურულ წვენში, რომელშიც იხრაკებოდა ქათამი, დაასხით ქათამს და მიიტანეთ სუფრაზედ საღათასთან ერთად.

მასალად საჭიროა: ერთი ან ორი ქათამი, ე.ი. სამი გირგანქა, როი კოვზი ერბო, როცხობილა – ორი ან სამი, მარილი.

მღრმების შემვა. მწყრები წმინდად გაბტყვენით, გამოშიგნეთ და აგეთ შამფურზე, მარილი მოაყარეთ და ცეცხლზე დააფიცხოთ, გაცხ-

გლების შემდეგ წმინდა ფქვილი მოაყარეთ, შემდეგ ნელ-ნელა ატრიალეთ და თანაც ფქვილი აყარეთ, სანამ მწყერი ფქვილში სულ არ ამოიგანვლება. შეწიოლდეს თუ არა, ეყოფა შეწვა.

მასალად საჭიროა: მწყერი, ფქვილი და მარილი.

მოხრაპული ძათამი. (გურული) აიღეთ ერთი მსუქანი ქათამი, ასო-ასო დაჭერით, თითო ასოც ორად გაჭერით, ჩადაგეთ ქვაბში უწყლოდ, მოხრაკეთ თავისივე წვენში, რმელიც თითონვე შემოადგება; წვენი რომ შეუდგება, გადმოუწურეთ; ნახვარი გირვანქა ნიგოზი და ერთი მის-ხალი ზაფრანა ერთად დანაყეთ, ზეთი გამოწურეთ ხელით, იმას გამოუვა უწყლოდ ზეთი, ეს ზეთი ქათამს რომ წვენი გადმოუწურეთ, იმის მაგიერ ჩასხით; სამი თავი ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი ჩადყოლეთ, ერთად მოხრაკეთ ქათამი და ხახვი; როდესაც შეწიოლდეს, თრი მისხალი და-ნაყილი მიხაკდარიჩინი, ზეთგამოხდილი ნიგოზი, დანაყილი ქინი და ნიორი გირვანქის მეოთხედი აურიეთ გადმონაწურ წვენში, ერთი ჭიქა მმარი დაასხით, კარგად აურიეთ და შეწიოლებულ ქათამს ზედ დაასხი-ოთ; ნელ-ნელა აღუდეთ თცი წუთი, ქათამი კი არ ჩადყლაოთ, შემდეგ გად-მოიდეთ (ურწყლი ზეთი კიდევ უნდა გქონდეთ დატოვებული ზემოთ გამონახდიდან), ლანგარზე მოასხით ეს ზეთი, გადმოიდეთ ზედ ქათამი და მიართვით სუვრას.

მოხრაპული ძათამი. (გურული) ქათამი გაბრტყვენით, გარეცხეთ, ასო-ასო დაჭერით, ჩააწყეთ ქოთანში და ჩაბრანეთ თან: დანაყილი მიხ-აკი, პილპილი, დარიჩინი, ყვითელი კოჭა, მარილი, დანაყილი ნიგოზი, წმინ-დად დაჭრილი ხახვი, ქინი, თხრასუში და მმარი; შემდეგ ქოთანი ნელ ცეცხლზე დადგით, პირს კარგად დააფარეთ, რომ სული არ ამოჰრეგს; ასე მოხრაკეთ, მხოლოდ თან მოურიეთ ხოლმე; ქათამი წვენს თითონ გაუშვებს, მოხრაკვა რომ შეატყორ, გადმოდგით.

მასალად საჭიროა: ერთი ქათამი, ექვსი მარცვალი მიხაკი, პილ-პილი – ათი მარცვალი, დანაყილი დარიჩინი ერთი ჩაის კოვზი, ერთი კვერცხის ცილა.

შემწვარი როჭო. ერთი გასუფთავებული როჭო რვა ან ათი საათი დაალბეთ სანელებლებიან ძმარში, შემდეგ დახვრიტეთ, შეი გირ-ვანქის მეოთხედი ქონები ჩაუწყეთ, ტაფით ცეცხლზე დადგით, შეწვაში ერბო გადავლეთ ხოლმე, სულ თრი კოვზი; ბოლოს თრი კოვზი ძმარი დაასხით და ძალ-ძალ გადაბარუნეთ; როდესაც წვენს გამოსცემს, თავი-სივე წვენი გადავლეთ ხოლმე და ბოლოს არაჟანიც დაასხით.

სულ რომ მზად იქნება, დაჭერით ლანგარზე და დაასხით გაწუ-რული თავისივე წვენი.

თუ როჭო ცივად გნებავთ, სმეტანა არ უნდა დაასხათ. ზოგნი სიმ-ჩვილის გულისოთვის ჩაფლავენ ხოლმე თცდა ოთხი საათით ბაღში, კარგ მიწაში.

მასალად საჭიროა: ერთი როჭო, ერბო – თრი კოვზი, ქონი – გირ-ვანქის მეოთხედი, თრი კოვზი ძმარი, ნახვარი ჭიქა არაჟანი.

როჭოსთან შეიძლება მიიტანოთ რომელიმე საწებელა ან სალა-თ.

ხოხობი უნდა შეინახოთ გაუბტყვნელი ხუთიდან რვა დღემდე. შემდეგ უნდა გაასუფთაოთ (გაბტყვნით), თავი მოჭრათ და შეი-ნახოთ, ბუმბული ანთებული ქადალდით შემოუტრუსოთ და სანამ ხოხო-ბი ცხელია, უნდა ღორის ქონის ნაჭრით ან ძონძში შეხვეული ერბოთი კარგად გახეხოთ, რომ ბუმბულის ძირებისგან და ბუსუსებისგან გაი-წმინდოს. ასე გასუფთავებულ ხოხობს გული დაუხვრიტეთ, შეი ქონები ჩაუდაგეთ, ჩადეთ ქაბში, ცოტა ერბო ჩაუდეთ, შედგით ცეცხლზე და ხრაკისას მაღმალ ცხელი ერბო გადაასხით ხოლმე, თრ ან სამ კოგზ აღუდებულ წყალში არეული, თან არაჟანიც წაუსვით; ხშირ-ხშირად ჩან-გალი უწმრიტეთ, რომ წვენი გაუჯდეს; როდესაც ხოხობი შეიწვება, ერთი კიდევ გადავლეთ ერბო, წაყარეთ დაფხვნილი ორცხებილა, ცოტა ხანს ნელ ცეცხლზე დადგით, რომ ორცხებილა შეიწვას, ამოიდეთ ლანგარზე, კისერზე ჩხირით მიამაგრეთ ბუმბულებიანი თავი, კურტუმში თავისივე ბოლოები ჩაურქეთ, შემოახვიეთ ნაოჭიანი ქადალდი, გადაიდეთ სუფთა ლანგარზე და თავისივე წვენი დაასხით.

ან ხოხობი დახვრიტეთ, ჩაუდაგეთ გირვანქის მეოთხედი ქინი, გარშემო კიდევ გირვანქის მეოთხედი ქონი შემოუწყევთ, გაახვიეთ გა-პოხილ ქადალდში, ააგეთ შამფურზე და ჯერ ძლიერ ცეცხლზე დააწიო-ლეთ, შემდეგ ცეცხლი ცოტა გაუწელეთ, თან ერბო წაუსვით ხოლმე, ბო-ლოს ორცხებილაც მოაყარეთ. მიართვით სალათით.

მასალად საჭიროა: ხოხობი – ერთი, ქონი (შპიტ) – ნახვარი გირ-ვანქა, ერბო გირვანქის მეოთხედი, ორცხებილა სამი ან ოთხი.

შემწვარი ბარეული იხსი. გაბტყვენით თრი ან სამი იხვი, მარილ-ით დასრისეთ, რამდენიმე საათი შენელებულ ძმარში ჩადეთ, ქონები ჩაუდაგეთ და ქაბში ან ტაფაში შეწვით, თან დროგამოშვებით ერბო გადავლეთ. რომელიმე სალათა მიაყოლეთ სუფრაზე.

მასალად საჭიროა: თრი ან სამი იხვი, ქონი (შპიტ) – ნახვარი ან მეოთხედი გირვანქა, თრი კოვზი ერბო, ძმარი.

შემწვარი ტპის ძათამი. სამი-ოთხი ქათამი დაბტყვენით, მარილი მოაყარეთ. ვისაც უყვარს, გირვანქის სამი მეოთხედი ქონები ჩაუდაგ-ეთ და ქაბში ასე წვენით: ნახვარი გირვანქა ერბო აადულეთ ქაბში, აღუდებულში ტყის ქაომები ჩაყარეთ და თავისუსრავად ძლიერ ცეც-ხლზე ხრაკეთ, ყური უგდეთ არ მიიწვას; ყველა მხრიდან რომ დაწიოლდება, ამოიდეთ ლანგარზე და დაჭერით. ერბოში კიდევ ჩაასხით თრი კოვზი ბულიონი, თრი კოვზი არაჟანი ან ნაღები, აადულეთ, დაასხით შეწვარ, ორცხებილა – და ოხრახუმდაყრილ ტყის ქათმებს.

ტყის ქათამი იწვება ერთი მეოთხედი საათი.

მასალად საჭიროა: ტყის ქათამი – სამი ან ოთხი, ქონი – გირვან-ქის მეოთხედი, ერბო – ნახვარი გირვანქა, ნაღები – თრი კოვზი, ორცხე-ბილა – თრი ან სამი, ოხრახუში.

მიართვით სალათით.

**შენიშვნა:** ნორჩი ტყის ქათამი უნდა გაბტყვნაო, გამოშიგნოთ, დაალბოთ ცივ წყალში, შემდეგ ცივ რძეში გადაიღოთ და ერთხელ გადმოადულოთ.

მოხარული ინდოური ან ქათამი საღველაზე არ გამოიყენოთ პატარა ინდაური ან დიდი ქათამი, ან სამგირვანქიანი გოჭი, დაჭერით ნაწილ-ნაწილ, მარილი მოაყარეთ, დასხით წყალი, ჩაყოლეთ მწვანილის ძირეულები, მეოთხედი ჩაის კოვზი ჯავზის ნეფეხები და მოხარშეო.

მასალად საჭიროა: ინდოური, ქათამი ან გოჭი, ერთი ძირი ოხრახუში, ბაპარი – ორი ან სამი მარცვალი, ერთი სტაფილო, მარილი, ჯავზის ნაფეხები – ჩაის კოვზის მეოთხედი.

ზედ უნდა დაასხაო რომელიმე საწებელა.

შემზღარი შვერული. ყვერული გაბტყვნით, მარილი მოაყარეთ, შეახვით ერბოთი გაპოხილ ქაღალდში, ააგეთ შამფურზე ან ტაფაზე დადეთ და შეწვით, თან ერბო წაუსვით მაღმალ. როდესაც ყვერული შეიწვება, დანგარზე დადეთ; ტაფაში გააცხელეთ ერთი კოვზი ერბო, ჩაყარეთ ორი კოვზი დანაყილი ორცხობილა, ან ხმელი ფუნთუშა, ოდნავ დაწვით, აურიეთ იმ წვენში, რომელშიაც ყვერული იწვებოდა და დაასხით ლანგარზე ყვერულს. მიართვით საღათით.

**შენიშვნა:** შემწვარ ინდოურთან, ყვერულთან და ქათამთან ერთად სუფრაზე უნდა მიიგანოთ სალათა, შემწვარს კი უნდა დაესხას თავისივე წვენი ნამეტანისმსუქნემოხდილი. ორთქლში დაბულულ ინდაურს, ყვერულს ან ქათამს უნდა მოასხაო წითელი საწებელა, მოხარშელს – თეთრი.

მოხრაპული ძროხის ხორცი. ხორცის ნაჭერი კარგად დაბეგვეთ; ქვაბში ჩაწეულ ბრტყლად დაჭრილი ხორცის სიმსუქნე, ხახვი, ოხრახუში, დაფნის ფოთოლი, ბაპარი, მიხაკი, მარილი, ბრტყლად დაჭრილი ლიმონი, შავი პურის ნაჭერი, ზედ დადეთ მარილ მოყრილი ხორცი, დაასხით ლუდი ან წყალი, სახურავი მაგრად დააფარეთ, დადგით ნელ ცეცხლზე; როცა ხორცი მზად იქნება, კვლავ დაასხით მარილ, ლუდი ან ლვინო, კიდევ შედგით, ცოტა ხნის შემდეგ ამოიდეთ ლანგარზე, ლიმონის ნაჭრები შემოაწყვეთ. წვენს სიმსუქნე მოხადეთ, გაწურეთ, მოასხით მოხრაპულ ხორცს; შეიძლება შემოალაგოთ კარტოფილი, რომელიც უნდა გაფცევნათ, გარეცხოთ და ხორცოან მოხარაკოთ; შეიძლება მიუმატოთ ორი ან სამი კოვზი არაუანი.

მასალად საჭიროა: სამი გირვანქა ძროხის ხორცი, სიმსუქნე – გირვანქის მეოთხედი, ერთი თავი ხახვი, ერთი ძირი ოხრახუში, ერთი სტაფილო, დაფნის ფოთოლი ორი ან სამი, ნახევარი ლიმონი, მიხაკი ორი ან სამი, ჭვავის პური, ლუდი – ერთი ან ორი ჭიქა, მეოთხედი ჭიქა ძმარი ან ლვინო, კარტოფილი, ორი ან სამი კოვზი არაუანი.

ჩვეულებრივ მოხრაპული ძროხის ხორცი. სამი ან ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი, ბეჭის ნაჭერი, გარეცხეთ ცივ წყალში, დადეთ ტაფაზე, დაამარილეთ, შემოაყარეთ გარშემო დაჭრილი სტაფილო, ხახვი, ნიახური, ოხრახუში, დაასხით ერთი ჭიქა პურის ბურახი, შედგით დუმჟელში, ხორცი

ხშირად უნდა გადააბრუნოთ და ბურახი მიუმატოთ; როდესაც ხორცი მზად იქნება, წვენი გაღმოწურეთ ქაბში, გაანელეთ, სიმსუქნე მოხადეთ, გირვანქის მეოთხედ ერბოში აურიეთ ნახევარი კოვზი ფქვილი, გახსნით წვენში, დადგით ცეცხლზე და ურიეთ, ფქვილის კარგად შეკვრამდე. დადეთ მოხრაპული ხორცი ლანგარზე, დაჭერით და ეს საწებელა დაასხით.

მასალად საჭიროა: ძროხის ხორცი – სამი ან ხუთი გირვანქა ბეჭის ნაჭერი, პურის ბურახი – ერთი ბოლოლი, სტაფილო ერთი, ხახვი ერთი თავი, ნიახური ერთი, ოხრახუში ერთი ძირი, ერბო – ნახევარი კოვზი, ფქვილი ნახევარი კოვზი.

უშვენიერობის შემზარი. წინა დღით ხუთი-ექვსი გირვანქა ძროხის ხორცი ბეჭის თავის ნაჭერი კარგად დაბეგვეთ, წაუსვით ორი ჩაის კოვზი მარილი და ერთი კოვზი წმინდად დანაყილი პილაბლი; ჩადეთ ქილაში, დახურეთ და დადგით მეორე დღემდე. სადილობამდე ტრი სათოთ ადრე ჩადეთ ხორცი ტაფაში, გარშემო შემოუწევეთ გირვანქის მეოთხედი ერბო, როდესაც ხორცი დაწილდეს, ცოტა წყალი მიუმატეთ; ხორცს ორცხობილა შემოაყარეთ.

მასალად საჭიროა: ძროხის ხორცი – ბეჭის თავის ნაჭერი სამი ან ხუთი გირვანქა, მარილი, პილაბლი, ერბო გირვანქის მეოთხედი, ორცხობილა სამი ან ოთხი.

ვრანგულად შემზარი სუპი. სუკი კარგად დაბეგვეთ, მარილი და პილაბლი მოაყარეთ, შექამშეთ, ქაღალდში შეახვით, შეკარით, შეწვით ან შამფურზე ან ტაფაში ერბოთი; მიხედეთ – არ დასწვაო ან წვენი არ გამოადინოთ; რომ შეიწვას, დადეთ ლანგარზე, დაჭერით და მოხრაპული კარტოფილი შემოაყარეთ.

მასალად საჭიროა: სამი გირვანქა სუკი, ერბო – გირვანქის მეოთხედი, კარტოფილი – გარნცის სამი მეოთხედი, მარილი, პილაბლი.

დაასხით ზედ რომელიმე საწებელა.

ძალალები შემზარი სუპი. სუკი აქა-იქ ჩაუდეთ ქონები, გარშემო ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი შემოუწევეთ, დააყარეთ დანაყილი ბაპარი, მარილი, დაასხეურეთ ლიმონის წვენი, ერბოწასმელ ქაღალდში შეახვით და თოკით შეკარით; ააგეთ შამფურზე, დაუდეთ ცეცხლზე და ტრიალით შეწვით, ისე რომ წვენი ლანგარზე ჩამოდიოდეს. დრო ისე უნდა გაიანგიროთ, რომ შამფურიდან ახლად დაჭრილი, ცეცხლ-ცხელი მიართვათ სუფრაზე. ზედ დაასხით თავისივე წვენი, რამდენიმე ნაჭერ ლიმონთან აღუდებული.

შეიძლება გარშემო შემოუწევეთ შემწვარი კარტოფილი.

მასალად საჭიროა: სამი გირვანქა სუკი, სამი თავი ხახვი, ბაპარი – ათი მარცვალი, ორი კოვზი ერბო, ნახევარი ლიმონი, ქონი – გირვანქის მეოთხედი.

ძროხის ხორცი შემზარი. სუკს ძარღვები გამოაცალეთ, მარილი მოაყარეთ, შემოუწევეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, დაფნის ფოთოლი, ლიმონის ქერქის ნაფეხები და დადგით ასე რამდენიმე სათო; შემდეგ შამფურზე შეწვით, ერბო წაუსვით რამდენჯერმე, წააძრეთ ლანგარზე და

ხორცის ნახარში დაასხით; როდესაც გაცივდეს, სქელ ნაჭრებად დაჭ-ერით, თოთოეული ნაჭერი ერბოში მოხავდეთ, დადევთ ცხელ ტაფაზე და ორივე მხრიდან მოხრაკეთ. მიართვით შემწვარ კარტოფილთან ერთად; ის წვენი, რომელიც შამფურიდან ჩამოდიოდა, ზედ დაასხით. სალათაც მიაყოლეთ თან.

ახლად დამარილებული მოხარშული ლორი ანუ შაშხი. კარგად გარეცხეთ ახალი ლორის ნაჭერი, თუ დიდი ხნისაა, დაალბეთ თრი საათი წყალში, მერე მოხარშეთ კარგად, თანაც ჩანგლით დაზერიტეთ; მირომევის დროს ააძრეთ ტყავი, დასჭერით ნაჭრებად. მიართვით ცივი ან თბილი; შეიძლება თანაც მოხარშული კარტოფილი მიართვათ ან საწებელი მწვანილისა ან ძირეულობისა, ან პირშუშხა მმრით.

მოხარშული შესრულილი ლორი ანუ შაშხი. დაალბეთ დამეცივ წყალში შებოლდილი ლორი, დილით აღუდებული ცხელი წყლით გარეცხეთ, ხეხეთ ქატოთ, მინამდის არ გასუფთავდება, კიდევ გაავლეთ ცივ წყალში, შეკარით ტილოში, დაასხით ცივი წყალი, ხარშეთ ჯერ დიდ ცეცხლზე, მერე ცოტა ხანს უყურეთ, რომ არ ჩაიხარშოს.

თუ ცივად მიირომევთ, დააცალეთ თავისივე წვენში გაცივება.

ბამომცხვარი ლორი. დიდი ნაჭერი ლორისა ანუ ბარკალი ლორისა დაალბეთ დამეცივ წყალში, დილით გარეცხეთ მდუღარეში, გახეხეთ ქატოთ კარგად, გაავლეთ სუფთა ცივ წყალში, გაწმინდეთ მშრალად. გაახვიეთ ცომში მოლად, შედეთ დუმელში, გამოიდეთ ისევ დუმელიდან, არ გააცალოთ ცომი, კიდევ არ გაცივდება. გაცივების შემდეგ გააძრეთ გამსმარი ცომი, გაასუფთავეთ, ააძრეთ ტყავი, დაჩვრიტეთ მიხაკით, დააყარეთ ერთი ჩაის კოგზი დაყქული შაქარი და ერთი ჩაის კოგზი პილ-პილი, შედეთ რამდენიმე წუთს დუმელში, შაქარი უნდა კარგად გაუჯდეს და დაიბრაწოს.

ბამომცხვარი ლორი სხვანაირად. ცომში გამოცხობამდე ლორს უნდა ტყავი გააძროთ, რომ ადგილას დანა გაუტაროთ, ქონხე ერთი თოთის სისქედ შაქარი მოაყაროთ, განაძრობი ტყავი ისევ ზედ დააფაროთ, დაამაგროთ ჩიორებით, შეახვიოთ ჭავის ცომში და შესდოთ დუმელში. ასე შემწვარ ლორს თურმე ნაზი გემო ეძლევა.

ბარეული მისი ან ირმის შემზარი. ერთი ნაჭერი გარეული თხის ან ირმის ხორცი კარგად დაბეგვეთ, გარეცხეთ, მოაყარეთ მარილი, დანაყილი ბაკარი, მიხაკი, კაკრა, შემოუწევთ გარშემო დაფინის ფოთოლი, დაასხით ზედ აღუდებული მმარი და ცივ ადგილას შეინახეთ ერთი კვირა; ხორცი ყოველდღე უნდა გადააბრუნოთ.

ცხვრის ბულ-ლიმლი დაპატილი და მოხრაბული. ცხვრის გულ-დვილი და ფილტები კარგად გარეცხეთ და წმინდად დაკეპეთ, თან შეაკეპეთ თრი გირვანქა ხახვი, ათი მარცვალი დანაყილი პილპილი და ერთი კოგზი მარილიც მოაყარეთ, გათქვიფეთ ამასთანავე შვიდი კვერცხი და დაკეპილი გულ-დვილი შიგ კარგად აურიეთ; შემდეგ გააცხელეთ ტაფაში ნახევარი გირვანქა ერბო, ეს დაკეპილი გულ-დვილი შიგ ჩა-

ურეთ და მოწვით; როცა ერთი მხარე მოიწვას, გადააბრუნეთ და მეორე მხარეც მოწვით.

მასალად საჭიროა: ცხვრის გულ-დვილი და ორი გირვანქა ხახვი, ათი მარცვალი პილპილი, შვიდი კვერცხი, ნახევარი გირვანქა ერბო, მარილი.

შემზარი 0 ხეზი, ან გატი შ06დის ჩურჩი0. ბატი, ან იხვი კარგად გაბტყენით, გამოშიგნეთ და გარეცხეთ, შემდეგ ააგეთ შამფურზე და ნაკვერჩხალზე ატრიალეთ, თან მარილ-წყალი წაუსვით ფრთით, როდესაც მარილ-წყალი საკმაო წაუსოთ, ფრთითავე წაუსვით გამდნარი ერბო, ვიდრე კარგად არ დაწილდეს. მერე ერთი ჯამი შინდის ჩურჩა გარეცხეთ და ჩაყარეთ ცხელ წყალში, რომ დალბეს; ამასთანავე მოხრაკეთ ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი ერთ ჭიქა ერბოში და, ხახვი ჩაითუქოს თუ არა, ის ჩურჩაც შიგ ჩაყარეთ და კარგად მოშუშეთ, მერე დაასხით ერთი ჭიქა წყალი და წამოადულეთ, ბატი დასტერით ასო-ასოთ და ამ ჩურჩაში შიგ ჩადეთ.

მასალად საჭიროა: ბატი ან იხვი, ერბო – ერთი ჭიქა, ხახვი – ორი გირვანქა, შინდის ჩურჩა – ერთი ჯამი, მარილი – ერთი სუფრის კოგზი.

მოუმშული სოკოშბი. ნორჩი თეორი სოკო გაასუფთავეთ, დაჭერით ნაჭრებად, ცქვილში ამოსარსლეთ, ჩააწყევთ ქვაში, თან ჩაყოლეთ მერვედი გირვანქ ერბო, ორი ან სამი ჭიქა არაჟანი, დახურეთ თავი და აღუდეთ; ჩადეთ ერთი კონა ოხერახუში; სანამ დარბილდება, თავდახურულ ქვაბში იხარშოს; გადმოდების დროს ოხერახუში გადააგდეთ, უყავით მარილი, მოაყარეთ მწვანილი და მიართვით; ვისაც სურს, პილ-პილიც შეიძლება მოაყაროს.

მასალად საჭიროა: სოკო თეორი, დასუფთავებული – ერთი სავსე თევზი; არაჟანი – ორი ან სამი ჭიქა, ერბო – გირვანქის მერვედი ან გირვანქის მეოთხედი; სმეტანა ორი ან სამი სტაქანი, მარილი პილპილი.

მოხრაბული სოკო. ყველანაირი სოკო ერთი ერთნაირად მზადდება: უნდა დაასუფთაოთ, წყალი გადაავლოთ, დაჭრათ და ცქვილში ამოსარსლოთ. გირვანქის მეოთხედი ერბო ქვაბში გააცხელეთ (ვისაც სურს, შეიძლება ერთი თავი ხახვიც მოხრაჟოს), ჩააწყევთ სოკო, მარილი მოაყარეთ და შუათანა ცეცხლზე ხრაკეთ, ერთ მხარეზე რომ დაწილდება, მეორეზე გადააბრუნეთ; როცა სოკო შხად იქნება, ნახევარი ჭიქა არაჟანი დაასხით, ერთი კიდევ გადმოადულეთ, ჩაყარეთ კამა, ოხერახუში და მიართვით.

მასალად საჭიროა: სოკო დასუფთავებული – ერთი სავსე თევზი, ცქვილი ერთი კოგზი, ერბო გირვანქის მეოთხედი, ხახევარი ჭიქა არაჟანი, (ხახვი ერთი თავი), მარილი, პილპილი, მწვანილი.

0 ხეზი მოხრაბული სოკო. თეორი მსხვილი სოკო აღუდებულ წყალში გათუთქეთ, ტილოთი გაამშრალეთ, გათქვეფილ კვერცხში ამოავლეთ, ორცხობილა მოაყარეთ და ჩააწყევთ ცხელ ერბოში, მიართვით ქამის ან ხბოს ხორცის საწებელასთან.

ბატენილი პომიდვრები. აარჩიეთ მწიფე და მაგარი პომიდვრები, გაუკეთეთ პატარა ნახვრეტი, ჩირით გული გამოარიდეთ, გატენეთ ხბოს ხორცის მასალით (ფარში); ვისაც უყვარს, მასალაში მოხარშული ბრინჯიც გაურიეთ; გატენილი პომიდვრი ფქვილში ამოავლეთ, ჩააწევეთ ცხელ ერბოში, მოხრაკეთ, შემდეგ ჩააწევეთ ქვაბში ისე, რომ გული არ გამოსცივდეს; იმდენი ხორცის ნახარში დაასხით, რომ ცოტათი დაფაროს, ადუდეთ და უყურეთ, რომ არ ჩაიხარშოს; როცა მზად იქნება, არაუანი დაასხით, ერთი კიდევ გადმოადუდეთ და მიაროვით.

მასალად საჭიროა: თორმეტი მსხვილი პომიდვრი, ერთი კოვზი ფქვილი, მეოთხედი გირვანქა ერბო, ნახვარი ჭიქა არაუანი.

## თავი V.

### §2. კერძების დამზადების ტრადიციული ტექნოლოგია<sup>1</sup>

#### ინდაურის ან ქათმის საციფი

გასუფთავებული, გარეცხილი ფრინველი ქვაბში მოვათავსოთ, დავასხათ წყალი, დავდგათ ცეცხლზე და ნახევრად მოვხარშოთ. მერე ამოვიდოთ წვენიდან, დავდოთ ოუნუქის ფურცელზე და შევდგათ აირდუმელში შესაწვავად.

ბულიონს მოვხადოთ ცხიმი და მასში მოვშუშოთ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ხახი. შუშვის დროს დავამატოთ ბულიონიდან მოხდილი ცხიმი და თან უკრიოთ, რომ არ დაიწვას. როცა ოდნავ ვარდისფერს მიღებს, ჩავასხათ ბულიონში.

ნიგოზი ხორცსაკეპ მანქანაში ორჯერ გავატაროთ.

ყვითელი ყვავილი (ზაფრანა) კარგად დაგნაყოთ მარილთან ერთად, ჩავახაყოთ ნიორი, ავურიოთ ნიგოზში და ხელით ვსრისოთ, სანამ საკმაო რაოდენობის ზეთს არ გამოყხდით. ცალკე დაგნაყოთ ნიგოზთან ერთად უცხო სუნელი, დარიჩინი, მიხაკი, ქინძის მარცვლები, წიწაკა.

ყველაფერი ეს გავხსნათ თბილ ბულიონში, კარგად მოგურიოთ, გავატაროთ საცერში და დავდგათ ხელ ცეცხლზე მოსახარშად.

ორი კვერცხის გული გავხსნათ ერთ სუფრის კოვზ მმარში და როცა საციფი თითქმის მზად იქნება, ნელა ჩავასხათ და თან სულ გურიოთ, რომ არ აგვეჭრას. ადუდებამდე ჩავაწყოთ შიგ ნაჭრებად დაჭრილი შემწვარი ინდაური ან ქათმი და წამოდუდებისთანავე გადმოვდგათ ცეცხლიდან. როცა მზად იქნება, საციფი ამოვიდოთ ლანგარზე და სუფრაზე მიტანის წინ მოვასხათ ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი.

მასალა: ინდაური ან ქათმი, ნიგოზი – 500-500 გრამი, ხახი – 4-5 თავი, ზაფრანა – 2 ჩაის კოვზი, უცხო სუნელი – 4 ჩაის კოვზი, ნელი ქინძი – 2 ჩაის კოვზი, მიხაკი – 3-4 ცალი, დარიჩინი – 1 ჩაის კოვზი, ნიორი – 4 კბილი, მმარი – 1 სუფრის კოვზი, ნახარში წვენი – 10 ჩაის ჭიქა, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

#### ინდაურის, ქათმის, ბატის ან სხვა ფრინველის საციფი

გასუფთავებული, გარეცხილი ფრინველი ქვაბში მოვათავსოთ, დავასხათ წყალი, დავდგათ ცეცხლზე და ნახევრად მოვხარშოთ. ამოვიდოთ წვენიდან, მოვაყაროთ მარილი, დავდოთ ოუნუქის ფურცელზე და შევდგათ აირდუმელში შესაწვავად.

\* კერძების მომზადების ტექნოლოგია აღწერილია ო. ლომიძის წიგნის მიხედვით „ეტლინარიის ხელოვნება და ქართული კერძების სამზარეულო“, თბილისი, 1991 წელი, გამომცემლობა „ხელოვნება“.

ბულიონს ცხიმი მოვხადოთ და შიგ მოვშეშოთ წვრილად დაჭრილი ხახვი.

ნიგოზი, ნიორი, ქინდი, წიწაკა, მარილი, ყვითელი ყვავილი, მიხაკი, დარიჩინი კარგად დავნაყოთ, დაგამატოთ ძმარი, გავხსნათ ბულიონში და დაგასხათ მოშეულ ხახვს.

ნიგოზის რაოდენობა შეიძლება შევამციროთ, თუ წვენს დავუმატებთ ორ-სამ სუფრის კოგზ სიმინდის ფქვილს, წვენისთვის სისქის მისაცემად.

მასალა: ფრინველი, ხახვი – 300 გრამი, ნიგოზი – 500 გრამი, ბულიონი – 8 ჩაის ჭიქა, მიხაკ-დარიჩინი, ქინდი, ნიორი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, ძმარი, მარილი – გემოვნებით.

### ინდაურის ან ქათმის (ჩახარშელი) საცივი

გასუფთავებული, გარეცხილი, მსუქანი ქათამი ან ინდაური დავჭრათ, მოვათავსოთ ქვაბში, დავუმატოთ დაჭრილი ხახვი, დავდგათ ცეცხლზე და მოვშეშოთ.

ნიგოზი ორჯერ გაგატაროთ ხორცსაცეპ მანქანაში. ავურიოთ შიგ დანაყილი ნიორი, ქინდი, მარილი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, მიხაკი, დარიჩინი, პილაპილი, ძმარი; ეს ყველა ფერი გავხსნათ საქმაო რაოდენობის მდუღარე წყალში, დაგასხათ მოხრაკულ ფრინველის ხორცს და ვადუღოთ, სანამ ხორცი კარგად არ მოიხარშება. დუღილის დროს წყალი არ დავუმატოთ. მასალა: ინდაური ან ქათამი, ნიგოზი – 500 გრამი, ხახვი – 300 გრამი, მიხაკ-დარიჩინი, ქინდი, ნიორი, წიწაკა, ყვითელი, ძმარი, მარილი – გემოვნებით.

### შამფურზე შემწვარი ინდაურის საცივი

გასუფთავებული, გარეცხილი მთლიანი ინდაური ნახევრად მოვხარშოთ, მოვაყაროთ მარილი, წამოვაგოთ შამფურზე, დაგამაგროთ კანაფით და ჩვეულებრივი წესით შევწვათ ნელ ცეცხლზე, შამფურის ტრიალით. ნიგოზს დაგუმატოთ გამხმარი ქინდის თესლი, ყვითელი ყვავილი, ნიორი, დავნაყოთ და გამოვხადოთ ზეთი.

ცალკე დავნაყოთ ქინდი, წიწაკა, მარილი, ავურიოთ შიგ დანაყილი ნიგოზი, გავხსნათ ბულიონში, ხავასხათ სუფთა ქვაბში, დავუმატოთ საცეპ მანქანაში გატარებული ხახვი, მიხაკი, დარიჩინი და ვადუღოთ ხეთი წუთი. შემდეგ ჩავაწეროთ შიგ დაჭრილი, შამფურზე შემწვარი ინდაური, ვადუღოთ 10 წუთი, დავუმატოთ ძმარი და ხეთი წუთი დუღილის შემდეგ გადმოვდგათ ცეცხლიდან, შევაგრილოთ, გადმოვიღოთ ლანგარზე და სუფრაზე მიტანის წინ მოვასხათ ნიგოზიდან გამოხდილი ზეთი.

მასალა: ინდაური, ნიგოზი – 3 ჩაის ჭიქა, ქინდი – 2 ძირი, ნიორი – 1-2 ქილი, ხახვი – 3-4 თავი, წიწაკა, მარილი, მიხაკი, დარიჩინი, ქინდის თესლი, ძმარი, ყვითელი ყვავილი – გემოვნებით.

### ინდაურის საცივი აჭარულად

გასუფთავებული, გარეცხილი ინდაური მოვათავსოთ ქვაბში და მთლიანად მოვხარშოთ. ნახარშს მოვხადოთ ცხიმი და ამ ცხიმში მოვშეშოთ წვრილად დაჭრილი ხახვი. ცალკე დავნაყოთ ნიგოზი, ჩავალესოთ კარგად დანაყილი ხმელი სუნელი, ნიორი, წიწაკა და გავხსნათ ინდაურის ნახარშში. მოხარშელ ინდაურს მოვაყაროთ მარილი, გავაცივოთ, დავჭრათ და მოვასხათ გამზადებული, გაციებული წვენი.

ინდაური, ხახვი – 400 გრამი, ნიგოზი – 4 ჩაის ჭიქა, კვერცხი – 3 ცალი, ნიორი, წიწაკა, ხმელი სუნელი, მარილი – გემოვნებით.

### ინდაურის ან ქათმის საცივი გურულად

გასუფთავებული, გარეცხილი ინდაური ან ქათამი მოვათავსოთ ქვაბში, დავასხათ წყალი, დავდგათ ცეცხლზე მოსახარშად. როცა მოიხარშება, ამოვიდოთ ქვაბიდან, მოვაყაროთ მარილი და შევდგათ აირლეულში შესაწვავად.

დალიან წმინდად დავგეპოთ გასუფთავებული ხახვი. დავასხათ მოსაზუშად ნიგოზიდან გამოხდილი ზეთი და ფრინველის ნახარშის სიმსუქნე; 10 წუთის შემდეგ ჩავამატოთ გაცრილი ხორბლის ფქვილი და კილვე ვშეშოთ ხახვოთ ერთად. როცა კარგად მოიშეუშება, თანდაოან გავხსნათ ინდაურის ან ქათმის ნახარშში, ჩავუმატოთ მიხაკ-დარიჩინთან და დაფნის ფოთოლთან ერთად მოდუღებული დვინის ძმარი. შევანელოთ დანაყილი ნიგრით, პილაპილით, ქინდით, გამით, თხრახუშით, ხმელი სუნელით. ყველა ეს სანელებელი გავხსნათ საცივის წვენში და ავურიოთ ერთმანეთში.

დავჭრათ საშუალო ზემის ნაჭრებად ინდაური ან ქათამი, ხავაწყოთ საცივის წვენში, 5-10 წუთი წამოდუღების შემდეგ ქვაბი გადმოვდგათ ხავებიდან და ჩავუმატოთ ყვითელ ყვავილოთან (ზაფრანა) ერთად ძალიან წმინდად დანაყილი ნიგოზი, გახსნილი ბულიონში. შეიძლება აქვთ ჩავამატოთ კვერცხის გული.

მასალა: ინდაური ან ქათამი, ხახვი – 300 გრამი, ნიგოზი – 3-4 ჩაის ჭიქა, ფქვილი – 2 სუფრის კოვზი, კვერცხი – 2 ცალი, ნიორი, ხმელი სუნელი, პილაპილი, მწვანილი, ძმარი, საფრანა, მიხაკი, დარიჩინი, დაფნის ფოთოლი, მარილი – გემოვნებით.

### თევზის საცივი

გასუფთავებული, გარეცხილი თევზი ნახევრად მოვხარშოთ და მერე შევწვათ.

წმინდად დავნაყოთ ნიგოზი ნიორთან და ყვითელ ყვავილოთან (ზაფრანა) ერთად და გამოვხადოთ ზეთი. ცალკე დავნაყოთ ქინდის თესლი, წიწაკა, ქონდარი, ხედლი თხრახუში, ცოტა მარილი და კარგად ავურიოთ დანაყილ ნიგოზში, გავხსნათ ძმარში და თევზის ბულიონის ზედაპირიდან მოხდილ სიმსუქნეში. ბულიონი ჩავასხათ სუფთა ქვაბში, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი, დავდგათ ცეცხლზე და მივიყვანოთ

ადუდებამდე. შემდეგ გადმოვდგათ ცეცხლიდან და ავურიოთ შიგ კარგად გათქვეფილი კვერცხის გული.

შემწვარი თევზი ლანგარზე მოვათავსოთ და დავასხაოთ ზედ ცხელი საცივი, როცა შეგრილდება, სუფრაზე მიტანის წინ, მოვასხაოთ ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი.

**მასალა:** თევზი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1,5 ჭიქა, მმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, ხავი – 4-5 თავი, ნიორი – 2 კბილი, კვერცხის გული – 3 კვერცხის, ქონდარი, ოხრაუზი – 2-2 მირი, ქინი, წიწსაკა, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის ხორცის სალათა იმერულად

შემწვარი ქათმის ან ინდაურის რბილი ხორცი დავჭრათ წვრილ და თხელ ნაჭრებად. დაგუმატოთ თხლად დაჭრილი მოხარშეული კვერცხი, დაკეპილი ახალი სალათა, ბროწეულის მარცვლები, მარილი, პილპილი, წმინდად დაჭრილი მწვანე ხავი, ახალი კმა, სუსტ ღვინის ძმარში გახსნილი, დანაყილი ნიგოზი და დაკეპილი ხავი. მომზადებული ნიგზის საწებლით შევაზვოთ ქათმის ხორცი, ავურიოთ კარგად ერთმანეთში. როდესაც მზად იქნება, მოვათავსოთ ლანგარზე, მოვაყარიოთ დაკეპილი ახალი ტარხუნა და ბროწეულის მარცვლები.

**მასალა:** ქათმი ან ინდაური, კვერცხი – 5 ცალი, ახალი სალათა – 300-400 გრამი, ახალი ხავი – 1 კონა, ნიგოზი – 1,5 ჩაის ჭიქა, ბროწეული – 2 ცალი, მწვანილი, პილპილი, მარილი, მმარი – გემოვნებით.

### ღორის თაფ-ფეხის საცივი

ღორის თაფ-ფეხი გავასუფთავოთ რაც შეიძლება კარგად, გავრცხებოთ. ფეხები გავჭრათ შუა-შუა; თავი კი გავჭრათ ოტხად, მოვათავსოთ ქვაბში, დავასხაოთ ბლობად წელი და დავდგათ მოსახარშად. დუღილის ღროს ჩავამატოთ ხავი, სტაფილო, დაფნის ფოთოლი, პილპილი. როდესაც ხორცი ისე მოიხარშება, რომ ჩაიშლება და ძვლებს მოშორდება, გადმოვდგათ ცეცხლიდან, ამოვალაგროთ ნახარშიდან, მოვაშოროთ ძვლებს რბილები და დავჭრათ წვრილად, ჩავყაროთ სუფთა ქვაბში, ზევიდან დავაწუროთ თავისი ნახარში და ავადულოთ. ადუდებისას შევანელოთ მარილით, დანაყილი ნივრით.

კერძის გაფორმების მიზნით, მოხარშეული სტაფილო დავჭრათ თხელ ნაჭრებად, მოვათავსოთ განიერ ჭურჭელში, დავასხაოთ ზემოადნიშნული ნახარში და გავაცივოთ. როცა გამაგრდება, დავჭრათ, გადმოვაბრუნოთ და გადმოვიდოთ ლანგარზე სუფრაზე მისატანად.

**მასალა:** ღორის თაფ-ფეხი – 4 კილოგრამი, ხავი – 4-5 თავი, სტაფილო – 3-4 ცალი, მმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, დაფნის ფოთოლი – 3-4 ცალი, ნიორი – 1 თავი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით.

### ღორის ფეხების მუჟუჟი

ღორის ფეხები კარგად გავასუფთავოთ, გავრცხებოთ, ჩავდოთ ქვაბში, დავასხაოთ წელი და ვხარშოთ. როცა კარგად მოიხარშება, შევანელოთ

მარილით და გადმოვდგათ. მმარში ჩავყაროთ დაფნის ფოთოლები და შავი პილპილის მარცვლები, დავასხაოთ სამი-ოთხი ჩაის ჭიქა დორის ფეხების ნახარში, დავდგათ ცეცხლზე და რამოდენიმეჯერ წამოვადულოთ. მოხარშეული ფეხები შუა-შუა ჩავჭრათ, ჩავალაგროთ ქილაში, დავასხაოთ ცეცხლ-ცხელი შესავებული ძმარი, დავახერიოთ თავი და შევინახოთ ცივ ადგილას. ასე მომზადებული დორის ფეხები საჭმელად ვარგისია მეორე დღიდან და ინახება ორი კვირის განმავლობაში ცივად.

**მასალა:** ღორის ფეხები – 10 ცალი, მმარი – 3 ჩაის ჭიქა, პილპილი – 10-15 მარცვლი, დაფნის ფოთოლი – 10 ცალი, მარილი – გემოვნებით.

### ღორის ხორცის მუჟუჟი

გარეცხილი, ნაჭრებად დაჭრილი დორის ხორცი ქვაბში ჩავყაროთ, დავასხაოთ წელი ისე, რომ ხორცის ფარავდეს. მიგუმატოთ დაფნის ფოთოლი, პილპილი, მარილი და მოვხარშოთ. როცა ხორცი კარგად მოიხარშება, დავასხაოთ ძმარი და წამოდულებისთანავე ცეცხლიდან გადმოვდგათ. მერე ჩავასხაოთ შესაცერ ჭურჭელში და გავაციოთ.

**მასალა:** ღორის ხორცი – 1 კილოგრამი, დაფნის ფოთოლი – 2 ცალი, მმარი – 3/4 ჩაის ჭიქა, შავი პილპილის მარცვლები, მარილი – გემოვნებით.

### თევზის გამჭვირვალე მუჟუჟი

ავიღოთ კუფალი ან ლოქო, გავანთავისუფლოთ ძვლებისაგან, მოვხარშოთ მარილით შესავებულ მდუღდარე წელში. როდესაც მზად იქნება, ამოვალაგროთ; ნახარში ჩავუშვათ დაჭრილი თევზის ძვლები და კარგად გამოვხარშოთ. მოხარშეული თევზი ჩავაწყოთ დაბალ ფაროს ქვაბში და დავასხაოთ საწურზე გაწურული ნახარში იმდენი, რომ თევზი დაიფაროს. ჩავამატოთ მოხარშეული, მრგვალად დაჭრილი სტაფილო, მწვანილის თეორი ძირები, ხავი, დაფნის ფოთოლი, პილპილი, ძმარი, დავდგათ ცეცხლზე და წამოვადულოთ, ხუთი წემდეგ გადმოვდგათ და გავაციოთ.

**მასალა:** თევზი – 1 კილოგრამი, მმარი – 1/4 ჩაის ჭიქა, სტაფილო – 2-3 ცალი, ხავი – 2-3 თავი, დაფნის ფოთოლი – 2-3 ცალი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### წენიანი კერძები

#### ხაში ძროხის შიგნეულისა და ჩლიქებისაგან

კარგად გასუფთავებული და თბილ წელში გარეცხილი ძროხის ფაშვი, ნაწლავები, ჩლიქები დავჭრათ მოგრძო ნაჭრებად, ჩავყაროთ მდუღდარე წელში. აღუღდება თუ არა, წვენი გადავღვაროთ, ხელახლა დავასხაოთ აღუღდებული წელი და ვხარშოთ, სანამ წვენი არ შესქელდება და ჩლიქები კარგად არ ჩაიხარშება. სუფრაზე მიტანის წინ შევაზვოთ მარილით და ნივრით. თუ გვსურს ხაში თეორი გამოვიდეს, შეგვიძლია დავამატოთ ცოტადები რძე.

**სუფრაზე ცალკე ჭურჭლით** მივიტანოთ დანაყილი ნიორი და ღვინის მმარი.

**მასალა:** ძროხის შიგნეული და ჩლიქები – 2 კილოგრამი, ნიორი – 15-20 კბილი.

### **ხაში ცხვრის შიგნეულისა და ჩლიქებისაგან**

კარგად გასუფთავებული, თბილ წყალში გარეცხილი ცხვრის თავ-ფეხი და კუჭ-ნაწლავი მოვათაგსო ქვაბში, დავასხათ წყალი და ვხარ-შოთ დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში. შემდეგ ამოვილოთ, გავა-ციოთ, დავჭრაო წვრილად და ისევ ჩავყაროთ თავის წვენში, შევაზავოთ მარილით და მმრით. ციკ წყალში გახსნილი დანაყილი ნიორი სუფრაზე ცალკე მივიტანოთ.

**მასალა:** ცხვრის თავ-ფეხი – 2 კილოგრამი, გასუფთავებული ნაწ-ლავები – 600 გრამი, ნიორი – 7-8 კბილი, მმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, მარილი – გემოვნებით.

### **ძროხის ხორცის ხარშო**

ძროხის მსუქანი ხორცი ნაჭრებად დაჭრაოთ, კარგად გავრეცხილო, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ ბლობმად წყალი და დავდგათ მოსახარშად. დუღილის დროს მოვხადოთ ქაფი. ხარშვის დამთავრებამდე, დაახლოე-ბით ნახევარი საათით ადრე, ჩავყაროთ შიგ დარჩეული და გარეცხილი ბრინჯი, დაჭრილი ხახვი, ქინდი, ოხრახუში, ტყემლის ტყლაპი, დანაყილი ნიორი, მარილი, წიწაკა და ვადულოთ ნელ ცეცხლზე. ტყემლის ტყლაპის მაგიერ შეიძლება გამოვიყენოთ ტყემლის ან პამიდვრის საწებელი.

**მასალა:** ძროხის ხორცი – 1 კილოგრამი, ბრინჯი – 1 ჩაის ჭიქა, ხახვი – 4-5 თავი, ქინდი – 5 მირი, ოხრახუში – 5 მირი, ტყემლის ტყლაპი – 200 გრამი, ნიორი, წიწაკა – გემოვნებით.

### **ცხვრის ხორცის ხარშო**

მსუქანი ცხვრის ხორცი დავჭრაოთ ნაჭრებად, გავრეცხილო, ჩავყარ-ოთ ქვაბში, დავამატოთ დაკეპილი ხახვი, დავდგათ ცეცხლზე და მოვშუ-შოთ. დავასხათ მდუღარე წყალი, იმდენი, რომ ხორცი კარგად დაიფაროს. ჩავყაროთ დარჩეული და კარგად გარეცხილი ბრინჯი. შევაზავოთ და-ნაყილი ნივრით, ქინდით, წიწაკით და მარილით. დავუმატოთ გამზადებუ-ლი ტყემლის საწებელი, კვაწარახი ან მაშარაბი, პილპილი და გხარშოთ, სანამ ხორცი მზად არ იქნება.

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 5 თავი, ბრინჯი – 1 ჩაის ჭიქა, ქინდი, ნიორი, წიწაკა, ტყემალი (კვაწარახი, მაშარაბი), პილ-პილი, მარილი – გემოვნებით.

### **ქათმის ხარშო**

კარგად გასუფთავებული ქათამი დაჭრაოთ ნაჭრებად, გავრეცხილო, დავასხათ წყალი და დავდგათ მოსახარშად. დუღილის დროს მოვხადოთ

ქაფი, დავამატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი. ცალკე მოვხარშოთ გახეხილი პამიდორი. კარგად დავნაყოთ ნიგოზი, ყვითელი, ნიორი, წიწაკა, ქინდი, მარილი. ეველაფერი ეს გავასხათ პამიდორის წვენში, დავამატოთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ჩავასხათ წვენში. ვადულოთ კიდევ 10-15 წუთი. პამიდ-ვრის მაგიერ შეიძლება გამოვიყენოთ კვაწარახი ან ტყემლის საწებელი.

**მასალა:** ქათამი, ხახვი – 4-5 თავი, პამიდორი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ოხრახუში – 3-4 მირი, ქინდი – 3 მირი, ყვითელი ყვავილი, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **ქათმის, ინდაურის ან ბატის ხარშო**

ქათამი, ინდაური ან ბატი გავასუფთავოთ, გავრეცხილო, დაჭრაოთ ნაჭრებად, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ წყალი და დავდგათ მოსახარშად. დუღილის დროს მოვხადოთ ქაფი, ჩავამატოთ დარჩეული, გარეცხილი ბრინჯი, დაჭრილი ხახვი, ტყლაპი. ბოლოს შევაზავოთ მარილით და ჩა-ვყაროთ შიგ დაჭრილი ქინდი.

**მასალა:** ქათამი, ინდაური ან ბატი, ბრინჯი – 1 ჩაის ჭიქა, ხახვი – 400 გრამი, ტყლაპი – 100 გრამი, ქინდი – 4-5 მირი, მარილი – გემოვნებით.

### **ქათმის ჩიხირთმა**

გასუფთავებული, გარეცხილი ქათამი ქვაბში მოვათავსოთ, დავასხა-თ წყალი და მოვხარშოთ. მოხარშული ქათამი ბუღლიონიდან ამოვი-ლოთ და მოვაყაროთ მარილი. ხახვი წვრილად დაჭრაოთ ან გავატაროთ სორცსაკეპ მანქანაში და მოვშუშოთ ხორცის სიმსუქნეში ან ერბოში. დავამატოთ პურის ფქვილი და 3-4 წუთი ვშუშოთ. შემდეგ დავასხათ ქათმის ბუღლიონი, წამოვადულოთ და ხშირ-ხშირად ვურიოთ.

ცალკე ჭურჭელში გავთქვიფოთ იმდენი კვერცხის გული, რამდენ კაცზე არის გაოვალისწინებული ბუღლიონი და ნელა ჩაგუშვათ წვენში, თან გამუდმებით ვურიოთ; როგორც კი შევამნევოთ, რომ ადუღებას აპირებს, ჩავმატოთ მმარი, წვრილად დაჭრილი ქინდი და მარილი.

სუფრაზე მიტანისას თეფშზე დავაწყოთ დაჭრილი ხორცი და დავასხათ ჩიხირთმა.

**მასალა:** ქათამი, ხახვი – 4 თავი, კვერცხი – 5-6 ცალი, ქინდი – 4 მირი, ჟურის ფქვილი – 2 სუფრის კოჭხი, მმარი, მარილი – გემოვნებით.

### **ქათმის, ცხვრის ან ბატგნის ჩიხირთმა**

წვრილად დაჭრილი ან ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ხახვი მოვშუშოთ ხორცის სიმსუქნეში. ჩავყაროთ შიგ გასუფთავებული, ნაჭრე-ბად დაჭრილი ქათამი ან ბატგნის ხორცი და ხახვიანად ვხრაკოთ 10-15 წუთი. როცა ხორცი მოიხრაკება, დავასხათ იმდენი წყალი, რომ ხორცი კარგად დაიფაროს და ვადულოთ, სანამ კარგად მოიხარშება. დავუმატოთ დანაყილი ქინდი, მარილი, დარიჩინი. კვერცხი გავთქვიფოთ, გავასხათ მმარში, ჩავმატოთ უკვე მომზადებულ წვენში და ვურიოთ, რომ არ აგვ-

ჭრას. შეიძლება დავამატოთ უვითელი უვავილის ნაყენი (ცივ წყალში დაყენებული).

**მასალა:** ქათამი ან ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 5 თავი, კვერცხი – 4-5 ცალი, ქინძი, დარიჩინი, მმარი, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის კუჭმაჭის ჩინირთმა

გასუფთავებული, გარეცხილი ქათმის კუჭმაჭი თავისი სიმსუქნით ქვაბში მოვათავსეოთ, დავასხაოთ წყალი და მოვქარშოთ. მოხარშულ წვენს მოვხადოთ სიმსუქნე, ჩავასხაოთ სუფთა ქვაბში, ჩავამატოთ ძალიან წვრილად დაჭრილი ან ხორცასკეპ მანქანაში გატარებული ხახვი, გშუშოთ და თან ვამატოთ ცოტ-ცოტა ბულიონი თავის სიმსუქნით, რომ ხახვი არ მიეწვეს ჭურჭლის ფსექრს. მოშუშულ ხახვში ჩავასხაოთ გაწურული ბულიონი, ავადულოთ, მოვათავსეოთ შიგ წვრილად დაჭრილი ქინძი. ცალკე ჭურჭელში გადმოვიდოთ ცოტა წვენი, გაქსნაოთ შიგ პურის ფქვილი, გათქვევილი კვერცხის გული, ჩავასხაოთ ჩინირთმაში, ჩავყაროთ მარილი და განუწყებულივ ვურიოთ, რომ არ აგვეჭრას.

სუფრაზე მიტანის წინ დავამატოთ ლიმონის წვენი.

**მასალა:** (მასალა აღებულია ერთი ქათმის კუჭმაჭიზე, პროპორციულად გაიზრდება შესაბამის რაოდენობაზე) კუჭმაჭი – 1 ქათმისა, ხახვი – 1 თავი, კურის ფქვილი – 1 ჩაის კოვზი, კვერცხის გული – 1 ცალი, ლიმინის წვენი – 1 ჩაის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

### ჩანახი თიხის ჯამებში

თითოეულ თიხის ჯამეში მოვათავსეოთ თხლად დაჭრილი მსუქანიცხვრის ხორცის ნაჭრები. ორი ცალი საშუალო ზომის მოლიანი პამილორი (კნიანად), ერთი ცალი ბადრიჯანი, ორი ცალი გაფცექნილი კარტფილი – სიგრძეზე ორად გაჭრილი. მოვაყაროთ მარილი და პილპილი.

ბადრიჯანი წინასწარ მოვამზადოთ ასე: მოვაჭრათ თავი, ჩავუჭრათ გვერდი და შიგ ჩავაწყოთ მარილმოყრილი ცხვრის დუმის ნაჭრები, წვრულად დაჭრილი ნიორი, რეპანი, ოხრაცხუში, ხახვი. ჯამები შევდგათ აირლუმელში და შევწვათ ხორცის გაწითლებამდე. სუფრაზე მივიტანოთ ჯამებითვე, ცალ-ცალკე თითოეულ ადამიანზე.

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, პამილორი – 1 კილოგრამი, კარტფილი – 700-800 გრამი, ხახვი – 200 გრამი, ცხვრის დუმა – 200 გრამი, ბადრიჯანი – 6-7 ცალი, ნიორი – 1 თავი, მწვანილი – 4-4 მირი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### ჩანახი (ქვაბში)

ვინაიდან თიხის ჯამების საშუალება ოჯახში ჩამირად არ არის, ამიტომ ჩანახი შეიძლება ქვაბშიც მომზადდეს.

ცხვრის დუმა დაჭრათ წვრილად და მოვშუშოთ. ამ ქონში ცალ-ცალკე შევწვათ მოელ-მთელი ბადრიჯანი, ოთხად გაჭრილი (სიგრძეზე) კარტფილები, მოელ-მთელი მწიფე პამილორი.

მოშუშულ დუმის ნარჩენებში ავურიოთ წვრილად დაჭრილი ნიორი, ქინძი, ოხრაცხუში, ნიახური, რეპანი, წიწაკა, დანაყილი ქინძის თესლი. ეს გულსართი ფრთხილად ჩავდოთ ბადრიჯანში და პამილორში, ისე რომ არ დაირღვეს მოლიანობა.

ცალკე შევწვათ წვრილად დაჭრილი ხორცისავალაგოთ ქვაბში თანმიმდევრობით, ფენა-ფენა, ჯერ ბადრიჯანი, შემდეგ ხორცი, დაჭრილი ხახვი, კარტფილი, პამილორი, ხორცი, ბადრიჯანი, კარტფილი, ხორცი, ხევიდან პამილორი. დავასხაოთ გულსართისა და ცხიმის ნარჩენები და 10-15 წუთი გშუშოთ. მარილს ყვალაფერს ცალ-ცალკე ვაყრით შეწვის დროს.

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, ნიორი – 1 თავი, ცხვრის დუმა – 200 გრამი, ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, პამილორი – 1 კილოგრამი, კარტფილი – 800 გრამი, მწვანილი – 3-3 მირი, წიწაკა, დანაყილი ქინძის თესლი, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის ბულლამა

გასუფთავებული, მსუქანი ქათამი დავჭრათ ნაჭრებად, ქვაბში მოვათავსეოთ და ნახევრად მოვხარშოთ.

გარეცხილი, დამტერებული მწვანე ლობით მოვხარშოთ მარილიან წყალში. ხახვი ძალიან წვრილად დავჭრათ და ერბოში მოვშუშოთ. პამილორს კანი მოვაცილოთ, დავჭრათ ნაჭრებად და შევურიოთ მოშუშულ ხახვს.

ნახევრად მოხარშულ ქათამს დავუმატოთ მწვანე ლობით, პამილორი, წვრილად დაჭრილი ოხრაცხუში, რეპანი, ქინძი, წიწაკა და გხარშოთ, სანამ მზად არ იქნება.

**მასალა:** მსუქანი ქათამი, ერბო ან კარაქი – 50 გრამი, ხახვი – 3 თავი, პამილორი – 600 გრამი, მწვანე ლობით – 300 გრამი, მწვანილი – 2-2 მირი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის სუპი ლიმონით და კვერცხით

კარგად გასუფთავებული საშუალო ზომის ქათამი ჩავდოთ ქვაბში, დავასხაოთ წყალი და გხარშოთ; დუდილის დროს მოვხადოთ ქაფი, დავამატოთ ხახვი, ჩავაგდოთ შუაზე გაჭრილი ლიმონი და კიდევ ვადულოთ. ამოვილოთ მოხარშული ქათამი, ბულიონი კი ჩავყაროთ ვერმიშელი. როცა მოიხარშება, გადმოვდგათ ცეცხლიდნა, ამოვილოთ მოხარშული ლიმონი, სუპში კი შევურიოთ ქინძი, ოხრაცხუში, კამა, კარგად ათევეფილი კვერცხის გული და მარილი. სუპიდან ამოღებული ქათამი მივიტანოთ სუფრაზე ცალკე, საშემცირებელით.

**მასალა:** საშუალო ზომის ქათამი, ხახვი – 3-4 თავი, ვერმიშელი – 100 გრამი, ლიმონი – 1 ცალი, კვერცხის გული – 2 ცალი, მწვანილი – 2-2 მირი, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის სუპი ყვავილოგანი კომბოსტოთი

საშუალო ზომის ქათამი გავასუფთავოთ, დავჭრათ ნაჭრებად, დავასხაოთ წყალი და მოვხარშოთ. ჩავხარშოთ ყვავილოგანი კომბოსტო.

წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშეშოთ ერბოში და შევურიოთ ბულიონში, დავამატოთ ლიმინის წვენი, კარგად აოქვეყილი კვერცხის გული და მარილი.

სუპს შეგვიძლია დაგუმატოთ პამიდვრის პიურე ან ტომაზი.

**მასალა:** ქათამი, ყვავილოვანი კომბისტო – 300 გრამი, ხახვი – 2 თავი, ერბო – 1 სუფრის კოვზი, ლიმინი – 1 ცალი, კვერცხი – 1 ცალი, მარილი – გემოვნებით.

### სუპი ხინკლით

ცხევრის ხორცის ჩამოვაჭრათ რბილი ნაჭრები, ძვლებისაგან კი მოვხარშოთ ბულიონი და შევაზავოთ დაფნის ფოთლით ან მმრით.

რბილი ხორცი, ქონი, ხახვი, ოხრახუში, ქინდი გავატაროთ ხორც-საკეპ მანქანაში, შევაზავოთ შავი პილატილით, მარილით; ძვლებისაგან მოხარშეულ და გამურულ ბულიონში ჩავახარშოთ ხინკლები, რომლის დამზადების წესი ასეთია: 400 გრამი ფქვილისაგან და ერთი კვერცხ-ისაგან მოვზილოთ მაგარი ცომი და გავაბრტყელოთ ფქვილმოყრილ ფიცარზე. სპეციალური საჭრისით ან ჩაის ჭიქის პირით ამოვჭრათ რგოლები. თოთოეულ რგოლზე დავდოთ თითო ჩაის კოვზი ხორცის სატენი, ცომის ნაპირებს წავესვათ კვერცხის ცილა და ისე შევკრათ, რომ მივიღოთ ნახევარწერე.

შემდეგ ხინკლები სათითოად ჩავუშვათ აღუდებულ ბულიონში და ვხარშოთ 15-20 წუთის განმავლობაში.

**მასალა:** ცხევრის ხორცი – 1 კილოგრამი, ქონი – 100 გრამი, პურის ფქვილი – 400 გრამი, კვერცხი – 2 ცალი, ხახვი – 2-2 თავი, დაფნის ფოთლი – 3 ცალი, მმარი – 2 სუფრის კოვზი, მწვანილი, პილატილი, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის სუპი

გასუფთავებული, მსუქანი ქათამი დაჭრათ ნაჭრებად. ერთმანეთში ავერიოთ დაჭრილი ქინდი, ოხრახუში, ქონდარი, ხახვი დანაყილი ნიგოზი, მიხაკი, დარიჩინი, შავი პილატილი, მარილი. ქვაბში ერთ წელიად ჩავაწყოთ დაჭრილი ქათამი, ზემოდან მოვაყაროთ გამზადებული მასალა, დავასხათ იმდენი წელი, რომ ხორცი თავის საგმაზით კარგად დაიფაროს. დავამატოთ მმარი. ქვაბს დავახუროთ სახურავი და ვადულოთ, სანამ ქათამი არ მოიხარშება. ხარშვის დროს რამდენიმეჯერ მოვურიოთ კოვზით.

**მასალა:** ქათამი, ხახვი – 200 გრამი, ნიგოზი დანაყილი – 2 სუფრის კოვზი, მწვანილი – 3-3 ძირი, მიხაკი, დარიჩინი – 1 ჩაის კოვზი, მმარი, პილატილი, მარილი – გემოვნებით.

### ქათმის წვენი ატრიით

გასუფთავებული ქათამი დაჭრათ საშუალო ხომის, თანაბარ ნაჭრებად, გავთუქოთ მდუღდარე წელში და შემდეგ მოვათვებოთ ქვაბში, ხახვა-

ბატოთ კარაქი, დაჭრილი ხახვი, ნიორი, დავხურიოთ სახურავი და ვშეშოთ თრთქლში ხელ ცეცხლზე, სანამ ხორცი ხახვთან ერთად ჩაიშეშება.

მოვზილოთ კვერცხითა და წყლით მაგარი ცომი; გავაბრტყელოთ ორი მილიმეტრის სისქემდე. დაგჭრათ მოგრძო ნაჭრებად (4სანტიმეტრი სიფართის), დავაწყოთ ერთიმეტრულზე, დაჭრათ ასანოის დეროების მსგავსად და გავშალოთ, რომ გაშრეს. ქათმის ხორცს დავასხათ წყალი, ისე რომ კარგად მოადგეს; როდესაც ადუდდება, ჩავყაროთ ცომის დაჭრილი და მდუღდარეში გათუთქული ატრია. შევაზავოთ ოხრახუშით, ახალი კამით, ყვითელი ყვავილით, მარილით.

**მასალა:** ქათამი, ხახვი – 4-5 თავი, კარაქი – 50 გრამი, ხორბლის ფქვილი – 300 გრამი, კვერცხი – 1 ცალი, მწვანილი – 3-3 ძირი, ნიორი – 2 კილი, ყვითელი ყვავილი (ზაფრანა) – 0,5 ჩაის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

### ბატი ან იხვი შინდის ჩურჩით

გასუფთავებული ბატი ან იხვი დაჭრათ თანაბარ ნაჭრებად, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ იმდენი წყალი, რომ კარგად ფარავდეს და დავდგათ ცეცხლზე. დუდილის დროს მოვხადოთ ქაფი, მერე დავამატოთ მრგვალად დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, ქინდი, კარგად გარეცხილი შინდის ჩურჩა და განვაგრძოთ დუდილი. როცა შზად იქნება, შევაზავოთ მარილით.

**მასალა:** ბატი ან იხვი, ხახვი – 500 გრამი, შინდის ჩურჩა – 1 ჩაის ჭიქა, მწვანილი – 3-3 ძირი, მარილი – გემოვნებით.

### ბაწვის შეჭამანდი

დაგეპორ ხახვი და მოვშეშოთ კარაქში. დავამატოთ პურის ფქვილი და ვშეშოთ კიდევ 5 წუთი. მაწონი წინასწარ გავწუროთ, გავხსნათ თბილ წელში და თანდათანბით ჩავუშვათ მოშეშეულ ხახვში. აღუდებამდე განუწევეტლივ ვურიოთ ხის ციცხვით. ჩავამატოთ მოხარშეული ბრინჯი და ახალი კარაქი; ჩავასხათ თბილ რეჟი გასხნილი კვერცხის გული და კიდევ კარგად მოვურიოთ. სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ტარხუნა და ახალი კამა.

**მასალა:** მაწონი – 500 გრამი (გაუწურავი), ხახვი – 2-3 თავი, კარაქი – 50 გრამი, კვერცხი – 2 ცალი, ბრინჯი – 50 გრამი, რძე – 50 გრამი, ფქვილი – 1 სადილის კოვზი, წელში – 500 გრამი, მწვანილი, მარილი – გემოვნებით.

### ბაწვის შეჭამანდი (მეორენაირად)

ხახვი წვრილად დაჭრათ, ჩავყაროთ ქვაბში და კარაქში ან ერბოში მოვშეშოთ.

მაწონს დავასხათ წელში, კარგად გავთქიფოთ, ჩავასხათ მოშეშეულ ხახვში და ათი წელი ვადულოთ. კვერცხს დავუმატოთ პურის ფქვილი, გავთქიფოთ, თანდათანბით ჩავასხათ წვენში და ხუთი წუთი

ვადუდოთ ისე, რომ კვერცხი არ აგვეჭრას. ჩავყაროთ შიგ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა, რეჟანი.

**მასალა:** მატონი – 500 გრამი, წყალი – 500 გრამი, ხახვი – 2 თავი, ცხიმი – 50 გრამი, პურის ფქვილი – 2 სადილის კოვზი, კვერცხი – 2 ცალი, მწვანილი, მარილი – გემოვნებით.

### სოკოს წენიანი შეჯამანდი

საჭმელად ვარგისი სოკო (ან ხმელი სოკო) გავარჩიოთ, კარგად გავრეცხოთ ცივ წყალში და დავდგათ მოსახარშად. როცა კარგად მოიხარშება, გაგრულო, დაჭრათ თხლად, ასანთის დეროების მსგავსად. კარაქში მოვშეშოთ დაკებილი ხახვი, ათი წუთის შემდეგ დავაყაროთ დაჭრილი სოკო და კიდევ ვშუშოთ. შემდეგ დაგასხათ ბლომად სოკოს ხახარში. ადუდებისას ჩავუმატოთ სოკოს წენიანი გავრების მინიჭილი ფქვილი. შევახავოთ დანაკილი ნიგოზით, ახალი ქინით, კამით, ოხრახუშით, წიწაკით, ნიორით, მარილით.

**მასალა:** სოკო – 500 გრამი, კარაქი – 30 გრამი, ნიგოზი – 200 გრამი, ხახვი – 2-3 თავი, სიმინდის ფქვილი – 3 სუფრის კოვზი, მწვანილი, ნიორი, წიწაკი, მარილი – გემოვნებით.

### სუპი ტარხუნით, თბილისურად

3-4 ცალი მოზრდილი კარტოფილი გავფცევნათ, გავრეცხოთ, დავჭრათ პატარა ნაჭრებად, დაგასხათ წყალი და მაგრად მოვხარშოთ (უნდა ჩაიშალოს). ხახვი და ნიორი დაჭრათ წერილად და რომელიმე ცხიმში (ერბო, კარაქი, ზათი) მოვხრაკოთ, დავაყაროთ გახეხილი სტაფილო და გავაგრძელოთ მოშუშვა; შემდეგ ჩავასხათ მოხარშელ კარტოფილის წვენში და გავაგრძელოთ ხარშვა. ერთი მოზრდილი კონა ტარხუნა გავრეცხოთ და დაჭრათ მოგრძო ნაჭრებად (3-4 ნაწილად). წვრილად დაჭრათ ქინით, ოხრახუში, კამა, პიტნა და მარილთან და პილანით ერთად ჩავყაროთ სუპში.

ბოლოს ჩავასხათ კარგად გაოქვეფილი კვერცხი და განუწყვეტლივ ვურიოთ, რომ არ აგვეჭრას.

**მასალა:** კარტოფილი – 3-4 ცალი, ხახვი – 2-3 თავი, ნიორი – 4-5 კბილი, ცხიმი – 100 გრამი, სტაფილო – 2-3 ცალი, ტარხუნა – 1 კონა, მწვანილი – 3-3 ძირი, კვერცხი – 3-4 ცალი, მარილი, პილანი – გემოვნებით.

### ჩიხირთმა

ხახვი დაჭრათ ან გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში; ჩავყაროთ ქვაბში და 30 გრამ კარაქში კარგად მოვშეშოთ. დავასხათ ექვსი ჩაის ჭიქა მდურარე წყალი, ჩავდოთ ქინი (კონად შეკრული) და ვადუდოთ 5-10 წუთი. დუდილის შემდეგ დავამატოთ მმარში გახეხილი პურის ფქვილი და მარილი. ამის შემდეგ ვადუდოთ კიდევ 20 წუთი, გადმოვდგათ ცეცხლიდან, თანდათანიბით ჩავასხათ და კოვზით ვურიოთ მმარში კარგად ათქვეფილი სამი-ოთხი ცალი კვერცხი. სუფრაზე მიტანის

წინ ჩავყაროთ წვრილად დაჭრილი კამა, ოხრახუში და დავამატოთ ოცი გრამი კარაქი.

**მასალა:** ხახვი – 300 გრამი, კვერცხი – 4 ცალი, კარაქი – 50 გრამი, წყალი – 6 ჩაის ჭიქა, პურის ფქვილი – 1 სუფრის კოვზი, მწვანილი, მმარი და მარილი – გემოვნებით.

### ხარშო

ხახვი წვრილად დავჭრათ, ჩავყაროთ ქვაბში, დავუმატოთ 30 გრამი კარაქი, დავდგათ ხელ ცეცხლზე და მოვშეშოთ. დავასხათ 6-7 ჩაის ჭიქა მდუდარე წყალი და აღუდებისთანავე დაგუმატოთ გარჩეული, გარეცხილი ბრინჯი. ათი წუთი დუდილის შემდეგ დავუმატოთ დაჭრილი ქინი, ოხრახუში, პატარ-პატარა ნაჭრებად და ხეული ტყლაპი, ერთად დანაყილი ნიორი, წიწაკა, მარილი. 20-30 წუთი დუდილის შემდეგ, როცა წვენი მზად იქნება, დავუმატოთ 20 გრამი კარაქი. ტყლაპის მაგივრად შეიძლება ვიხმაროთ ტყემალი ან პამიდვრის პიურე.

**მასალა:** ხახვი – 300 გრამი, კარაქი – 50 გრამი, ბრინჯი – 3/4 ჩაის ჭიქა, ტყემალი ან პამიდვრის პიურე – 1/3 ჩაის ჭიქა, მწვანილი, ტყლაპი, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ხარშო ნიგეზით

ხახვი წვრილად დავჭრათ, ჩავყაროთ ქვაბში და მოვშეშოთ 30 გრამ კარაქში (ხელ ცეცხლზე). ნიგოზი, ქინი, ნიორი, წიწაკა, მარილი კარგად დაგნაყოთ, გაგხსნათ ექს-შეიდ ჩაის ჭიქა წყალში, დავასხათ მოშუშვლ ხახვს და როცა აღუდებად, დავამატოთ წინასწარ გადარჩეული, გარეცხილი ბრინჯი ან ვერმოშელი.

ნაჭრებად დაჭრილი პამიდორი ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ ან გავხეხოთ სახებზე, ჩავასხათ ქვაბში და ვადუდოთ, სანამ ცოტა არ შესქელდება; მერე ჩავასხათ მოხარშელ ხარშვში, წამოვადუდოთ, დავაყაროთ დაჭრილი ოხრახუში, ქინი გადმოვდგათ ცეცხლიდან და დავამატოთ 20 გრამი კარაქი.

**მასალა:** ხახვი – 200 გრამი, კარაქი – 50 გრამი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ქინი – 2 ძირი, პამიდორი – 500 გრამი, ბრინჯი – 0,5 ჩაის ჭიქა, ან ვერმოშელი – 3/4 ჩას ჭიქა, წიწაკა, ნიორი, მწვანილი, მარილი – გემოვნებით.

### ხარშო კვერცხით

ხახვი დავკაპოთ, ჩავყაროთ ქვაბში და მოვშეშოთ 30 გრამ კარაქში. დავასხათ შეიდი ჩაის ჭიქა წყალი და აღუდებისთანავე ჩავყაროთ შიგ თბილ წყალში გარეცხილი ბრინჯი და განვაგრძოთ ხარშვა.

ნიგოზი, ქინი, წიწაკა, მარილი, ნიორი, ყვითელი ყვავილი კარგად დაგნაყოთ ერთად, გაგხსნათ წყალში და მდუდარე წვენში ჩავუმატოთ. ათი წუთის შემდეგ დავამატოთ პატარ-პატარა ნაჭრებად და ხეული ტყლაპი (შეიძლება ტყემალი ან კვატარახი). რამდენიმე წუთის დუდილის შემდეგ სათითოოდ დავასხალოთ ოთხი-ხუთი უმი (აუთქვეფავი) კვერცხი.

როცა კვერცხი მოიხარშება, დაგამატოთ ოცი გრამი კარაქი და დაჭრილი მწვანილი.

**მასალა:** ხახვი – 300 გრამი, კარაქი – 50 გრამი, წყალი – 8 ჩაის ჭიქა, ბრინჯი – 0,5 ჩაის ჭიქა, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, კვერცხი – 4-5 (ცალი, ქინძი, წიწაკა, მარილი, ნიორი, ყვითელი ყვავილი, ტყემალი (ტყლაბი, კვაწარახი) – გემოვნებით.

### თევზებლი

#### მოხარშული თართი ან ზუთხი ნიგზის საწებლით

გასუფთავებული, გარეცხილი თართი ან ზუთხი მარილწყალში მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით, მერე გავაცივოთ, ნაჭრებად დავჭრათ და ლანგარზე დავალაგოთ.

ნიგოზი დავნაყოთ, გამოვხადოთ ზეთი და ცალკე ჭურჭელში ჩაგასხათ. ქინძი, ნიორი, მარილი, წიწაკა დაგნაყოთ, დავუმატოთ მარი, დაკეპილი ხახვი და გაგხსნათ აღუდებულ წყალში, რომელშიც ნაწილობრივ არეული იქნება თევზის ბულიონი თავის სიმსუქნით. მომზადებულ საწებელში ჩაგალაგოთ დაჭრილი თევზი, ზევიდან მოვასხათ გამოხდილი ზეთი.

**მასალა:** თართი ან ზუთხი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ქინძი – 2 ძირი, ნიორი – 1-2 კბილი, წყალი – 1,5 ჩაის ჭიქა, თევზის წვენი – 0,5 ჩაის ჭიქა, ხახვი – 1 თავი, მმარი, მარილი – გემოვნებით.

#### მოხარშული თართი ან ზუთხი (მეორენაირად)

გასუფთავებული, გარეცხილი თართი ან ზუთხი დავჭრათ თხელ ნაჭრებად, მოვათავსოთ მდუღარე წყალში და გადავწუროთ, გადავაკლოთ ცივი წყალი და მოვათავსოთ დაბალ, ფართო ქვაბში, მოვაყაროთ მარილი, დავასხათ სუსტი დვინის მმარი და წყალი იმდენი, რომ თევზს თდნავ ფარავდეს. მიეუმატოთ წმინდად დაკეპილი ხახვი, ნიორი, დავნის ფოთოლი, დავახუროთ სახურავი და დავდგათ მოსახარშად. როდესაც მზად იქნება, გადმოვდგათ, დავამატოთ წმინდად დაკეპილი ქინძი, ოხრახუში, მწვანე წიწაკა. ამგვარად შეზავებული თევზი გავაცივოთ ამავე თავდახურულ ქვაბში და სუფრაზე გაციებული მივიტანოთ.

**მასალა:** თართი ან ზუთხი – 1 კილოგრამი, ხახვი – 2-3 თავი, დვინის მმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, წყალი – 1 ჩაის ჭიქა, ნიორი – 1-2 კბილი, მწვანილი, წიწაკა, დავნის ფოთოლი, მარილი – გემოვნებით.

#### მოხარშული თართი ან ზუთხი მმრის საწებლით

გასუფთავებული, გარეცხილი თართის ან ზუთხის მოლიანი ნაჭრი ჩვეულებრივი წესით მოვხარშოთ, გავაცივოთ, დავჭრათ მოგრძო თხელ ნაჭრებად და დავალაგოთ ლანგარზე.

თევზის ბულლიონს (თავისი სიმსუქნით) დავუმატოთ მმარი, წვრილად დაჭრილი ქინძი, ავურიოთ და ლანგარზე დაწყობილ თევზს გადაფასხათ. ზევიდან მოვაყაროთ ალექა-ალექა დაჭრილი ხახვი.

**მასალა:** თევზი – 1 კილოგრამი, ხახვი – 2 თავი, მმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, ბულლიონი (თავისი სიმსუქნით) – 0,5 ჩაის ჭიქა, ქინძი – 5-6 ძირი, მარილი – გემოვნებით.

#### შემწვარი თართი ან ზუთხი პამიღვრის საწებლით

გასუფთავებული, გარეცხილი, ნაჭრებად დაჭრილი თევზი (თართი ან ზუთხი) ორივე მხრიდან შევწვათ ცხელ ტაფაზე მცენარეულ ზეთში.

პამიღორი გავხეხოთ, ჩავასხათ ქვაბში, დავუმატოთ მცენარეული ზეთი, დავდგათ ცეცხლზე და მოვხარშოთ შესქელებამდე. ხარშვის დასრულებისას დაგუმატოთ დანაყილი ნიორი, წიწაკა და ძალიან წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

ხახვი დავჭრათ მრგვალად, მოვათავსოთ ზეთიან ტაფაზე და მოვშეშოთ. შემწვარი თევზი ლანგარზე დავალაგოთ, მოვასხათ მოძუძეული ხახვი და ზემოდან პამიღვრის საწებელი.

**მასალა:** თევზი (თართი ან ზუთხი) – 1 კილოგრამი, ხახვი – 3-4 თავი, პამიღორი – 1 კილოგრამი, მცენარეული ზეთი – 5 სუფრის კოვზი, ოხრახუში – 2 ძირი, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

#### მოხარშული ცოცხალი (თევზი)

ცოცხალი თევზი გამოვშიგოთ, მოვაშოროთ ლაყუჩები და გავრცხილო ცივ წყალში. შემდეგ დაგჭრათ სამ-ოთხ ნაწილად; მომცრო თევზები დავტოვოთ მოელ-მოელი, მოვათავსოთ მარილითა და შაბით შეზავებულ მდუღარე წყალში და მოვხარშოთ. შემდეგ აოვიღოთ წყლიდან, გავშალოთ, მოვასხეუროთ ცივი წყალი. შეგრილებისას მოვათავსოთ ლანგარზე და მოვუწყოთ ოხრახუშის ფოთლები.

**მასალა:** ცოცხალი – 1 კილოგრამი, შაბი – 4-5 გრამი, ოხრახუში – 4-5 ძირი, მარილი – გემოვნებით.

#### შემწვარი კალმახი ბროწეულის წვენით

ახალი, წიოელწინწყლებიანი კალმახი გაგასუფთავოთ, მოვაშოროთ ლაყუჩები, გავრცხილო ცივ წყალში, გავჭრათ სიგრძეზე, მოვაყაროთ მარილი. მუცელი ამოვუესოთ უმი კვერცხით, კარაქით, კანგაცლილი, თხლად დაჭრილი ლიმინით და ახალი ტარხუნის ნაზავით. მუცელი დაგუხუროთ, ზევიდან წავუსვათ არაქანი და დავდგოთ გაცხელებულ ცხიმიან ტაფაზე. როდესაც ორივე მხრიდან შეიწვება, მოვათავსოთ ლანგარზე და დავამშვენოთ ოხრახუშის ფოთლებით. სუფრაზე ცალკე მივიტანოთ ბროწეულის წვენი – შეზავებული ახალი ქინძითა და მარილით.

**მასალა:** კალმახი – 1 კილოგრამი, კარაქი – 100 გრამი, კვერცხი – 2 ცალი, ლიმინი – 1 ცალი, ბროწეულის წვენი – 1 ჩაის ჭიქა, ქინძი, მარილი – გემოვნებით.

## ლოქო წევნით

ლოქო გავასუფთავოთ, დაგჭრათ ნაჭრებად, გავრეცხოთ, ჩავაწყოთ ქვაბში, დავასხათ იმდენი წყალი, რომ თევზი დაიფაროს. დუღილის დროს მოვხადოთ ქაფი, ჩავაროთ მარილი, დაფნის ფოთოლი, დაჭრილი ქინი, დაჭრილი ტყემლის ტყლაპი, პილპილი და ვაღუღოთ. როცა თევზი მოიხარშება და წვენი შესქლდება, ცეცხლიდან გადმოვიდოთ.

**მასალა:** ლოქო – 1 კილოგრამი, დაფნის ფოთოლი – 2-3 ცალი, ქინი – 6-7 ძირი, პილპილი, ტყემლის ტყლაპი, მარილი – გემოვნებით.

## მოხარშული ლოქო ქინით და მმრით

ლოქო მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით და დაგაწყოთ თევზებე. რამდენიმე ძირი ქინი დაგჭრათ, ავურილო მმარში და გადავასხათ მოხარშულ ლოქოს.

მოხარშული ლოქო და ქინინარევი მმარი მაგიდაზე შეგვიძლია მივიტანოთ ცალ-ცალკე.

## მარილიანი ტარანი ახალი ტყემლის საწებლით

მარილიანი ტარანი გავრეცხოთ ცივი წყლით და 2-3 საათით დავალბით ცივ წყალში. შემდეგ ისევ გავრეცხოთ კარგად, შევახვიოთ სუფთა, სქელ ქაღალდში, შევწვათ ცხელ ღუმელში. როდესაც მზად იქნება, გამოვიდოთ, მოვაცილოთ ქაღალსი, გაფუცქნათ, სიგნეულოთ ერთად მოვაშოროთ ხერხემლის ძვალი და ამგვარად მომზადებული მივიტანოთ სუფრაზე. ცალკე ჭურჭლით მივიტანოთ ახალი ტყემლის საწებლი, რომელიც ასეთნაირად მოვამზადოთ: ახალი ტყემალი მოვხარშოთ, გავატაროთ საცერში, შევახვიოთ დანაყილი ნივრით, პილპილით, ახალი ქინით, გამით, ოხრახუშით, მიმაღლოთ და მარილით.

**მასალა:** ტარანი – 1 კილოგრამი, ახალი ტყემალი – 0,5 კილოგრამი, მწვანილი – 3-3 ძირი, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

## ნიგზით და ბროწეულით გატენილი წვერა

წვერა გავწმინდოთ, გავრეცხოთ, წაგუსვათ მარილი და გავაჩეროთ ნახევარი საათი.

დანაყილი ნიგოზი, მარილი, წიწაკა, მიხაკი, დარიჩინი, დამარცვლილი ბროწეული, დაჭრილი ხახვი კარგად აეურიოთ ერთმანეთში. ამ მასალით თითოეულ წვერას გამოვუტენოთ მუცლის ღრუჟ, ამოვავლოთ პურის ფქვილში და ორივე მხრიდან შევწვათ ერთმანი, ან ზეოში.

**მასალა:** წვერა – 1 კილოგრამი, ერბო ან ზეო – 3-4 სუფრის კოგზი, დანაყილი ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ხახვი – 2 თავი, ბროწეული – 1-2 ცალი, პურის ფქვილი – 2 სუფრის კოგზი, მარილი – გემოვნებით.

## შემწვარი და ჩახოხბილი ორაგული

ორაგული გავწმინდოთ, გავრეცხოთ, წაგუსვათ მარილი, დაგჭრათ ნაჭრებად და შევწვათ.

მმარში ავურილო დაკეპილი ხახვი და ნელ ცეცხლზე მოვშეშოთ, მერე ჩავაწყოთ შიგ შემწვარი ორაგული და წამოვადებლოთ.

## შემწვარი ან მოხარშული ქამბალა საწებლით

ქამბალა ერთი-ორი საათით დავაღალბოთ თბილ წყალში, მოვაშოროთ ქაცვი, გადავაზროთ კანი, დაგჭრათ ნაჭრებად და მოვხარშოთ მარლწყალში ან შევწვათ ზეოში ორივე მხრიდან.

ნიგოზი, მარილი, ნიორი, წიწაკა, ქინი ერთად კარგად დავნაყოთ, გავხესნათ აღუდებულ ცივ წყალში, დავუმატოთ მმარი და ავურილო წვრილად დაჭრილი ხახვი. თევზი დავაწყოთ ლანგარზე და ზემოდან გადავასხათ მომზადებული საწებელი.

**მასალა:** ქამბალა – 1 კილოგრამი, ზეო – 2-3 სუფრის კოგზი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ნიორი – 1-2 კბილი, ქინი – 3-4 ძირი, ხახვი – 2 თავი, წყალი – 2 ჩაის ჭიქა, მმარი – 2-3 სუფრის კოგზი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

## თევზის ბასთურმა

გასუფთავებული, გარეცხილი, ნაჭრებად დაჭრილი თევზი (თართი, ზეთი, ორაგული) მოვათავსოთ ფაიფურის ან მომინანქრებულ ჭურჭელში, დავაყაროთ მარილი, პილპილი, დაგუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი, თხელ ნაჭრებად დაჭრილი ლიმონი და ავურილო. მერე დავახუროთ ჭურჭელს სახურავი და დავდგათ გრილ ალაგას რამდენიმე საათით, ან შეიძლება 1 დღე-დამწერა.

ასეთი სახით გამზადებული თევზი წამოვაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერცხალზე. შემწვარი თევზი სუფრაზე მივიტანოთ შამფურით, თან მივაყოლოთ წვრილად დაჭრილი უმი ხახვი და ლიმონი.

**მასალა:** თევზი – 1 კილოგრამი, ხახვი – 3-4 თავი, ლიმონი – 1 ცალი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

## თევზის ბუღლამა

გასუფთავებული, გარეცხილი და ნაჭრებად დაჭრილი თევზი (თართი, ზეთი, ორაგული) ერთ ფეხად მოვათავსოთ ქვაბში, მოვასხათ ზეო, ზედ დავაყაროთ წვრილად დაჭრილი ქინი, ხახვი, ლიმონი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, მოვასხათ ზეო. შემდეგ ფეხად დავაწყოთ თხელ ნაჭრებად დაჭრილი პამიდორი; მოვასხათ ზეო, დავახუროთ ჭარბების სახურავი და გხარშოთ, სანამ მზად არ იქნება.

**მასალა:** თევზი – 1 კილოგრამი, პამიდორი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, ქინი – 5-6 ძირი, დაფნის ფოთოლი – 2-3 ცალი, ზეო – 1 ჩაის ჭიქა, მმარილი, პილპილი – გემოვნებით.

## შემწვარი კეფალი ნიგზის საწებლით

ნედლ თევზს მოვაცილოთ ქერცლი, გამოვშიგნოთ, გავრეცხოთ და დაგჭრათ; მოვაყაროთ მარილი, მოვაგლოთ ჯერ აოქვეცილ კვერცხში, შემდგებ ფქვილში ან დანაყილ ტრცხობილაში და მაშინვე დავდოთ გაცხელება.

ბულ, ზეთოსხმულ ტაფაზე და შევწვათ ორივე მხრიდან. შემწვარი ოვეზი დაგალაგოთ ლანგარზე. დავნაყოთ ნიგოზი, მწვანილი, მარილი, წიწაკა. ეს კველაყერი გავქსნათ ძმარგარეულ წყალში და მოვასხათ შემწვარ ოვეზს. სუფრაზე შეიძლება ოვეზი ცალკე მივიტანოთ და საწებელი ცალკე.

მასალა: ნედლი ოვეზი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, კვერცხი – 2 ცალი, მცენარეული ზეთი – 70 გრამი, ძმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, ფევერილი ან დანაყილი ორცხებილა – 2 სუფრის კოვზი, მწვანილი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### თევზის ჩახოხბილი

ქარიყლაპია, ლოქი, წევრა, კობრი ან სხვა რომელიმე ოვეზი გავასუფთავოთ, მოვაყაროთ მარილი და დავაწყოთ დრმა ტაფაზე. მოვაყაროთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ქინძი და ოხრახუში, დავასხათ ზეთი და 2 ჩაის ჭიქა პამიდვრის წვენი; ხავაყოლოთ სტაფილო, დაფნის ფოთოლი, 20-25 მარცვალი შავი პილპილი და ვხარშოთ ნედ ცეცხლზე. მოხარშული თევზის ნაჭრები დავალაგოთ დრმა ლანგარზე და ზედ მოავსხათ თავისივე წვენი.

მასალა: თევზი – 1 კილოგრამი, ხახვი – 3 თავი, დაფნის ფოთოლი – 3-4 ცალი, სტაფილო – 200 გრამი, ზეთი – 100 გრამი, პამიდვრის წვენი – 2 ჩაის ჭიქა, ქინძი, ოხრახუში – 3-3 ძირი, შავი პილპილი – 25 მარცვალი, მარილი – გემოვნებით.

### თევზი ქოთანში ლიმონით

ნედლი ოვეზი გავასუფთავოთ, გავრცხეოთ, დაჭრათ, მოვაყაროთ მარილი და ასე დაგზოვოთ 1 საათი. შემდეგ ჩავდოთ თიხის ქოთანში, ზედ დავაწყიოთ თხლად დაჭრილი ლიმონი, შავი პილპილის მარცვლები, რამოდენიმე ცალი დაფნის ფოთოლი, მოვასხათ ზეთი. ქოთანს ცომით კარგად გადაგულებელო თავი და შევდგათ აირდუმელში. 1-1,5 საათის შემდეგ მივიტანოთ სუფრაზე ქოთანითვე. მოვაცილოთ შიგ ჩახარშული დაფნის ფოთოლები, ლიმონის ნაჭრები. სუფრაზე მივიტანოთ შესაფერი გარნირიც.

მასალა: ნედლი ოვეზი – 1 კილოგრამი, ლიმონი – 1 ცალი, მცენარეული ზეთი – 50 გრამი, დაფნის ფოთოლი – 4-5 ცალი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### თევზი ქოთანში პამიდვრით

ეს კერძი მზადება ისევე, როგორც ზევით იქნა აღწერილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლიმონის ნაცვლად იხმარება პამიდორი.

მასალა: ნედლი ოვეზი – 1 კილოგრამი, მცენარეული ზეთი – 80 გრამი, პამიდორი – 1 კილოგრამი, დაფნის ფოთოლი – 3 ცალი, ხახვი – 3-4 თავი, მარილი – გემოვნებით.

### დოში საწებლით

დოში წინა დამით უნდა დავალბოთ, ხოლო მეორე დღეს სხვა წყლში მოვხარშოთ. წყალი ბლომად უნდა დაესხას და ისე მოიხარშოს. გავუპეროვოთ ნიგვზის ან ძმრის საწებელი და მოხარშული ოვეზი შიგ ჩავაწყოთ.

### მთელ-მთელი შემწვარი წვრილი ოვეზი ბროწეულის საწებლით

გამოშიგნული, გარეცხილი წვრილი ოვეზი დავაწყოთ ზეთმოსხეულ ცხელ ტაფაზე და ორივე მხრიდან შევწვარ. ერთად დავნაყოთ წიწაკა, ნიორი, ქინძი, მარილი, გავხსნათ ბროწეულის წვენში.

შემწვარი ოვეზი ლანგარზე დავალაგოთ, ზემოდან მოვასხათ ბროწეულის საწებელი, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი და დარჩეული ბროწეულის მარცვლები.

მასალა: წვრილი ოვეზი – 1 კილოგრამი, მცენარეული ზეთი – 4-5 სუფრის კოვზი, ქინძი – 5 ძირი, ბროწეული – 4-5 ცალი, ხახვი – 2 თავი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ქამბალა ლეინის საწებლით

გასუფთავებული ოვეზი დავჭრათ მცირე ნაჭრებად, ჩავაწყოთ ქვაბში, დაგუმატოთ ოხრახუში, ხახვი, მიხაკი, დაფნის ფოთოლი, მარილი, დავასხათ დვინო, წყალი, დაგეუროთ ქვაბს სახურავი, დავდგათ ცეცხლზე და ვხარშოთ 25-30 წუთი, მოხარშული ოვეზი ქვაბიდან ამოვიდოთ, ბელიონი გავწეროთ, სუფთა ქვაბში ჩავასხათ, დავდგათ ცეცხლზე და ვადულოთ 10-15 წუთი. მერე დავუმატოთ დანაყილი ნიგვზი, ნიორი და წამოდუღების შემდეგ ცეცხლიდან გადმოვდგათ.

მოხარშული ოვეზი ლანგარზე მოვათავსოთ, დავასხათ გამზადებული საწებელი, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ქინძი და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

მასალა: ქამბალა – 1 კილოგრამი, სუფრის წითელი ლეინი – 2 ჩაის ჭიქა, წიწაკა, ცალი – 2 ჩაის ჭიქა, ოხრახუში – 3 ძირი, ხახვი – 2 თავი, ნიგვზი – 1 ჩაის ჭიქა, ქინძი – 2 ძირი.

### გელაქნური წვენით

გელაქნური მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით. ცალკე ქვაბში ჩავასხათ 3-4 ჩაის ჭიქა წყალი, დაგუმატოთ შინდის ჩურჩა, დაჭრილი ხახვი, დანაყილი ნიგვზი და ვადულოთ. მოხარშული გელაქნური ოვეზზე დავაწყიოთ და ზედ დავასხათ გამზადებული საწებელი.

მასალა: გელაქნური – 1 კილოგრამი, შინდის ჩურჩა – 1 ჩაის ჭიქა, ხახვი – 2-3 თავი, დანაყილი ნიგვზი – 4 სუფრის კოვზი.

### მოხარშული გელაქნური ან კალმახის საწებლით

გელაქნური გავასუფთავოთ, დაჭრათ ნაჭრებად, ჩავდოთ აღუდებულ მარილწყალში და მოვხარშოთ. დუღილის დროს მოვხადოთ ქაფი.

როცა მოიხარშება, ამოვალიაგოთ ქაფქირით და დავაწყოთ თევზებე. ნიგოზი, მარილი, ნიორი ერთად დავნაყოთ, გავხსნათ წყალში (არაუნის სისქის) და მივიტანოთ მოხარშულ გელაქნურთან ერთად.

**მასალა:** გელაქნური – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 200 გრამი, ნიორი – 2-3 კბილი, წყალი – 1,5 ჩაის ჭიქა, მარილი – გემოვნებით.

### კობრი ნიგზით და ბროწეულით

კობრის გავაცალოთ ქიცვი, გავრცელოთ, დავჭრათ ნაჭრებად, მოვხარშოთ მარილწყალში. ამოვიდოთ ქაფქირით და დავაწყოთ დანგარზე.

ნიგოზი, ნიორი, ქინძი, წიწაკა ერთად დავნაყოთ, გავხსნათ ბროწეულის წვენში, დავამატოთ მარილი, ნახევარი ჩაის ჭიქა თევზის ნახარში წვენი, ავურიოთ და გადავასხათ მოხარშულ თევზს.

**მასალა:** კობრი – 1 კილოგრამი, ქინძი – 4 მირი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ნიორი – 2-3 კბილი, ბროწეულის წვენი – 1 ჩაის ჭიქა, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

### კიბორჩხალა ნიგვზიანი სატენით

კარგად გასუფთავებული კიბორჩხალები მოგხარშოთ მარილწყალში; შემდეგ დავაწყოთ საცერზე; როცა წყალი ჩამოიწურება, კიბორჩხალებს მოვაცილოთ კისერი, ფეხები, ხორცი და დავნაყოთ. ავურიოთ დანაყილი ნიგოზი და ქინძი; მოვაყაროთ დანაყილი დარიჩინი ან მუსკატის კაპალი, მარილი; კარგად ავურიოთ და ამ სატენით ამოვავხოთ კიბორჩხალის წითელი ქალა.

სუფრაზე მიტანისას კიბორჩხალები დავაწყოთ მწვანილით მორთულ დანგარზე. ცალკე ჭურჭლით მივიტანოთ ტყემლის საწებელი.

**მასალა:** კიბორჩხალა – 20 ცალი, ნიგოზი – 200 გრებამი, გამხმარი ქინძი – 1 ჩაის კოფზი, დარიჩინი ან მუსკატის კაპალი – 0,5 ჩაის კოფზი, მწვანილი – 200 გრამი, მარილი – გემოვნებით.

### ხიზილალას ქაბაბი

100 გრამი ხიზილალა და 300 გრამი რძეში ან წყალში დამბალი პური, წვრილად დაკეპილ ხახვან ერთად მოვზილოთ; დავჭოთ პატარა ნაწილებად, ამოვავლოთ დანაყილ თრცხობილაში და შეგწვათ ზეოდასხემულ ტაფაზე.

### მოხარშული ხიზილალა

ხიზილალას დავუმატოთ დაფუშნილი თეორი პურის გული, წვრილად დაჭრილი ხახვი, დავასხათ იმდენი წყალი, რომ ძალიან კარგად დაიფაროს და ხელით ამოვჭყლიტო. დავდგათ ცეცხლზე და ვადუღოთ 10-12 წუთი.

**მასალა:** ხიზილალა – 200 გრამი, თეორი პურის გული (დაფუშნილი) – 1 ჩაის ჭიქა, ხახვი – 1 თავი.

## ხორცისაგან მომზადებული პერმები

### ხინკალი

ერთის, ან ცხვრის ხორცის რბილი ნაჭერი დავჭრათ და ხახვთან ერთად ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ. ავურიოთ შიგ დანაყილი პილპილი, მარილი, ოხრახუში, ქინძი, ქონდარი, იმდენი თბილი წყალი, რამდენსაც შეიწოვს ხორცი (დაახლოებით ერთი ჩაის ჭიქა).

მოვზილოთ მაგარი ცომი ოდნავ მარილიანი ნახევარი ლიტრი წყლით და კვერცხით. კარგად გავაბრტყელოთ, გამოვჭრათ სპეციალური ხის საჭრისით და კიდევ გავაბრტყელოთ. თითოეულ ცომზე მოვათავსხოთ ერთი სუფრის კოვზი მომზადებული ხორცი, ნაპირები შემოვუპცოვ, მოვგრიხოთ და აუჭი დავტკეპნოთ ისე, რომ მოხარშვის დროს არ გაისხის. ასე მომზადებული ხინკალები ჩავყაროთ მარილიან მდუღარე წყალში და ვხარშოთ; ქვაბი ხანგამოშვებით ვატრიალოთ, რომ ხინკალი ძირზე არ მიეკრას. როცა ყველა ხინკალი წყლის ზევით ამოტივტივდება, კიდევ ხუთი წუთი ვადუღოთ და ამოვალაგოთ ქაფქირით.

სუფრაზე ხინკალთან ერთად მივიტანოთ დანაყილი პილპილი.

**მასალა:** დორის ან ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 5 თავი, კვერცხი – 1 ცალი, მწვანილი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### ხინკალი გახურად

თეორი პურის ფეხილით, კვერცხითა და ცივი მარილწყლით მოვზილოთ წვეულებრივი მაგარი ცომი. მოვამზადოთ გულსართი შემდეგნაირად: მსუქანი ცხვრის ან ძროხის ხორცის რბილი ნაჭრები ორჯერ გავატაროთ ხორცსაცეპ მანქანაში ხახვთან ერთად. შეგაზავოთ დაკეპილი ოხრახუშით, ქინძით, შავი პილპილით, მარილით; დავზილოთ და გავაზავოთ წყლით. როდესაც გულსართი მზად იქნება, ცომი გავაბრტყელოთ, ამოვჭრათ თანაბარი ზომის რგოლები, შეუა ადგილზე დავაწყოთ თითო კოვზი გულსართი, მოვუკრათ პირი ისე, როგორც ზევით არის აღწერილი და ხავუშვათ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში. დუღილის დროს ქვაბი ვატრიალოთ, რომ ძირზე არ მიიკრას. როცა მზად იქნება, ხინკალი ამოვალაგოთ ქაფქირით და სუფრაზე მივიტანოთ დანაყილ პილპილთან ერთად.

**მასალა:** ცხვრის ან ძროხის ხორცი – 1 კილოგრამი, ფქვილი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, მწვანილი – 3-4 მირი, კვერცხი – 2 ცალი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### შილაფლავი

ავილოთ ცხვრის მსუქანი ხორცი, კარგად გავრცელოთ და დაჭრათ ნაჭრებად. წვრილად დავჭრათ დუმის ნაჭრი, ხავუროთ ქაბაბში და ვშემზირ, სანამ ცხიმი არ გამოუვა. დავვაროთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და ვშემზირ. შემდეგ ხავყაროთ დავტკეპნოთ ხორცი და ხახვთან ერთად გავაგრძელოთ შუშვა, ისე რომ და ხახვი არ გაწითლდეს (შილაფლავი თეორი რომ გამოვიდებ). დავასხათ წყალი; ადუღებისას მოვხ-

ადოთ ქაფი,ჩავაგდოთ დაფნის ფოთოლი,მარილი. როდესაც ხორცი ნახევრად მოხარშეული იქნება,ჩავეაროთ ბრინჯი და გავაგრძელოთ ხარშვა. შემდეგ შევაზავოთ შავი პილპილითა და ზირათი.

თუ შილაფლავი სქელი გამოყიდა, შეიძლება დავასხაოთ რაიმე ბულიონი (ხაშლამის ნახარში), ან წყალი და დაფიკვანოთ ნორმალურ სისქემდე.

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, დუმა – 100 გრამი, ბრინჯი – 2 ჩაის ჭიქა, ხახვი – 2-3 თავი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### შილაფლავი ქათმის კუჭმაჭის

გასუფთავებული, გარეცხილი კუჭმაჭი თავისი სიმსუქნით მოვათავსოთ ქვაბში, დავასხაოთ წყალი და დავდგათ ცეცხლზე მოსახარშად. 10-15 წუთის დუღილის შემდეგ ხავაეაროთ გადარჩეული, გარეცხილი ბრინჯი და გავაგრძელოთ ხარშვა, სანამ ბრინჯი და კუჭმაჭი კარგად ამ მოხარშება. ხარშვის დასრულებისას დავამატოთ მარილი და დანაყილი პილპილი.

**მასალა:** კუჭმაჭი – 1 ქათმის, ბრინჯი – 3/4 ჩაის ჭიქა, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### ჩაქაფული ცხვრის ხორცის

ცხვრის ან ბატქნის მსუქანი, ძვლიანი ხორცი დავჭრათ საშუალო ზემის ნაჭრებად, დავასხაოთ იმდენი წყალი, რომ ხორცი დაფაროს. დავდგათ დაბალ ცეცხლზე და ვხარშოთ. როცა წყალი დაუშრება, ჩავყაროთ რეოლებად დაჭრილი ხახვი და ვშუშოთ. ოხრახუში, ქინი დავჭრათ წვრილად და ჩავყაროთ ხორციან ქვაბში. ავიდოთ ქორფა ტარხუნა, დავჭრათ დიდ ნაჭრებად (დაახლოებით გაეჭრათ სამად) და მწვანილოან ერთად ისიც ჩავყაროთ. ნამიანი მწვანილი წყალს გაუშვებს; თუ ეს საქმარისი არ იქნება, დავამატოთ ცოტა წყალი და ჩავყაროთ ახალი ტყემალი. როცა ტყემალი კარგად მოიხარშება, გადოვდგათ ცეცხლიდან, დავასხაოთ თეთრი დვინო და შევაზავოთ მარილითა და წიწაკით.

**მასალა:** ცხვრის ან ბატქნის ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 500გრამი, ტარხუნა – 1 კონა, მწვანილი – 5-5 ძირი, ახალი ტყემალი – 1 ჩაის ჭიქა, თეთრი დვინო – 1 ჭიქა, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

### შემწვარი გოჭი

გოჭი კარგად გავასუფთავოთ, გავრეცხოთ, წავუსვათ მარილი მუცლის დრუში და გარედან. ძალიან წმინდად დაგნაყოთ წინასწარ ცხელ წყალში დამბალი წიწაკა, ნიორი, ქინი, კამა, ოხრახუში, რეპანი. ეს კველაფერი გავხსნათ ნიგვზიდან გამოხდილ ზეთში და გოჭს წავუსვათ როგორც შეგნით, ასევე გარებაც. ამ ნაერთის მაგიერ, შეწვის დროს შეიძლება ხანგამოშებით წავუსვათ ერბო ან წყალი. გოჭი შეიძლება შეიწვას როგორც დუმელში, ასევე ნაკვერჩხალზე, შამფურზე წამოცმელი.

### თავისივე შიგნეულით გამოტენილი შემწვარი გოჭი

კარგად გასუფთავებულ გოჭს ამოვაცალოთ შიგნეული, ნაწლავები, გადავაბრუნოთ და დიდხანს ვრეცხოთ ხამდინარე წყალზე. მერე გავრეცხოთ სიმინდის ფქვილითა და წყლით, შემდეგ სუფრის მარილით და ბოლოს ისევ მარტო წყლით. ნაწლავები დავჭრათ შიგნეულოან ერთად და მოვხარშოთ, წვრილად დაგჭრათ, დავაყაროთ მარილი, პილპილი, დანაყილი წიწაკა და კარგად ავურიოთ. გასუფთავებულ გოჭს წავუსვათ მარილი მუცლის დრუში და გარედან. მუცლის დრუში მოვათავსოთ გამზადებული მასალა, ძაფით ამოვკეროთ და შევწვათ.

### შემწვარი გოჭი სატენით, იმერულად

კარგად გასუფთავებულ გოჭს ამოვაცალოთ შიგნეული, კარგად გავრეცხოთ და ხავაეაროთ მდუღლარეში, როცა მოიხარშება, ამოვიღოთ, დავჭრათ ძალიან წვრილად, დავაყაროთ მარილი, შავი პილპილი; მოვხრაკით ერბოში. ცალკე მოვხარშოთ მარილწყალში ბრინჯი და შევჭრიოთ მოხრაკულ შიგნეულს. შევაზავოთ მწვანილით (ოხრახუში, ქინი, კამა), ყვითელი ყვავილით, მოვათავსოთ გოჭის მუცლის დრუში, გავკეროთ და წამოვგაოთ შამფურზე. თავი და ფეხები დავამაგროთ კანაფით და შევწვათ ნაკვერჩხალზე.

### შველით გამოტენილი შემწვარი გოჭი

გოჭი გავასუფთავოთ, გავრეცხოთ, წავუსვათ მარილი მუცლის დრუში და გარედან.

აუჭადვიძლი მარილწყალში მოვხარშოთ, დავჭრათ წვრილად, დავამატოთ დაჭრილი, უმარილო ახალი ყველი, პიწნა, ტარხუნა, მარილი და კარგად ავურიოთ ერთმანეთში. ამ გამზადებული მასალით გამოვუტენით გოჭს მუცლის დრუში, ძაფით ამოვკეროთ და შევწვათ დუმელში ან შამფურზე.

### სუკის მწვადი

მოელი სუკი გავრეცხოთ, მოვაშოროთ ძარღვები, წამოვგაოთ შამფურზე მოელი სიგრძით. თავში და ბოლოში მაგრად შემოვახვიოთ ძაფი, წავუსვათ მარილი და შევწვათ ნაკვერჩხალზე. შეამფური ხშირად უნდა ვაჭრებუნოთ, რადგან მწვადი ყოველი მხრიდან უნდა შეიწვას და თან შეინარჩუნოს ის წვენი, რომელიც სუკის აქეს. ასეთნაირად მომზადებული მწვადი შეიძლება შეიწვას დუმელშიც. სუკი ისე ძალიან არ უნდა შევწვათ, რომ გამოხმეს. გაჭრისას შეგნიდან უნდა მოვეონავდეს გარდისფერი სითხე. როგორც კი მზად იქნება, მწვადი სუფრაზე მივიტანოთ შამფურით და მოგრძო-მოგრძო, თხელ ნაჭრებად დავჭრათ.

### ლორის მწვადი

მსუქანი ლორის ხორცი (უმჯობესია ზურგის ნეკნებიანი მხარე, ბარკლის ნაჭრები და სხვა) დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და შევდგათ მაცივარში რამოდენიმე საათით. შემდეგ

წამოვაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე; შამფური სულ ვა-ტრიალოთ. როცა მწვადი მზად იქნება, მოვაყაროთ მრგვალად დაჭრილი ხახვი და შემოვუწყოთ ოხრახუშის ფოთლები. სუფრაზე მწვადთან ერ-თად, ცალკე-მივიტანოთ ბროწეულის ან ტყემლის საწებელი.

### ცხვრის, ძროხის ან ღორის ხორცის ბასთურმა

ცხვრის, ძროხის ან ღორის რბილი ნაწილი დაგჭრათ თანაბარ ნაჭრებად, გავრეცხოთ და ჩავდოთ თიხის, მინანქარის ან ფაიფურის ჭურჭელში. დაგაყაროთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, მარილი, პილპილი, დაგასხათ მმარი, დაგახუროთ სახურავი და შევინახოთ რამოდენიმე საათით (შეიძლება ერთი დღე და დამეც). შემდეგ ამოვიდოთ ავაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე ან ღუმელში. ბასთურმა შეიძლება უმმროდაც მომზადდეს.

### სუკის ბასთურმა

სუკი თანაბარი თდენობის ნაჭრებად დაგჭრათ, ჩავაწყოთ შესაფერ ჭურჭელში, დავუმატოთ მარილი, პილპილი, დაკეპილი ხახვი და გავა-ხეროთ რამდენიმე საათით. შემდეგ ხორცი შამფურზე ავაგოთ და შევწ-ვათ ნაკვერჩხალზე. აუფრაზე მიტანისას მოვაყაროთ დაკეპილი უმი ხახვი.

### ცხვრის ხორცის მწვადი ბადრიჯნით

ხორცი გავრეცხოთ, დაგჭრათ თანაბარ ნაჭრებად, შევაზაროთ მარილით და წამოვაგოთ შამფურზე. შევწვათ ნაკვერჩხალზე ან ღუ-მელში. რამოდენიმე ცალი ბადრიჯანი გავრეცხოთ, მოვაჭრათ თავი, გავ-სეროთ დანიოთ შუაზე, ისე რომ ერთმანეთს არ მოცილდეს, ჩავდოთ შიგ გულსართი, რომელიც ასე უნდა მომზადდეს: დაგჭრათ წვრილად ცხვრის ღუმა, ავურიოთ შიგ მარილი, პილპილი, წვრილად დაჭრილი სხვადასხვა მწვანილი (ოხრახუში, ქინძი, რკანი, ქონდარი). ასეთნაირად მომზადე-ბული ბადრიჯანი წამოვაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე ან ღუმელში. მწვადი და ბადრიჯანი რიგრიგობით დაგაწყოთ ლანგარზე, მოვაყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, ღუმა – 100 გრამი, ბადრი-ჯანი – 1 კილოგრამი, მწვანილი – 3-3 მირი, მარილი, პილპილი – გვ-მოვნებით.

### მწვადი აფხაზურმა

კარგად გარეცხილი მსუქანი ცხვრის ხორცი, დვიდლი, ელენთა და ღუმა დაგჭრათ პატარ-პატარა ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და წამ-ოვაგოთ შამფურზე. შევწვათ; სუფრაზე მიტანისას მწვადს მოვაყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ბროწეუ-ლის ან კოჭახურის მარცვლები.

### ცხვრის მწვადი მწყემსურად

მსუქანი ცხვრის ან ბატქნის ხორცი (როგორც ნეკნებიანი, ისე რბილი ადგილები) დაგჭრათ თანაბარ ნაჭრებად. მოვაყაროთ მარილი, პილპილი, კარგად ავურილოთ და ჩავყაროთ თუჯის ქვაბში (ან ტაფაში). დავდგათ ძლიერ ცეცხლზე და შევწვათ თავისივე სიმსუქნეში. ხანგა-მოშვებით ვურიოთ, ისე რომ თოთოველი ნაჭერი კარგად გაწიოლდეს. როდესაც შეიწვება, მწვადს მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და სამი სანტიმეტრის სიგრძეზე დაჭრილი ახლი მწვანე ხახვი.

**მასალა:** ცხვრის ან ბატქნის ხორცი – 1 კილოგრამი, ცხვრის ღუმა – 100 გრამი, მწვანე ხახვი – 200 გრამი, ოხრახუში – 3 მირი, მარილი, პილ-პილი – გვმოვნებით.

### ბატქნის ხორცის ხაშლამა

ბატქნის ხორცი ნაჭრებად დაგჭრათ და გავრეცხოთ. ქვაბში ჩავასხ-ათ წყალი, ავადულდოთ, ჩავყაროთ მარილი, დაჭრილი ბატქნის ხორცი და დავდგათ ცეცხლზე მოსახარშად. ღულილის დროს მოვხადოთ ქაფი. როცა ხორცი მოიხარშება, ქაფქირით ამოვიდოთ ლანგარზე და სუფრაზე ისე მივიტანოთ. ბატქნის ხორცი შეიძლება მოიხარშოს უმარილო წყალში და როცა ლანგარზე ამოვალაგებოთ, მარილი ცხელ-ცხელს მოვაყაროთ.

ასე მოსახარშული ბატქნის ხორცის მიტანა სუფრაზე შეიძლება ლავაშში შეხვეული სახითაც. თხელ ლავაშზე დაიდება ერთი-ორი ნაჭ-ერი ხორცი და შიგ შეიხვევა.

### ძროხის ბეჭი

ავიდოთ მოლიანი ძროხის ბეჭი საკატელათი და გავრეცხოთ. შესაფერ ქვაბში წყალი ავადულდოთ, შევაზავოთ მარილით, მოვათავსოთ შიგ ბეჭი, დავდგათ ცეცხლზე და მოვხარშოთ. ღულილის დროს მოვხ-ადოთ ქაფი. ბეჭი როცა მოიხარშება (არ უნდა ჩაიშალოს), ამოვიდოთ წვენიდან, მოვათავსოთ შესაფერ ლანგარზე და სუფრაზე მოლიანი მივი-ტანოთ, თან მოვაყოლოთ ტყემლის, მდოგვის ან სხვა საწებელი.

### ხორცის ტოლმა

ხორცის რბილი ნაჭერი ხახვთან ერთად ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, დავამატოთ მარილი, პილპილი, უმი ბრინჯი, წვრი-ლად დაჭრილი სხვადასხვა მწვანილი, გათქვეფილი კერცსი და ერთად კარგად აგზილოთ.

კომბოსტოს თავი სათითაო ფოთლებად დაგარჩიოთ, მოვაჭრათ მაგარი ნაწილები, ჩავდოთ ადგელებულ წყალში და 3-5 წუთის განმავ-ლობაში გავთუთქოთ. შემდეგ თოთოველ კომბოსტოს ფოთლებაში შევა-კიოთ გამზადებული ხორცის გუფოები, ჩავალაგოთ ქვაბში, დაგასხათ ძვლებისაგან მიღებული ბულიონი ან ცოტა წყალი, დავამატოთ ხორც-საკეპ მანქანაში გატარებული პამილორი (ან ერთი ჭიქა ტომატი) და

დავდგათ მოსახარშად. როცა მზად იქნება, ლანგარზე ამოვალაგოთ და ზედ თავისი ნახარში წვენი გადავასხაოთ

**მასალა:** რბილი ხორცი – 1 კილოგრამი, ბრინჯი – 0,5 ჩაის ჭიქა, ხახვი – 3-4 ცალი, კვერცხი – 2 ცალი, კომბოსტო – 1 კილოგრამი, პაირი – 1 კილოგრამი, მწვანილი, პილკილი, მარილი – გემოვნებით.

### ძროხის ან ცხერის ხორცის ტოლმა

ძროხის ან ცხერის ხორცის რბილი ნაჭერი და ხახვი ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, შევაზვოთ მარილით, პილკილით, სხვადასხვა მწვანილებით (ქინძი, რკანი, ქონდარი, ტარსუნა, კამა), მოხარშული ბრინჯით და კარგად ავზილოთ.

კომბოსტოს თავის სათითაო ფოთლებად დავარჩიოთ, ჩავდოთ ადუდებულ წყალში და გავთუთქოთ. თოთოვეულ გათუთქულ კომბოსტოს ფოთოლში შევახვიოთ მომზადებული ხორცის გუფოები (დაახლოებით 2 სუფრის კოვზი), ჩავალაგოთ ქვაბში, დავასხაოთ ბულიონი, ან ცოტა წყალი, ხორცსაკეპ მანქანაში გავატებული პამიღორი (ტომარი ან პიურე) და დავდგათ მოსახარშად. როცა მზად იქნება, ამოვალაგოთ ლანგარზე და ზედ თავისივე წვენი გადავასხაოთ.

**მასალა:** ძროხის ან ცხერის ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, კომბოსტო – 1 თავი, პამიღორი – 1 კილოგრამი, მწვანილი – 2-2 ძირი, ბრინჯი – 1 ჩაის ჭიქა, ბულიონი ან წყალი – 2 ჭიქა, მარილი, პილკილი – გემოვნებით.

### ტოლმა მოხარშული ძროხის ხორცისა

მოხარშული, მსუქანი ძროხის ხორცის რბილი ნაჭერი ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი, ცხიმში მოშუშული ხახვი, პილკილი და კარგად ავურიოთ.

გასუფთავებული, გარეცხილი კომბოსტოს ფოთლები მოვათავსოთ ადუდებულ მარიღწყალში და ნახევრად მოვხარშოთ. შემდეგ ფოთლებზე დავალაგოთ წინასწარ გამზადებული ხორცი, შევახვიოთ, მოვათავსოთ ერთ წყებად ცხიმიან ცხელ ტაფაზე და შექწვათ ყოველი მხრიდან. შემწვარი ტოლმა ჩავაწყოთ ქვაბში, დავასხაოთ ცოტა ბულიონი, ან წყალი, დავდგათ ცეცხლზე და ვშეშოთ 10-15 წუთი. მზა ტოლმა გადმოვიდოთ ლანგარზე, ზემოდან დავასხაოთ გათქვეფილი მაწონი ან არაჟანი და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

**მასალა:** მოხარშული ძროხის ხორცი – 500 გრამი, კომბოსტო – 600 გრამი, ხახვი – 3-4 თავი, ცხიმი – 100 გრამი, მაწონი ან არაჟანი – 400 გრამი, პილკილი, მარილი – გემოვნებით.

### ძროხის ან ცხერის ხორცის ტოლმა გაზის ფოთოლში გახვეული

ძროხის ან ცხერის ხორცი დაგჭრათ ნაჭრებად, გავრეცხოთ და ხახვათ ერთად ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, დავუმატოთ პილკილი, მარილი, კვერცხი, სხვადასხვა მწვანილი და კარგად ავზილოთ.

ვაზის ფოთოლი გავარჩიოთ, დავასხაოთ მდურარე წყალი, წამოვარულო ერთი პირი, ამოვალაგოთ და გავაცივოთ. თითო კაპლისხოდენა გამზადებული ხორცი ვაზის ფოთოლში სათითაოდ შევახვიოთ, ხავალაგოთ ქვაბში, დავასხაოთ წყალი და დავდგათ მოსახარშად. როცა მოიხარშება, მოვალაგოთ, დაგაწყვით დანგარზე, გადავასხაოთ გათქვეფილი მაწონი ან არაჟანი, მოვაყაროთ შაქრის ფხვნილოთან ერთად დანაყილი დარიჩინი და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

**მასალა:** რბილი ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, მაწონი ან არაჟანი – 500 გრამი, ვაზის ფოთოლი – საჭირო რაოდენობის, მარილი, პილკილი, მწვანილი – გემოვნებით.

### ზაფხულის ტოლმა

გარეცხილი ცხერის ხორცის რბილი ნაჭერი, თავისი ქონით, ნაჭრებად დაგჭრათ და გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. დავუმატოთ ძალიან წერილად დაჭრილი ხახვი, რკანი, ოხრახეში, ქინძი, პილკილი, ბრინჯი, მარილი და კარგად ავურიოთ.

მწიფე პამიღორი დაგჭრათ, წამოვადუდოთ 8-10 წუთი და გავხეხოთ საცერზე. საშუალო ზომის ბადრიჯანს მოვაჭრათ თავი, ჩაგჭრათ ერთი მხრიდან, ამოვაცალოთ თესლი, ჩავაყაროთ ცოტა მარილი. ტკბილ წიწაკას მოვაჭრათ ზედა თავი, ამოვაცალოთ თესლი და გავთუთქოთ მდუღარე წყალში.

მწიფე, მაგარი, საშუალო ზომის პამიღორი გავრეცხოთ ცივი წყლით, მოვაჭრათ თავი, ამოვაცალოთ თესლი, ისე რომ მისი მოლიანობა არ დაირღვეს და ჩავაყაროთ ცოტა მარილი.

გამლი გავუცექნათ და დაგჭრათ თხელ ნაჭრებად. გამზადებული ბადრიჯანი, წიწაკა და პამიღორი ამოვასოთ წინასწარ მომზადებული ხორცით და თავთავისი სახურავი დავახუროთ.

სუფთა ქვაბის ფსკერზე მოვათავსოთ რბილი ხორცისაგან გამოცლილი ფლები, ფერებიდან დაგაწყვით გამზადებული ბადრიჯანი, შემდეგ ვაშლი, წიწაკა, ვაშლი და შემდეგ ვენად პამიღორი. ზევიდან დავასხაოთ წინასწარ მოხარშული პამიღორი. დაგახუროთ ქვაბს სახურავი და ვხარშოთ, სანამ მზად არ იქნება.

**მასალა:** ცხერის ხორცი – 1 კილოგრამი, ბრინჯი – 0,5 ჩაის ჭიქა, ბადრიჯანი – 6 ცალი, პამიღორი – 8 ცალი, ტკბილი წიწაკა – 7 ცალი, ვაშლი – 500 გრამი, პამიღორი (წვენისათვის) – 600 გრამი, ხახვი – 2 თავი, მწვანილი – 3-3 ძირი, პილკილი, მარილი – გემოვნებით.

### ლულაქაბაბი

ცხერის ხორცის რბილი ნაჭერი, დუმა, ხახვი ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. შევაზვოთ მარილით, პილკილით, კოწახურით, გათქვეფილი კვერცხით და ხელით კარგად ავურიოთ. დავყოთ ნაწილებად, დაგამრგვალოთ, წამოვაგოთ შამფურზე და შეგწვათ ყოველი მხრიდან. როცა შეიწვება, ფრთხილად მოვაცილოთ შამფურიდან, სათო-

თაოდ შეგახვიოთ ლაგაშში და დაგალაგოთ თეფშეე. ცალკე მივიტანთ დაჭრილი ხახვი და დანაყილი კოწახური. შეგვიძლია შემწვარი ლულაქაბაბი ლაგაშში არ გავახვიოთ, დავაწყოთ თეფშეე, მოვაყაროთ დაჭრილი ხახვი და დანაყილი კოწახური, ან ეს უკანასკნელი ცალკე მივიტანოთ.

**მასალა:** ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, დუმა – 100 გრამი, ხახვი – 2 თავი, კვერცხი – 2 ცალი, კოწახური, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### ძროხის ხორცის გულთა

მოხარშული ძროხის ხორცი, კარტოფილი, ნიგოზი, ოხრახუში ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. შეგვაზავოთ მარილით, დანაყილი შავი პილპილით, დათქვევილი კვერცხითა და კარგად ავურიოთ. მიღებული მასალისაგან გაფაკეთოთ მრგვალი მოვანილობის ბრტყელი გუფთები, ამოვავლოთ ორცხობილაში და ერბოიან ტაფშეე შევწვათ.

სუფრაზე მიტანისას მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა.

**მასალა:** მოხარშული ძროხის ხორცი – 500 გრამი, კარტოფილი – 2 ცალი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, კვერცხი – 2 ცალი, ერბო – 3 სუფრის კოვზი, დანაყილი ორცხობილა – რამდენიც დასჭირდება, მწვანილი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### ღორის შიგნეულისაგან მომზადებული გუპატი

ღორის ნაწლავები ჩამდინარე წვალშეე გავრეცხოთ, შემდეგ შუაზე გავჭრათ სიგრძით და კიდევ კარგად გავრეცხოთ. ნაწლავებს სუფრის მარილი დაგაყაროთ, კარგად გაგწმინდოთ და თან ვრეცხოთ; შემდეგ სიმინდის ფქვილით გავასუფთავოთ და ვრეცხოთ. გასუფთავებული ნაწლავები დანარჩენ შიგნეულობასთან (გული, დვიძლი, თირკმელები) ერთად მოვათავსოთ ქვაბში, დაგასხათ წვალი და მოვხარშოთ (ძალიან არ უნდა ჩაიხარშოს). დაგვაჭიოთ წიწაკა, მარილი, ნიორი, ქინდარი, ქინდი (გამსხმარი) და ერთმანეთში ავურიოთ. მოხარშული შიგნეულობა ამოვავლოთ ქვაბიდან და დაგჭრათ ძალიან წვრილად. შიგ ავურიოთ აღნიშნული სანელებლები და მარცვლებად დარჩეული ბროწეული (ან კოწახური).

წინასწარ გასუფთავებულ, გარეცხილ ნაწლავს წამოვაგოთ განიერდინიანი ძაბრი, რომლის საშუალებითაც ნაწლავი ამოვავსოთ გამზადებული შიგნეულით. თითოეული კუპატისათვის ნაწლავი შიგნეულით ამოვავსოთ 20-30 სანტიმეტრის სიგრძეშე. თითოეულ კუპატს თავი და ძოლო შევუერთოთ და შეგერათ მომსხო ძაფით. მომზადებული კუპატები მდუღარებელიან ქვაბში ჩაგუშვათ, მაშინვე უკან ამოვილოთ და დავკიდოთ. კუპატის მოთავსება მდუღარე წვალში საჭიროა იმიტომ, რომ ნაწლავის შიგნით ცარიელი სიგრცე შეიგსოს.

ასეთი წესით მომზადებული კუპატი შევწვათ და მივიტანოთ სუფრაზე.

### ხორცის კუპატი

ავიღოთ გარეცხილი მსუქანი ძროხის ხორცის ან ღორის ხორცის რბილი ნაჭერი, ან მათი ნარევი და ხახვათ ერთად ორჯერ გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაკეპილი ხორცი შეგვაზავოთ მარილით, დანაყილი პილპილით, კოწახურით, კარგად დავზილოთ, თან ცოტ-ცოტა ხორცის ბულიონი ავასხათ, რომ ხორცი ნაზი იყოს. ავიღოთ საჭირდის გამხმარი ნაწლავი, კარგად გავრეცხოთ და დავალბოთ თბილ წელში 10-15 წუთი. განიერდინიანი ძაბრი წამოვაცვათ ნაწლავებს და შეზავებული, დაკეპილი ხორცით გავტენოთ (30 სანტიმეტრი სიგრძით). თითოეული კუპატის თავი და ბოლო შეგვაროთ, ძაფებით შევკრათ და დავკიდოთ შესანახად. როცა დაგჭირდება, შევწვათ ტაფაზე და სუფრაზე მივიტანოთ.

**მასალა:** ძროხის ან ღორის ხორცი ან მათი ნარევი – 4 კილოგრამი, ხახვი – 5-6 თავი, კოწახური – 200 გრამი, ნაწლავი – საჭირო რაოდენობით, პილპილი – 20-25 მარცვალი, კოწახური, მარილი – გემოვნებით.

### ხბოს ხორცის კუპატი

ხბოს ხორცის კუპატი მზადდება ისევე, როგორც სხვა ხორცის კუპატი. აქაც საჭიროა წვრილად დაჭრილი ღორის ან ხბოს ქონი, ბულიონი, ბროწეული, ნიორი, ცოტა წიწაკა (შავი ან წითელი). კუპატი სუფრაზე შევწვარი უნდა მივიტანოთ.

### ღორის ღვიძლი კუპატი იმერულად

ღორის ნაწლავები კარგად გავრეცხოთ, როგორც ზევით არის აღწერილი. ღორის ღვიძლს დაგამატოთ დაახლოებით მისი წრნის მეოთხედი მსუქანი ღორის ხორცი, დაგჭრათ წვრილად, ერთი წუთით ჩავყაროთ მდუღარე წვალში, შემდეგ გავწმუროთ, ჩავყაროთ დრმა ტაფაში და თავის სიმსუქნეში მოვჟამოთ. როდესაც მზად იქნება, გადმოვდგათ და შევაზავოთ ხახვით, ნიორით, კოწახურით, ხმელი სუნელით, მარილით, დაგჭეული შავი პილპილით. ყველაფერი ეს კარგად ავურიოთ, ჩავდოთ გასუფთავებულ ღორის ნაწლავებში და თავები მოვჟამოთ. ამრიგად შემზადებული კუპატი შევწვათ ტაფაზე; როცა ყველა მსრიდან საქმარისად იქნება გაწითლებული, სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ თხლად დაჭრილი ხახვი. ცალკე მივიტანოთ ტყემლის საწებელი.

**მასალა:** ღორის ღვიძლი – 4 კილოგრამი, ღორის მსუქანი ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 5-6 თავი, ნიორი – 1 თავი, ნაწლავები – რამდენიც დასჭირდება, ხმელი სუნელი, მარილი, პილპილი, კოწახური – გემოვნებით.

### ღვიძლის ძეხვი თუშურად

ბატქნის ან ცხვრის ღვიძლი დაგჭრათ წვრილად, მოვაყაროთ დაკეპილი ხახვი, ოხრახუში, პილპილი, მარილი და კარგად ავურიოთ. ავიღოთ ღვიძლის ფარი და დაგჭრათ ოთხეულობით ნაჭერებად. თითოეულ ტოლმისებურად შეგვაზიოთ ღვიძლის გულსართი. შევეული ძეხვები

დაგაწყოთ ცხელ ტაფაზე და შეგწვათ ერბოში, ისე რომ ორივე მხრიდან კარგად დაიძრაწოს. სუფრაზე მიტანისას მოვაყაროთ რგოლებად, თხლად დაჭრილი ხახვი, კამა, ოხრახუში.

ასეთივე წესით შეიძლება მომზადდეს ღორის დვიძლის ძეხვი.

მასალა: ბატქის ან ცხვრის დვიძლი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, ერბო – 100 გრამი, დვიძლის ფარი – საჭირო რაოდენობის, ოხრახუში, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### ფაშვის გარსში შეხვეული შემწვარი ხორცი პამიღვრის საწებლით

მსუქანი ცხვრის ხორცის რბილი ნაჭერი და ხახვი ძალიან წვრილად დაგვეპოთ, დავუმატოთ პილპილი, მარილი, წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, კამა, გათქვეფილი კერძოცხი და კარგად ავზილოთ. ასეთი წესით გამზადებული ხორცი მოვათავსოთ გასუფთავებულ, გარეცხილ ფაშვის გარსში და შევახვიოთ ისე, რომ შიგთავსი არ ჩანდეს. შემდეგ დაგაწყოთ ტაფაზე და კარგად შევწვათ. შეწვის დროს გამოყოფილი სიმსუქნე სუფთა ქვაბში გადავიტანოთ, დავუმატოთ წვრილად დაგვეპილი ხახვი და მოვხრაკოთ. ჩავყაროთ შიგ ნაჭრებად დაჭრილი პამიღორი და ვაღუდოთ 10-15 წუთი.

შემწვარი ხორცი დაჭრათ, მოვათავსოთ ლანგარზე და ზემოდან გადავასხათ პამიღვრის საწებელი.

მასალა: მსუქანი ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, კერძოცხი – 2 ცალი, ქინძი, კამა, ოხრახუში – 2-2 ძირი, პამიღორი – 1 კილოგრამი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### ცხვრის გულ-დვიძლის ყაურმა

ერთი ცხვრის გულ-დვიძლი თავისი ფარით კარგად გავრცხით და დაჭრათ ნაჭრებად. ხახვი დაგვეპოთ, ჩავყაროთ ქვაბში, დავუმატოთ დაჭრილი გულ-დვიძლი თავისი ფარით და კარგად მოვხრაკოთ ნელ ცეცხლზე. როცა აღნიშვნელი მასალა მოიხრაკება, დავუმატოთ მარილი, დანაყილი პილპილი, წვრილად დაჭრილი ტარხუნა, ათი წუთი კიდევ გხრაკოთ და გადმოვდგათ ცეცხლიდან.

მასალა: გულ-დვიძლი – ერთი ცხვრის, ხახვი – 4-5 თავი, ტარხუნა – 7-8 ძირი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### §3. ურინველის ხორცისბან მოზადებული პერძები

#### ქათმის ან გარის ჩახოხბილი

გასუფთავებული, კარგად გარეცხილი ფრინველი დავჭრათ, მოვათავსოთ ქვაბში და მოვშეშოთ. როცა წვენს გამოყოფს, გადავასხათ ცალებ ჭურჭელში და შევინახოთ.

ხახვი დაგჭრათ სიგრძეზე, დავაყაროთ მოშუშულ ხორცს, დავუმატოთ კარაქი ან ერბო და გხრაკოთ, სანამ ხორცი კარგად არ შეწილდება. ხანგამოშვებით კოვზით კარგად ვერიოთ, რომ ქვაბის ძირს არ მიეწვას. მოხრაკულ ფრინველის ხორცს დავასხათ მისივე წვენი, შევაზავოთ წვრილად დაჭრილი სხვადასხვა მწვანილით (ქინძი, ოხრახუში, კამა), პილპილითა და მარილით.

მასალა: ქათმი ან ვარია, ხახვი – 4-5 მოზრდილი თავი, კარაქი ან ერბო – 100-150 გრამი, მწვანილი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

#### ქათმის ან გარის ჩახოხბილი პამიღვრით

გასუფთავებული, გარეცხილი ფრინველი დავჭრათ, მოვათავსოთ ქვაბში და მოვშეშოთ. შემდეგ დავაყაროთ სიგრძეზე დაჭრილი ხახვი, დავუმატოთ კარაქი ან ერბო და ერთად მოვხრაკოთ. პამიღორი სახეზე გავხეხოთ (ან გავატაროთ ხორცსაკემ მანქანაში), დავასხათ ხორცს და გხარშოთ 20-25 წუთი. შევაზავოთ წვრილად დაჭრილი სხვადასხვა მწვანილით, წიწაკით და მარილით.

თუ ამ კერძს ზამთარში ვაკეთებოთ, პამიღვრის მაგიერ შეიძლება გამოვიყენოთ წყალში გახსნილი ჰიურე.

მასალა: ქათმი ან ვარია, ხახვი – 4-5 მოზრდილი თავი, კარაქი ან ერბო – 100 გრამი, პამიღორი – 1 კილოგრამი (პიურე 3/4 ჩაის ჭიქა), მწვანილი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

#### ქათმის ჩახოხბილი კვერცხით

კარგად გასუფთავებული ქათმი დაჭრათ, ჩავაწყოთ ქვაბში და მოვშეშოთ. დავაყაროთ დაჭრილი ხახვი, დავასხათ კარაქი ან ერბო და გავაგრძელოთ შუშვა თავდია ქვაბში 15-20 წუთის განმავლობაში.

პამიღორი გავხეხოთ სახეზე (ან გავატაროთ ხორცსაკემ მანქანაში), დავასხათ მოშუშულ ქათმას, დავხეროთ ხეფი და გადუდოთ ხორცის მოხარშვამდე. შემდეგ კარგად გავთქვიფოთ თრი კერძოცხი და ნელ-ნელა დავუმატოთ. შევაზავოთ მწვანილით (ქინძი, ოხრახუში, კამა), წიწაკით და მარილით. ამოვიღოთ ლანგარზე. სუფრაზე მიტანის წინ გარშემო შემოვეწყოთ მაგრად მოხარშული თხლად დაჭრილი კერძოცხი და მოვაროთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

მასალა: ქათმი, ერბო – 100 გრამი, კერძოცხი – 5-6 ცალი, პამიღორი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 მოზრდილი თავი, მწვანილი – 2-2 ძირი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

## ქათმის ან იხვის ჩახობილი ნიგგზით

ქათამი ან იხვი კარგად გავასუფთავოთ გავრეცხოთ, დავჭრათ და ჩავდოთ ქვაბში; დაგასხათ მარილწყალი და კარგად მოვხარშოთ. დაგჭრათ ხახვი, წმინდად დაგნაყოთ გამხმარი ქინი, ნიორი, ნიღოზი, წიწაკა, ყველაფერი ეს კარგად ავლესოთ ძმარსა და ქათმის ნახარშში და მოვასხათ მოხარშულ ქათამს.

**მასალა:** ქათამი ან იხვი, ხახვი – 3-4 თავი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, მარი – 2 სუფრის კოვზი, ნიორი – 4-5 გბილი, მარილი – გემოვნებით.

## ფრინველის კუჭმაჭის ჩახობილი

გასუფთავებული, გარეცხილი რომელიმე ფრინველის კუჭმაჭი ქვაბში ჩავყაროთ, დავდგათ ცეცხლზე და მოვშუშოთ. ხახვი წვრილად დაგვეპოთ, დაგვამატოთ ერბო და მოვშუშოთ, დავაყაროთ მოხრაგული კუჭმაჭი და გავაგრძელოთ შეშვა. პამიდორი გაეხეხოთ სახებზე (ან გავაროთ ხორცსაკემ მანქანაში), დაგვამატოთ კუჭმაჭს და ვადუდოთ, სანამ არ შესქელდება. შევაზავოთ მწვანილით, წიწაკით, მარილით.

**მასალა:** კუჭმაჭი – ერთი ფრინველის, ხახვი – 1-2 თავი, კარაქი – 50 გრამი, პამიდორი – 300 გრამი, მწვანილი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

## ქათამი არაჟნითა და ბრინჯით

დაჭრილ ქათამს მოვაკაროთ მარილი, შავი პილპილი, წავუსვათ დანაყილი ან გატარებული ნიორი, დავალაგოთ ტაფაზე, მოვასხათ 500 გრამი არაჟნი და დავდგათ გრილ ადგილზე. ერთი საათის შემდეგ შევდგათ გაზექურაში, როცა ქათამი შეიძრავება, გამოვიდოთ, ფრთხილად გადმოვალაგოთ ოვეშები. ტაფის ძირზე მოვყინოთ წინასწარ მოხარშული და გაწურული ბრინჯი, ხემოდან დავალაგოთ ქათმის ნაჭრები და ისევ შევდგათ გაზექურაში 10-15 წუთით. შემდეგ ფრთხილად გადმოვიტანოთ შესავერის ლანგარზე ან გაშლილ თევშები ისე, რომ ბრინჯი კვლავ ძირში მოვქცეს.

**მასალა:** ქათამი, არაჟნი – 500 გრამი, ბრინჯი – 1 ჩაის ჭიქა, მარილი, პილპილი, ნიორი – გემოვნებით.

## ქათამი იმერულად

კარგად გასუფთავებული მსუქანი ქათამი დავჭრათ. მოვათავსოთ ქვაბში და მოვშუშოთ. ჩავყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი და კარგად მოვხრაკოთ, შეწითლებამდე.

წმინდად დაგნაყოთ ნიღოზი, ხმელი სუნელი, ნიორი, წიწაკა, მარილი, ხედლი ქინი. ყველაფერი გაგხსნათ მმარში, დაგვამატოთ წყალი და დაგასხათ მოხრაგულ ქათამს. 5-10 წუთის დუდილის შემდეგ კერძი მზად იქნება.

**მასალა:** ქათამი, ხახვი – 2-3 თავი, ხმელი სუნელი – 1 სუფრის კოვზი, ქინი – 3 მირი, ნიღოზი – 1 ჩაის ჭიქა, მმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

## შემწვარი წიწილა – ტაბაკა

წიწილა კარგად გავასუფთავოთ, გავრეცხოთ, გავჭრათ შეუაზე, მოვაყაროთ მარილი. ტაფაზე დავასხათ ერბო (შეიძლება ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთიც); როცა კარგად გაცხელდება, დავდოთ ზედ წიწილა, ზემოდან დავახუროთ თევში, დავადიოთ მძიმე საგანი, რომ წიწილის ყველა ნაწილი ერთნაირად შეიწვას. როცა ერთი მხარე შეიწვება, გადავაბრუნოთ და შექვათ მეორე მხრიდანაც.

## შამფურზე შემწვარი წიწილა

გაწმენდილი, გარეცხილი წიწილის კუჭ-დვიძლი, ფეხები და თავი ჩავდოთ მისივე მუცელის ღრუში, წავუსვათ მარილი, აგაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე; შამფური ვატრიალოთ ნელა.

## შემწვარი წიწილა სულგუნით

გასუფთავებული, გარეცხილი და მარილმოყრილი წიწილის მუცლის ღრუშ გამოვტენოთ წვრილად დაჭრილი სულგუნით. გავკეროთ ძაფით, წამოვგაოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე. შეწვის დროს სანგამომვებით წავუსვათ ერბოში არეული ბროწეულის წვენი. როცა მზად იქნება, ძაფები მოვაცილოთ, დავჭრათ და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

**მასალა:** წიწილა, ერბო – 20 გრამი, სულგუნი – 100 გრამი, ბროწეული, მარილი – გემოვნებით.

## შიგნეულით გატენილი შემწვარი წიწილა

წიწილის კუჭმაჭი მოვხარშოთ, წვრილად დავჭრათ, მივუმატოთ დაჭრილი ხახვი, ტარხუნა, ოხრასუში, რჟანი, დავდოთ ტაფაზე, დავასხათ გამდნარი ერბო, დავაყაროთ დანაყილი დარიიჩნი, მარილი, ერთად ავჭრიოთ და მოვშუშოთ. ამ მასალით ამოვუსვათ წიწილას მუცელი, ძაფით შევკეროთ, ხავდოთ დრმა ტაფაში, დავახუროთ სახურავი და შევწვათ.

**მასალა:** წიწილა, მწვანე ხახვი – 5 მირი, ტარხუნა – 2 მირი, ოხრასუში – 3 მირი, რჟანი – 2 მირი, ერბო – 2 სუფრის კოვზი, მარილი, დანაყილი დარიიჩნი – გემოვნებით.

## შემწვარი წიწილა ნიგგზით და ნივრით

გასუფთავებული, გარეცხილი წიწილა შევწვათ ტაბაკად. ნიგოზი ნიორთან და მარილთან ერთად კარგად დაგნაყოთ, გავხსნათ ადგუდებული წყალში. ცხელ-ცხელი შემწვარი წიწილა ნაჭრებად დავჭრათ, დავაწყოთ ლანგარზე და დავასხათ ზევიდან ნიღოზ-ნივრიანი საწებელი.

**მასალა:** წიწილა, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, წყალი – 2 ჩაის ჭიქა, ნიორი – 6-7 კბილი, არილი – გემოვნებით.

## შემწვარი ქათამი ტყემლის წვენით

კარგად გასუფთავებულ, გარეცხილ ქათამს მოვაკაროთ მარილი და წამოვაგოთ შამფურზე; დავამაგროთ კისრით და ფეხებით, შევწვათ

ნაკვერჩხალზე,თან შამფური სულ ვატრიალოთ. ქათამი კარგად რომ შიწვება,გამოვაძროთ შამფურიდან და სუფრაზე მივიტანოთ ყოველგვარი საქმაზის გარეშე.

ცალკე მივიტანოთ ტყემლის საწებელა.

### სუნელებით შემწვარი ქათამი

წიწაკას დავასხაოთ მდუღარე წყალი და ასეთ მდგომარეობაში დავტოვოთ რამოდენიმე საათი. შემდეგ გადავწუროთ, დავუმატოთ დანაყილი ქინძის თესლი,ნიორი, ქინძი, კამა, ოხრახუში, რეპანი, მარილი და გაეხსნათ ნიგებიდან გამოხდილ ზეთში.

ქათამი შამფურზე წამოვაგოთ,ცეცხლზე შევწვათ და ხანგამოშვებით წაგებვათ ზემოაღნიშუნლი მასალა.

### შემწვარი ქათამი ნიგების საწებლით (ბაჟა)

ქათამი კარგად გავასუფთავოთ,გავრცეხოთ და მოვათავსოთ მდუღარე მარილწყლით ქვაბში. ვადუღოთ 5-10 წუთი, შემდეგ ამოვიდოთ ქაბიდან და შევდგათ დამუშებში შესაწვავად. როცა კარგად შეიწვება, ცხელ-ცხელი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად და ჩავალაგოთ საწებელში,რომელიც ასე შეადგება:

უკითელი უკავილი (ზაფრანა), მარილი, ნიგოზი, ნიორი დაქნაყოთ წმინდად. ცალკე დავნაყოთ ნიგოზთან ერთად ხელი სუნელი, წიწაკა, ქინძის თესლი. კველაფერი ეს კარგად ავურიოთ და ვსრისოთ ხელით მანძადე, სანამ ნიგოზს ზეთს არ გამოვადენთ. გამოხდილი ზეთი ცალკე შევინახოთ. ნიგოზი გავხსნათ ბროწეულის წვენში (ან ცოტა მმარში), დავამატოთ ანადუღარი ცივი წყალი ისე, რომ საშუალო სისქის საწებელი მივიღოთ.

ასეთი წესით მომზადებულ საწებელში ჩავალაგოთ შემწვარი ქათამი, ზევიდან მოვასხაოთ გამოხდილი ზეთი.

მასალა: ქათამი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ზაფრანა – 1 ჩაის კოვზი, სუნელი – 1 ჩაის კოვზი, ქინძი (ხმელი) – 1 ჩაის კოვზი, ნიორი – 1-2 ქინძი, ბროწეულის წვენი – 0,5 ჩაის ჭიქა, მმარი – 2 სუფრის კოვზი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ბოზართმა ქათმის ან სხვა ფრინველის ხორცისაგან

კარგად გასუფთავებული,გარცხილი ფრინველის ხორცი მოვშუშოთ საკუთარ წვენში; ალფად დაჭრილი ხახვი ცალკე ტაფაზე მოვხრავოთ იმავე ფრინველის ქონსა და ცოტაოდენ ერბოში.

მოხრაჯული ფრინველის ხორცი ამოვიდოთ ლანგარზე და ზედ მოვაყაროთ მოხრაჯული ხახვი. სუფრაზე ცალკე მივიტანოთ დანაყილი ნიორი და ქინძი მმრით.

მასალა: ფრინველი, ხახვი – 4-5 მოზრდილი თავი, ერბო – 50 გრამი, ნიორი, ქინძი, მმარი, მარილი – გემოვნებით.

### ქათამი აჭარულად

გასუფთავებული, გარცხილი ქათამი დაგჭრათ, ჩავყაროთ ქვაბში და წუშუშოთ, სანამ სითხე არ ამოშრება. დავაყაროთ ბრტყლად დაჭრილი ხახვი და გავაგრძელოთ შუშვა. როცა ხახვი შეწიოლდება, ჩავუმატოთ წერილად დაჭრილი სხვადასხვა მწევანილი. ქათამს თუ საქმაო სიმსუქნე არა აქვს, დავუმატოთ ერბო და მარილით შევაზავოთ.

მასალა: ქათამი, ხახვი – 3-4 თავი, სხვადასხვა მწვანილი – 200 გრამი, ერბო – 1 სუფრის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

### გარია ნიგების საწებლით, მეგრულად

გასუფთავებულ, გარცხილ გარიას ჩავუწყოთ მუცლის ღრუში შიგნებული და ფეხტი, მოვაყაროთ მარილი, წმინდაგოთ შემწვრზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე. შამფური ნელა ვატრიალოთ და ხანგამოშვებით წავუსვათ გამდნარი კარაქი (ვარია შეიძლება შეიწვას ჩვეულებრივ ტაფაზეც – ტაბაკად). როცა მზად იქნება, დაგჭრათ, ხავაწყოთ ღრმა ჭურჭელში და ზემოდან დავასხაოთ მზა ბაჟა, რომელიც შემდეგნაირად აქოდება: ნიგოზი, პიტნა, ქინძი, კამა, წიწაკა და ნაყაფოთ ერთად, რაც შეიძლება წმინდად. ყველაფერი ეს გავხსნათ ბროწეულის წვენში, მივუმატოთ დაკეპილი ხახვი, მარილი: ცოტა ხნით დავახეროთ საცურავი. სუფრაზე მივიტანოთ იმავე ჭურჭლით.

მასალა: ვარია, ნიგოზი – 100 გრამი, მწვანილი, ბროწეულის წვენი, ხახვი, მარილი – გემოვნებით.

### მოხარშული ქათამი ნივრით

კარგად გასუფთავებული ქათამი ჩავდოთ ქვაბში, დავასხაოთ წყალი და მოვხარშოთ. მოხარშული ქათამი დაგჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, ხავაწყოთ ღრმა ჭურჭელში და დავასხაოთ ზედ ქათმის წვენში გახსნილი დანაყილი ნიორი და მარილი.

### მოხარაჯული ქათამი კვერცხით

საშუალო სიდიდის ქათამი დაგჭრათ ნაჭრებად, ჩავყაროთ ქვაბში, დავდგათ ცეცხლზე და მოვხრაკოთ.

ცალკე ტაფაზე, ერბოში, კარგად მოვშუშოთ ხახვი და მოვასხაოთ მოხრაჯულ ქათმის. დავასხაოთ იმდენი ცხელი წყალი, რომ შიგთავსი დაიფაროს და ვხარშოთ 15-20 წუთი. ჩავყაროთ შიგ წვრილად დაჭრილი ქინძი, ცოტახუში, კამა, მმარილი და ჩავახალოთ კვერცხი. კვერცხის მოხარშისთანავე კერძი მზადაა.

მასალა: ქათამი, ხახვი – 3-4 მოზრდილი თავი, ერბო – 2 სუფრის კოვზი, მწვანილი – 3-3 მირი, კვერცხი – 3-4 ცალი, მარილი – გემოვნებით.

### მოხარშული ვარია ნიგებით

გასუფთავებული ვარია ქვაბში ჩავდოთ, დავასხაოთ წყალი და მოვხარშოთ. შემდეგ წვენიდან ამოვიდოთ, ნაჭრებად დაგჭრათ და ლანგარზე დავაწყოთ.

ნიგოზთან ერთად კარგად დაჭნაურო ყვითელი ყვავილი,ნიორი,გამოგხადოთ ზეთი და ცალკე ჭურჭელში შევინახოთ. დავნაურო წიწაკა,ქინძი, მარილი,გავსნათ ბროწეულის წვენში (ან ცოტა ძმარში),ჩავასხათ ვარის ნახარშ თბილ წვენში და მოვასხათ ლანგარზე დაწყიბილ ვარიას. სუფრაზე მიტანის წინ ზემოდან მოვასხათ ნიგბზიდან გამოხდილი ზეთი.

**მასალა:** ვარია, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ბულიონი – 4 ჩაის ჭიქა, ბროწეულის წვენი – 0,5 ჩაის ჭიქა, ყვითელი ყვავილი – 1 ჩაის კოვზი, ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ნიგზის წვენში ჩახრაჯული შემწვარი ვარია

გასუფთავებული ვარია ჩავჭრათ შეუხე, წავუსვათ მარილი, დავდოთ ერბოიან ცხელ ტაფასუხე, ზემოდან თევში დავაფაროთ და დავადოთ რაიმე მძიმე საგანი, რომ ვარია ყოველი მხრიდან კარგად შეიწევას.

ხახვი წვრილად დაგეპორო, ჩავყაროთ ქვაბში, დავუმატოთ კარაქი და მოვშეშოთ.

ნიგოზი დაგნაურო, გამოვხადოთ ზეთი და ჩავასხათ ცალკე ჭურჭელში. დანაყილ ნიგოზს შევურიოთ დანაყილი ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი, სიმინდის ფქვილი. ყველაფერი ეს გავსნათ მდუღარე წყალში, დავასხათ კარაქში მოშუშელ ხახვს და ვადუღოთ. დუღილის დროს დავჭმატოთ ბროწეულის წვენი (ან ისრიმის წვენი) და მიხატდარიჩინი. ცხელ-ცხელი, შემწვარი ვარია ნაჭრებად დავჭრათ, ჩავაწეროთ მოხარშელ წვენში და ერთი-ორი წამოდუღებისთანავე ცეცხლიდან გადმოვდგათ. სუფრაზე მიტანის წინ აღნიშულ კერძს ზემოდან გადავასხათ ნიგზიდან გამოხვიდილი ზეთი.

**მასალა:** ვარია, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, კარაქი – 2 სუფრის კოვზი, ხახვი – 200 გრამი, სიმინდის ფქვილი – 1 სუფრის კოვზი, წყალი – 4-5 ჩაის ჭიქა, ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარი, ბროწეული, მიხატდარიჩინი – გემოვნებით.

### ფრინველის კუჭმაჭი ნიგვზით

კარგად გასუფთავებული, გარეცხილი შინაური ფრინველის კუჭმაჭი მოვათავსოთ ქვაბში, დავასხათ წყალი და დავდგათ მოხახარშად. მოხარშელი, გაციტებული კუჭმაჭი დავჭრათ წვრილ როხეულხედ ნაჭრებად, ავურიოთ წმინდად დაჭრილი ხახვი, ქინდარი. დავნაურო ნიგოზი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, ქინძი (ხმელი), სუნელი, ნიორი. ყველაფერი ეს გავსნათ კუჭმაჭის ბულიონში, დავამატოთ ძმარი (ან ბროწეულის წვენი), მარილი და კარგად ავურიოთ მოხარშელ კუჭმაჭში. სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ მარცვლებად დარჩეული ბროწეული.

**მასალა:** ფრინველის კუჭმაჭი – 1 კილოგრამი, ხახვი – 2-3 ცალი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ქინდარი – 5-6 ძირი, ნიორი – 2-3 კბილი, ბროწეული – 1 ცალი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, ქინძი, სუნელი – გემოვნებით.

### წიწილა თეთრი ღვინის საწებლით, იმერულად

კარგად გასუფთავებული წიწილა გავჭრათ ოთხად, მოვაყაროთ მარილი და შევწაო დაბალ ფართო ქვაბში (კარაქში). როცა წიწილა

ირგვლივ კარგად შეწითლდება, ჩავუმატოთ დაკეპილი ხახვი და გავაგრძელოთ შუშვა თავდახურულ ქვაბში. ხახვი რომ ჩაიხრავება, დავასხათ ოქორი ღვინო და გავაგრძელოთ შუშვა, სანამ დაიშრობს ღვინოს. შემდეგ კიდევ დავასხათ იმდენი ღვინო, რომ წიწილას ფარავდეს. როდესაც აღუღდება, ჩავუმატოთ კანგაცლილი, გახეხილი პამილორი ან მწიფე ტყემალი და წვრილად დაკეპილი ახალი პიტნა. სუფრაზე მივიტანოთ ცხლად, თავისივე საწებლითან ერთად, დრმა დანგრით.

**მასალა:** წიწილა, კარაქი – 30 გრამი, ხახვი – 2 თავი, პამილორი – 200 გრამი, ან მწიფე ტყემალი – 50 გრამი, თეთრი ღვინო – 200 გრამი, ახალი პიტნა, მარილი – გემოვნებით.

### გარია მეგრულად

შევარჩიოთ მოზრდილი ვარია, დავჭრათ ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი, წიწილი წიწაკა, ავურიოთ და მოვათავსოთ ფართო, დაბალ ქვაბში, ჩავუმატოთ კარაქი, დავასუროთ თავსახური და მოვშეშოთ, სანამ არ შეწითლდება. დავამატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიორი, კარგად მოვურიოთ, დაგხუროთ სახურავი და გავაგრძელოთ შუშვა. როცა ხახვი კარგად დარბილდება, ჩავამატოთ მოხარშელი და საცერზე გატარებული ახალი ტყემალი. შევზავოთ სხვადასხვა მწვანილებით (ქინძი, კამა, ოხრახუში, ხმელი სუნელი), მარილით. ბოლოს მდუღარეში ჩავამატოთ წმინდად დანაყილი, წყალში გახსნილი ნიგოზი. ერთხელ წამოდუღების შემდეგ, გადმოვდგათ ცეცხლიდან და შევურიოთ კვერცხის გული, კარგად ავურიოთ, რომ არ აიჭრას.

სუფრაზე მივიტანოთ დანგრით, ზევიდან მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი კამა და ოხრახუში.

**მასალა:** ვარია, კარაქი – 100 გრამი, ხახვი – 3-4 თავი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ტყემალი – 1 ჩაის ჭიქა, კვერცხის გული – 2 ცალი, ხმელი სუნელი – 1 ჩაის კოვზი, მწვანილი – 3-3 ძირი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

### ბოსტნეული

#### მთელ-მთელი ბადრიჯანი ნიგვზით და მმრით

ბადრიჯანს მოვაჭრათ უუწები, დანით გავსეროთ სიგრძეზე ისე, რომ ერთმანეთს არ მოშორდეს, ჩავაროთ ქვაბში, დავასხათ მდუღარე წყალი და მოვხარშელოთ. შემდეგ ამოვიდოთ, დავადაგოთ ლანგარზე, ზევიდან დავადოთ სიმძიმე, რომ ბადრიჯანი კარგად გაიწუროს.

ნიგოზი დავნაყოთ ნიორთან და ყვითელ ყვავილოთან ერთად. ზეთი გამოვხადოთ, ცალკე ჭურჭელში ჩავასხათ და შევინახოთ. დანაყილ ნიგოზში ავურიოთ – მარილი, ძმარი, წმინდად დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, რეკანი, ქინძი, ნიახური, წიწაკა.

ავიდოთ სათოთაოდ ბადრიჯანი, გაჭრილი სივრცე ამოვაგსოთ მომზადებული ნიგვზიანი მასალით, ამოვაგლოთ ამავე მასალაში და ლა-

მაზად დაგალაგოთ ოეფშე ან ლანგარზე. ზემოდან მოვასხათ ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი და სუფრაზე ისე მივიტანოთ. ძმრის მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ ბროჭულის წვენი. ასევე შეიძლება მცირე რაოდგნობით მივუმატოთ მიხაქ-დარიჩინი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1,5-2 ჩაის ჭიქა, ხახვი – 3-4 თავი, ოხრახუში, ნიახური, რქანი, ქინდი – 3-3 ძირი, ძმარი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

### შემწვარი ბადრიჯანი ნიგვზის წვენით

ბადრიჯანი დავჭრათ მოგრძო თხელ ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და ცოტა ხნით შემდეგ გაგწუროთ. დავაწყოთ ზეთმოსხმულ ცხელ ტაფაზე და შევწვათ.

მოვამზადოთ ნიგვზიანი წვენი: წმინდად დავნაყოთ ნიგოზი, ნიორი, ყვითელი ყვავილი, სუნელი, გამოვწუროთ ზეთი; წვრილად დავჭრათ ხახვი, რქანი, ქონდარი, ოხრახუში, ქინდი, ნიახური, ომბალო, კამა. კველაფერი ეს გავხსნათ ძმარში, რომელშიც არეული იქნება 5-6 სუფრის კოგზი ადუღებული, ცივი წყალი. ამ წვენში ჩავაწყოთ შემწვარი ბადრიჯანი. ასეთი წესით გაეთებული ბადრიჯნის სუფრაზე მიტანა უკეთესია მომზადებიდან 3-4 საათის შემდეგ.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ზეთი – 3-4 სუფრის კოვზი, ნიგოზი – 1,5-2 ჩაის ჭიქა, ხახვი – 1-2 თავი, მწვანილი – 3-3 ძირი, ძმარი – 3-4 სუფრის კოვზი, მარილი, ნიორი, წიწაკა – გემოვნებით.

### ბადრიჯნის საცივი

გრძლად დაჭრილი პატარა ზომის ბადრიჯნები მოვხარშოთ და გაგწუროთ ზემოთ აღწერილი წესით. წვრილად დავჭრათ ხახვი, მოვხრაკოთ ზეთში. ხახვი რომ შეწილდება, დავასხათ 2 ჩაის ჭიქა წყალი და წამოვადულოთ. ხავუმატოთ დანაყილი ნიგოზი ხმელ სუნელთან, მარილთან, ნიორთან და წიწაკასთან ერთად; დავამატოთ მიხაქ-დარიჩინი, დავინის ძმარი და ადუღებული, ცოტა ცივი წყალი. წვენში ჩავაწყოთ ბადრიჯნები.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ზეთი – 50 გრამი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ხმელი სუნელი – 2 ჩაის კოვზი, ძმარი – 0,5 ჩაის ჭიქა, ყვითელი ყვავილი – 1 ჩაის კოვზი, მიხაქ-დარიჩინი – 1 ჩაის კოვზი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

### ბადრიჯანი ცხვრის ღუმით – შამფურზე

წვრილად დაჭრილ ღუმას და დარჩეულ ნიორს მოვაყაროთ მარილი და ჩავდოთ ოდნავ ჩაჭრილ ბადრიჯანში, ავაგოთ შამფურზე და შეეწვათ. როდესაც ბადრიჯანი მზად იქნება, დავაწყოთ დიდ ოეფშე ან ლანგარზე, მოვყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი – მწვანილი და მოვასხათ ძმარი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ცხვრის ღუმა – 200 გრამი, ნიორი – 3-4 კბილი, ხახვი – 2 თავი, ოხრახუში – 1 კონა, მარილი და ძმარი – გემოვნებით.

### ბადრიჯანი და პამიდორი შამფურზე

შევარჩიოთ საშუალო ზომის ბაჭრიჯანი და პამიდორი (პამიდორი მწიფე და მაგარი უნდა იყოს). ბადრიჯნები ჩავჭრათ სიგრძეზე და შიგ მოვათავსოთ დაჭრილი ღუმა, ნიორი, მწვანილი, ხახვი, მარილი. ასე დამზადებული ბადრიჯნები და მოველი პამიდორები ავაგოთ შამფურზე და შევწვათ ცეცხლზე ან მაყალზე. როდესაც კერძი მზად იქნება, დავაწყოთ დიდ ოეფშე, ზედ მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ქინდი, ოხრახუში და მოვასხათ ცოტა ძმარი.

### აჯაფსხანდალი

ბადრიჯანი დავჭრათ მრგვალ ნაჭრებად და მოვაყაროთ მარილი. ასე გაგარჩეროთ სამი-ოთხი საათი. ზეთში მოვხრაკოთ წვრილად დაჭრილი ხახვი, დავაყაროთ მარილმოყრილი და კარგად გაგწურული ბადრიჯანი. როცა მოშუშება, დავასხათ გაფცევნილი, დაჭრილი პამიდორი. დავამატოთ წვრილად დაჭრილი კარტოფილი, წიწაკა, რქანი, ქონდარი, ქინდი, ოხრახუში, ნიორი, გადუღოთ კარტოფილის მოხარშვამდე და გადმოვგდგათ ცეცხლიდან.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, პამიდორი – 500-600 გრამი, კარტოფილი – 500 გრამი, ხახვი – 2-3 თავი, ზეთი – 4-5 სუფრის კოვზი, მწვანილი – 5-5 ძირი, ნიორი – 2 კბილი, მწვანე წიწაკა, მარილი – 8-გმოვნებით.

### ბადრიჯანი ყველით და მაწენით

მომცრო ბადრიჯნებს მოვაჭრათ ბოლოები, გავრცხოთ, ზევითა მხრიდან მჭრელი დანით გამოვაცალოთ ოესლი, დავაწყოთ თუნექის ფურცელზე და შევდგათ ღუმელში. როცა ბადრიჯანი ხახვერად შეიწება, გამოვილოთ.

მოვხარშოთ კვერცხი, წვრილად დავჭრათ და ავურიოთ დაფხვნილ ყველში და ერბოში, შეეურიოთ წვრილად დაჭრილი პიტნა. ამ მასალით გამოვტენოთ ხახვერად შემწვარი ბადრიჯანი, დავაწყოთ ერბოწამულ ტაფაზე და შევდგათ ღუმელში. როცა მზად იქნება, ზემოდან მოვასხათ არაუანი ან სქელი მაწონი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, ყველი – 200 გრამი, კვერცხი – 2 ცალი, ერბო – 100 გრამი, პიტნა – 3-4 ძირი, არაუანი (ან მაწონი) – 300 გრამი, მარილი – გემოვნებით.

### ბადრიჯნის ბორანი

ბადრიჯანი გავთაღოთ, დავჭრათ სიგრძეზე თხელ ნაჭრებად, დავაყაროთ მარილი, გავაჩეროთ 1 საათი, მერე კარგად გაგწუროთ, რომ წყალი არ შეჰვეს. ტაფაზე დავასხათ ერბო, ჩავდოთ შიგ გაგწურული ბადრიჯანი, დაჭრილი ხახვი და კარგად მოვშეშიოთ. შემდეგ ავურიოთ შიგ დაჭრილი პიტნა, ქინდი, ოხრახუში, რქანი. ასე მომზადებული ბადრიჯანი გადავიღოთ ერთ წყებად ლანგარზე, ზედ დავაწყოთ ნაჭრებად დაჭრილი

**წიწილის ტაბაკა, ხემოდან ისევ ბადრიჯანი, მოვასხათ არაუანი ან სქელი მაწონი და მოვაყაროთ დაბაყილი შაქრიანი დარიჩინი.**

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ერბო – 200 გრამი, ხახვი – 4-5 თავი, წიწილი – ერთი, მწვანილი – 3-3 ძირი, არაუანი ან მაწონი – 300-400 გრამი, მარილი, დარიჩინი – გემოვნებით.

### **შემწვარი ბადრიჯანი პამიღვრის საწებლით**

ბადრიჯანი გავრუცხოთ, გავთუოქოთ, თხელ ნაჭრებად დაგჭრათ, მოვაყაროთ მარილი და ცხიმიან, ცხელ ტაფაზე შევწვათ ორივე მხრიდან. ხახვი წვრილად დაგჭრათ და ცხიმში მოვწუშოთ; მერე მოვაყაროთ პურის ფევილი და გავაგრძელოთ შუშვა. დაგასხათ გაფცენილი, გახეხილი და საცერზე გატარებული პამიღორი და ვსარშოთ 15-20 წუთი. დაგუმატო წიწაკა, მარილი, დანაყილი ნიორი. ვადუდოთ კიდევ 5-10 წუთი; გადმოვდგათ ცეცხლიდან და ჩავამატოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (რეპანი, ქონდარი, ქინძი, ოხრახუში, ნიახური).

შემწვარი ბადრიჯანი შესაფერ ჭურჭელზე მოვათავსოთ და დაგასხათ ზედ გამზადებული საწებელი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, ხახვი – 2-3 თავი, პამიღორი – 500-600 გრამი, პურის ფევილი – 1 სუფრის კოვზი, ცხიმი – 3-4 სუფრის კოვზი, ნიორი – 2-3 კბილი, მწვანილი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **ბადრიჯნის ხიზილალა ბროწეულით**

ბროწეულიდან გამოვწუროთ წვენი, დავუმატოთ დანაყილი ნიორი, ქინძი, მარილი და ავურიოთ. ბადრიჯანი გავრუცხოთ და მოექლ-მოელი კანიანად შევწვათ. შემდეგ მოვაცილოთ კანი, კარგად დაგვეპოთ, დავუმატოთ ძალიან წვრილად დაჭრილი წიწაკა, გამზადებული ბროწეულის წვენი და ავურიოთ. მერე მოვათავსოთ ოფშებ, შევალამაზოთ, მოვაყაროთ ძალიან წვრილად დაკეპილი ხახვი და ბროწეულის მარცვლები.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, ხახვი – 2-3 თავი, ბროწეული – 2-3 ცალი, ნიორი – 2-3 კბილი, ქინძი – 4-5 ძირი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **შემწვარი ბადრიჯნის ხიზილალა**

მოელ-მოელი ბადრიჯანი შევწვათ ნაკვერჩხალზე ან ღუმელში. მოვაცილოთ კანი, დარჩენილი რბილი ნაწილი დავკეპოთ კარგად; დავუმატოთ დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, რეპანი, წიწაკა ან პილპილი, მარილი, ავურიოთ, მოვათავსოთ ოფშებ, ზემოდან მოვაყაროთ წმინდად დაჭრილი ქინძი, მოვასხათ მცენარეული ზეთი ან ძმარი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, ხახვი – 2-3 თავი, ოხრახუში, რეპანი – 3-3 ძირი, ზეთი – 3-4 სუფრის კოვზი, ძმარი – 1 სუფრის კოვზი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

### **ბადრიჯანი გვერცხით**

ბადრიჯანი გავუცებნათ და წვრილად დაგჭრათ. მოვაყაროთ მარილი, სუფრის ტილო დავაყაროთ და 1 საათი გავაჩეროთ. გავწუროთ ხელით კარგად, რომ სიმწარე მოსცილდეს. მოვათავსოთ ღრმა ტაფაში, დავუმატოთ კარაქი, მარილი, ავურიოთ და კარგად მოვშეშოთ, სანაც მზად არ იქნება. ამის შემდეგ დაგასხათ გაოქვეყნილი მოლიანი კვერცხები, ავურიოთ და ორცა კვერცხი მზად იქნება, ცეცხლიდან გადმოვდგათ.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, კარაქი – 100 გრამი, კვერცხი – 3 ცალი.

### **ზეთში შემწვარი ბადრიჯანი ნიჟრით**

ბადრიჯანი სიგრძეზე თხლად დაგჭრათ, დავაყაროთ მარილი, დავაყაროთ ტილო და გავაჩეროთ 1 საათი, მერე ხელით გავწუროთ კარგად, მხელოდ ისე, რომ არ დაიკულიტოს. ტაფაზე დაგასხათ ზეთი, გავაცხლოთ და შიგ ჩავალაგოთ ბადრიჯანში. შევწვათ ორივე მხრიდან. ხახვი წვრილად დაგჭრათ, ავურიოთ შემწვარ ბადრიჯანში. მოვათავსოთ ოეფშე ან ლანგარზე და ზემოდან დაგასხათ მმარში გახსნილი ნიორი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, ზეთი – 1/3 ჩაის ჭიქა, ხახვი – 3-4 თავი, ძმარი, ნიორი, მარილი – გემოვნებით.

### **ზეთში მოხრაკული ბადრიჯანი ხახვით**

ბადრიჯანი გავრუცხოთ, გავთალოთ, დაგჭრათ სიგრძეზე წვრილ ნაჭრებად, დავაყაროთ მარილი, დავაყაროთ ტილო და გავაჩეროთ 1 საათამდე. გავწუროთ ხელით, რომ სიმწარე გაუკიდეს.

ხახვი წვრილად დაგჭრათ და ზეთში მოგხრაკოთ. დაგუმატოთ გაწურული ბადრიჯანი და ერთად მოვშეშოთ. ორცა თოჯქმის მზად იქნება, დაგასხათ მმარი და გავაგრძელოთ მოშეშვა. ზეთი თუ დააკლდება, დავამატოთ.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ხახვი – 4-5 თავი, ზეთი – 0,5 ჩაის ჭიქა, ძმარი – 1 სუფრის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

### **ბადრიჯანი შემწვარი ღუმით**

მოელ-მოელი ბადრიჯანი შევწვათ, მოვაცილოთ კანი და დავკეპოთ. ცხვრის ღუმა ძალიან ქვრილად დაგჭრათ. დავუმატოთ მარილი, ავურიოთ, მოვათავსოთ ტაფაზე და შევწვათ ისე, რომ კარგად შეწითლდეს. დავუმატოთ გამზადებული ბადრიჯანი და მოვშეშოთ. მოვაყაროთ ძალიან წვრილად დაჭრილი წიწაკა და გადმოვდგათ ცეცხლიდან.

**მასალა:** ბადრიჯანი – 500 გრამი, ღუმა – 200-500 გრამი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **ბადრიჯანი ნიგზის სატენით**

ბადრიჯანი ჩაგჭრათ სამი-ოთხი სანტიმეტრის სიგრძეზე. როდინში დაგნაყოთ ნიგზის, ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი. დამზადებული მასალით

ამოვაგსოთ თითოეული ბადრიჯნის ჩატრილი სივრცე, დაგაწყოთ გაცხელებულ ცხიმიან ტაფაზე, სახურავი დაგახუროთ და შევწვათ ყოველი მხრიდან. დავაღაროთ ლანგარზე და ზევიდან მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ცხიმი – 100 გრამი, ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **ბადრიჯანი ტკბილი წიწაკით**

ბადრიჯანი გავჭრათ სიგრძეზე ისე, რომ ერთმანეთს არ დავაშოროთ; ჩაის კოგზით გამოვაცალოთ თესლი.

ტკბილი წიწაკა წვრილად დაგჭრათ, ავურიოთ შიგ მარილი, დაჭრილი მწვანილი (ქონდარი, ოხრახუში, რეპანი, ნიახური, ქინძი), გრევთვე წვრილად დაჭრილი მწარე წიწაკა, ნიორი და ხახვა. მწიფე, მაგარ პამიღორს კანი თხლად მოვაცილოთ, წვრილად დაგჭრათ და ავურიოთ მომზადებულ მასალაში. მიღებული მასალით ამოვაგსოთ თითოეული ბადრიჯანი, ხავაწყოთ ქვაბში, დავასხათ მცენარეული ზეთი, დავდგათ ნელ ცეცხლზე და კშეუშოთ, სანამ ბადრიჯანი მზად არ იქნება.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ტკბილი წიწაკა – 6 ცალი, ხახვა – 2-3 თავი, პამიღორი – 700-800 გრამი, მცენარეული ზეთი – 1 ჩაის ჭიქა, მწვანილი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **შემწვარი ბადრიჯანი ნიგვზით, გურულად**

უფესლო, ქორფა ბადრიჯანი კუნძიანად შევწვათ აირდუმელში. შემდეგ დაგჭრათ 1 სანტიმეტრი სისქის მრგვალ ნაჭრებად, მოვათავსოთ ღრმა, ფართო ჭურჭელში და შევაზავოთ შემდეგნაირად: კარგად დაგნაჭოთ ნიგოზი, პილპილი, ნიორი, ქინძი, ომბალო; წვრილად დაგჭრათ კამა, ოხრახუში, ავურიოთ ერთმანეთში, მოვაყაროთ მარილი, მოვასხათ მმარი. ყველაფერი ეს შემწვარ ბადრიჯანში კარგად ავურიოთ, მოვათავსოთ ლანგარზე, ზევიდან მოვაყაროთ წმინდად დაჭრილი ოხრახუში და კამა.

**მასალა:** ბადრიჯანი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1,5 ჩაის ჭიქა, ხახვა – 2-3 თავი, ნიორი – 2-3 ქბილი, მწვანილი – 4-4 მირი, მმარი – 2 სუფრის კოგზი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### **გამხმარი ბადრიჯნის მოხრაგვა**

გამხმარი ბადრიჯანი კარგად გავრეცხოთ, წინა დამით ცხელ წყალში დავადაბოთ. მეორე დღეს ხელით გავწუროთ, ხავაროთ ქვაბში, დავასხათ წყალი და მოვხარშოთ. წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშეუშოთ ზეთში, დავაყაროთ მოხარშელი ბადრიჯანი, დავასხათ კიდევ ზეთი და კარგად მოვხრა-კოთ. შეიძლება დავუმატოთ ცოტა მმარი და კიდევ მოვშეუშოთ.

### **გარტოფილი ნიგვზით**

კარტოფილი კანიანად მოვხარშოთ, მერე გავუცექნათ და ოთხუთხედად დაგჭრათ. დავნაყოთ ერთად ნიგოზი, ნიორი, მარილი, წიწაკა,

ქინძი, გაგხსნათ მმარში, ავურიოთ შიგ დაკეპილი ხახვი და მოხარშეული, ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი. ლამაზად დავდოთ თეფშეე, მოვაყაროთ წვრილად დაგჭრილი ოხრახუში, კამა და ისე მივიტანოთ სუფრაზე.

**მასალა:** კარტოფილი – 1 კილოგრამი, ხახვა – 2 თავი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ნიორი – 2 ქბილი, ოხრახუში, კამა – 3-3 მირი, მმარი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### **გარტოფილის გაურმა**

ხახვი დაგვეპოთ, ხავაროთ ქვაბში, და ერბოში ხავთუთქოთ. როცა ხახვი საგმაოდ დარბილდება (არ უნდა გაწითლდეს), ხავუმატოთ დაჭრილი კარტოფილი და დავასხათ იმდენი წყალი, რომ შიგთავსი დაიფაროს და მოვხარშოთ. ხარშვის დროს დაგუმატოთ ძალიან წმინდად დაკეპილი ქინძი და მარილი. შემდეგ დავასხათ კარგად გაოჭევილი კვერცხი და წამოდუღებისთანავე გადმოვდგათ ცეცხლიდან.

**მასალა:** კარტოფილი – 1 კილოგრამი, ხახვა – 5-6 თავი, კვერცხი – 3-4 ცალი, ქინძი – 4-5 მირი, ერბო – 4 სუფრის კოგზი, მარილი – გემოვნებით.

### **ისპანახი ერბო-კვერცხით**

ისპანახი დავარჩიოთ გავრეცხოთ, მოვათავსოთ ქვაბში და მოვხარშოთ. გადავწუროთ საწურზე, გავაცივოთ და ხელით გავწუროთ. ხახვი წვრილად დაგჭრათ და მოვხრაკოთ ერბოში, დაგუმატოთ მოხარშეული, გაწურული ისპანახი, დავამატოთ კიდევ ერბო და ერთად მოვხრაკოთ. ხავუმატოთ ქინძი, ოხრახუში, კამა, მარილი, პილპილი.

გავთქიფოთ 2 კვერცხი, ავურიოთ მეშეული ისპანახში, კიდევ გავთქიფოთ 2 კვერცხი და ისპანახს ზევიდან მოვასხათ, დაგურით ხეფი და გშეუშოთ, სანამ კვერცხი მზად არ იქნება.

**მასალა:** ისპანახი – 1 კილოგრამი, ხახვა – 3-4 თავი, ერბო – 4 სუფრის კოგზი, კვერცხი – 4 ცალი, მწვანილი – 4-4 მირი, მმარილი, პილპილი – გემოვნებით.

### **წითელი პამიდორი ნიგვზით, იმერულად**

ახალი, საღი პამიდორები გავრეცხოთ ცივ წყალში. დაგჭრათ თითოეული ექვს ან რვა ნაწილად და მოვათავსოთ შესაფერის ღრმა ჭურჭელში, ხავამატოთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, ნიორი, მწვანე წიწაკა, ქინძი, კამა, ოხრახუში და წმინდად დანაყილი ნიგოზი. ყველაფერი ეს შევაზავოთ მარილით და კარგად ავურიოთ ერთმანეთში. შეიძლება დავამატოთ ცოტა მმარი. სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ წვრილად დაკეპილი კამა.

**მასალა:** პამიდორი – 500 გრამი, ნიგოზი – 3/4 ჩაის ჭიქა, მმარი – 1-2 სუფრის კოგზი, ნიორი – 1-2 ქბილი, წიწაკა, მმარილი – გემოვნებით.

### **მწვანე პამიდორი ნიგვზით**

სიმწიფეში შესული საღი, მწვანე პამიდორები დაგჭრათ როგორც ზემოთ არის აღნიშნული. მოვაშოროთ თესლი, წყვნი და გავთუთქოთ

მდუღარე წყალში. სამი წეთის შემდეგ გავწუროთ ისე, რომ წყალი არ შეჰქვეს. მოვათავსოთ თიხის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. დაგუმატო დვინის ძმარში გახსნილი წმინდად დანაყილი ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, კამა, ოხრახუში, ქინი, ომბალო. მივუმატო წვრილად დაკეპილი ხახვი და ყველაფერი ეს ავურიოთ ერთმანეთში. პამიდორი გადავიტანოთ თევზე და სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ წმინდად დაკეპილი ოხრახუში ან კამა.

**მასალა:** მწვანე პამიდორი – 500 გრამი, ნიგოზი – 3/4 ჩაის ჭიქა, ხახვი – 1-2 თავი, ნიორი – 1-2 კბილი, მწვანილი – 4-4 ძირი, მმარი, პილანილი, მარილი – გემოვნებით.

### ახალი თეთრი სოკო ნიგვზით

ახალი, თეთრი სოკო გავარჩიოთ, გავრცელოთ ცივ წყალში, მოვაკაროთ მარილი, დავალაგოთ ტაფაზე და შევდებათ აირლუმელში შესაწვად. როდესაც საკმარისად შეიწვება, ისე რომ სოკო იღნავ შეწიოლდება, გამოვიდოთ, დავჭრათ პატარა ნაჭრებად და მოვათავსოთ დრმა, ფაროთ ჭურჭელში. შემდეგ დავვაყაროთ წმინდად დაკეპილი ხახვი ან მწვანე ხახვი, ქინი, კამა, ოხრახუში და წმინდად დანაყილი ნიგოზი. დაგასხათ სოკოს შეწვის დროს მიღებული წვენი – არეული დვინის ძმარში. დავუმატოთ ცოტა შავი პილპილი, კარგად ავურიოთ და მოვათავსოთ თევზე. ზემოდან მოვაყაროთ წმინდად დაკეპილი ოხრახუში ან კამა.

**მასალა:** სოკო – 500 გრამი, ნიგოზი – 3/4 ჩაის ჭიქა, ხახვი (ან მწვანე ხახვი) – 1-2 თავი (5-6 ძირი), მწვანილი – 4-4 ძირი, მმარი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### ახალი თეთრი სოკო კვერცხით

ქორფა თეთრი სოკო გავარჩიოთ სუფთად, მოვაჭრათ ძირები, თითოეული დაგჭრათ, მოვწუშოთ ძლიერ ცეცხლზე, კარაქში. ჩავამატოთ ცალკე კარაქში მოშუშელი წვრილად დაჭრილი ხახვი, შევაზავოთ დაკეპილი ახალი ქინი, კამით, ოხრახუშით, შავი პილპილით, მარილით. როცა მზად იქნება, ზემოდან გადავასხათ გათქვეფილი კვერცხი და გადმოვდგათ ცეცხლიდან.

**მასალა:** სოკო – 500 გრამი, კარაქი – 50 გრამი, კვერცხი – 2 ცალი, ხახვი – 2-3 თავი, მწვანილი – 3-3 ძირი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

### ახალი კარტოფილი კვერცხით

ახალი კარტოფილი გავრცელოთ და დავდგათ მოსახარშად. როცა მოიხარშება, გადავწუროთ, გავყცებნათ, დავჭრათ წვრილად და მოვხრავთ წვრილად დაჭრილ, კარაქში მოშუშელ ხახვოან ერთად. მოვაყაროთ შავი პილპილი, შევაზავოთ დაკეპილი ახალი კამით, ოხრახუშით, ტარხუნით. ამის შემდეგ მოვათავსოთ ტაფაზე, ზემოდან გადავასხათ რძესთან ერთად კარგად გათქვეფილი კვერცხი და შევდგათ აირდუმელ-

ში გამოსაცხობად. როდესაც მზად იქნება, ზემოდან გადავასხათ გამდნარი კარაქი და მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ახალი კამა.

**მასალა:** კარტოფილი – 500 გრამი, ხახვი – 1-2 თავი, კარაქი – 50 გრამი, კვერცხი – 3 ცალი, რძე – 50 გრამი, მწვანილი – 4-4 ძირი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### ყვავილოვანი კომბოსტო კვერცხით

ყვავილოვანი კომბოსტოს მოვაცილოთ მწვანე ფოთლები, მოვაჭრათ ბოლოები, შემდეგ დავშალოთ პატარ-პატარა ნაწილებად, გავრცელოთ ცივ წყალში და მოვხარშოთ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში. ამოვალაგოთ საცერზე, რომ დაიწრიტოს. კარაქში მოვშუშოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და კომბოსტოს მოვასხათ. ჩავუმატოთ წმინდად დაკეპილი ახალი ქინი, კამა, ოხრახუში, შევანელოთ დაფქული შავი პილპილით და ყვითელი ყვავილით. ავურიოთ ერთმანეთში ისე, რომ კომბოსტო არ დაიმტვრებს. შემდეგ დავხერცოთ თავსახური და კიდევ მოვშუშოთ თრთქლში. როცა მზად იქნება, გადავიტანოთ დრმა ტაფაში, მოვასხათ რძეში გათქვეფილი კვერცხი და გამდნარი კარაქი, შევდგათ აირდუმელში. როცა კვერცხი შეიწვება, გამოვიდოთ დუმელიდან და სუფრაზე ცხელცხელი მივიტანოთ.

**მასალა:** ყვავილოვანი კომბოსტო – 1 კილოგრამი, კარაქი – 100 გრამი, ხახვი – 2-3 თავი, მწვანილი – 4-4 ძირი, კვერცხი – 3 ცალი, რძე – 100 გრამი, ყვითელი ყვავილი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

### ფხალეული

#### პრასი ნიგვზით

ქაბაში ავადულოთ წყალი, ჩავყაროთ შიგ გარჩეული, კარგად გარეცხილი პრასი და მოვხარშოთ, მერე გადავწუროთ, გავაცილოთ და ხელით კარგად გაწვრთოთ.

დაგნავოთ ნიგოზი, ნიორი, მარილი, წიწაკა, ყვითელი ყვავილი, სუნელი, ქინი. გამოვხადობ ზეთი და ცალკე ჭურჭელში ჩავასხათ. დანაყილი მასალა გავხსნათ ძმარში (შეიძლება ცოტა წყალი დავუმატოთ, რომ ნიგბის მასა სქელი არაუნის სისქის იყოს) და შიგ სათითად ამოვავლოთ პრასი, შემდეგ კი დავახვიოთ კონად და ჩიტის ბუდის ფორმა მივცეთ. დავაწყოთ თევზე, ბუდეში ჩავაწყოთ ბროწეულის მარცვლები და მოვასხათ გამოხდილი ზეთი.

**მასალა:** პრასი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ნიორი – 2-3 კბილი, ბროწეული – 1 ცალი, სუნელი, ყვითელი ყვავილი, ქინი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

#### ჭარხლის ფოთლის ფხალი

გარჩეული, გარეცხილი ჭარხლის ფოთლილი ქვაბში ჩავყაროთ, დაგასხათ ცოტა ადუღებული წყალი, ქვაბს სახურავი დაგახუროთ, დავდ-

გათ ცეცხლზე და მოვხარშოთ. როცა მოიხარშება და შეგრილდება, კარგად გავწუროთ. დავნაყოთ ნიგოზი, წიწაკა, ნიორი, ქინძის თესლი, სუნელი, მარილი, გაეხსნათ მმარში, რომელსაც დამატებული ექნება ჭარხლის ფოთლის წვენი. დავაყაროთ წვრილად დაკეპილი ხახვი, ოხრახუში, ქინძი, კამა, ნიახური. აღნიშნული მასალა მოვასხაოთ გაწურულ და დაკეპილ ჭარხლის ფოთოლს, ხელით კარგად ავურიოთ და შესაფერი ჭურჭლით მივიტანოთ სუფრაზე.

თუ ჭარხლის ფოთოლს ნორჩი ძირები აქვს, შეგვიძლია ფოთოლთან ერთად ისიც მოვხარშოთ.

**მასალა:** ჭარხლის ფოთოლი (ძირებთან ერთად) – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ხახვი – 2-3 თავი, მწვანილი – 3-3 ძირი, მმარი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ეკალა ნიგვზით

ეკალა გავარჩიოთ, გავრეცხოთ, ჩავყაროთ ადუდებულწყლიან ქვა-აბში, მოვხარშოთ, გადავიტანოთ საწურზე. დავასხაოთ ზედ ცივი წყალი ისე, რომ მას კარგად ფარავდეს. გავაჩეროთ 40 წუთი. ხელით გავწუროთ. დანაყილი ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, წვრილად დაჭრილი ქინძი, ომბალო, მმარი, მარილი ავურიოთ მოხარშულ ეკალაში, დავდოთ თევზებე და მოვაყაროთ დაჭრილი კამა.

**მასალა:** ეკალა – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1,5 ჩაის ჭიქა, ნიორი – 2-3 კბილი, მწვანილი – 3-4 ძირი, მმარილი, წიწაკა, მმარი – გემოვნებით.

### ჭინჭარი ნიგვზით

გადარჩეული, გარეცხილი ჭინჭარი მოვხარშოთ, გადავიტანოთ თუშვალანგზე, რომ წყლიდან დაიწრიტოს. ნიგოზი და მარილი კარგად დაგვაყოთ, დაგუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ავურიოთ მოხარშულ ჭინჭარში.

### ბალბა ნიგვზით

ბალბა გავარჩიოთ, გავრეცხოთ და მოვხარშოთ. ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, ქინძი კარგად დავნაყოთ. გავხსნათ ბალბის წვენში და ავურიოთ შიგ დაკეპილი ბალბა.

**მასალა:** ბალბა – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ნიორი – 1-2 კბილი, ქინძი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

### ტკბილი წიწაკა ნიგვზით

მწვანე, ტკბილი წიწაკა ხავყაროთ მდუღარებულიან ქვაბში და მოვხარშოთ. როცა შეგრილდება, წიწაკა გავწუროთ. წმინდად დაგვაყოთ ნიგოზი, სუნელი, ხაფრანა, მარილი, გავხსნათ მმარში, დავამატოთ წვრილად დაკეპილი ხახვი, ქინძი, ოხრახუში. ამ მასალაში ავურიოთ გაწურული, მოხარშული წიწაკა. მოვათვესოთ თევზებე, ზემოდან მოვაყაროთ დაჭრილი ოხრახუში და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

### შეავილოვანი კომბოსტოს ფხალი

შეავილოვანი კომბოსტო დავარჩიოთ, გავრეცხოთ, ჩავდოთ მდუღარე მარილი წყლით და მოვხარშოთ, გადავწუროთ და გავაცივოთ.

დავნაყოთ ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, ზაფრანა, მარილი. ნიგოზიდან გამოვხადოთ ზეთი და ცალკე შევინახოთ. ნიგოზიანი მასალა გაეხსნათ მმარში, დავამატოთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და ავურიოთ მოხარშულ კომბოსტოში; მოვათვესოთ თევზებე, ზევიდან მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და დარჩეული ბროწევლი.

**მასალა:** შეავილოვანი კომბოსტო – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 1,5 ჩაის ჭიქა,

ნიორი – 2-3 კბილი, მწვანილი – 3-3 ძირი, წიწაკა, მარილი, მმარი, ზაფრანა – გემოვნებით.

### ჭარხლი ნიგვზით

ჭარხლი კანიანად გავრეცხოთ, შევწვათ ან მოვხარშოთ. გავაცალოთ კანი და დაგჭრათ წვრილ ნაჭრებად. ნიგოზი, მარილი, ნიორი, წიწაკა ერთად დავნაყოთ, გავხსნათ მმარში, ავურიოთ შიგ დანაყილი ქინძი და მოხარშული ჭარხლი. გადავიტანოთ თევზებე, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

**მასალა:** ჭარხლი – 1 კილოგრამი, ნიგოზი – 2 ჩაის ჭიქა, ნიორი – 2 კბილი, მწვანილი – 3-3 ძირი, მმარი, წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

## სალათები, საზეპლი

### კომბოსტოს სალათა

კომბოსტო წვრილად დაგჭრათ და ხახვთან ერთად მოვშეშოთ ცხიმში. როდესაც კარგად მოიშუშება, დავასხაოთ არაჟანი, მოვაყაროთ მარილი. მაგიდაზე მიტანისას ავურიოთ ორი მაგრად მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი, მოვაყაროთ ქინძი და კამა.

**მასალა:** კომბოსტო – 1 კილოგრამი, ცხიმი – 150 გრამი, ხახვი – 100 გრამი, არაჟანი – 200 გრამი, კვერცხი – 2 ცალი, ქინძი, კამა, მარილი – გემოვნებით.

### კომბოსტოს სალათა ზაფრანით და ხმელი სუნელით

კომბოსტო დაგჭრათ წვრილად, დავაყაროთ ცოტა მარილი, გავახეროთ 3-4 საათი და გავწუროთ. დავამატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ნიახური, ოხრახუში, ქინძი, კამა, ნიორი, ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ზაფრანა (ყვითელი ყვავილი), წიწაკა, მარილი, მმარი, ზეთი. ყველაფერი ეს კარგად ავურიოთ, გაფაჩეროთ ერთი დღე-დღამე, ჩავდოთ ქილებში და დავასხაოთ თავისივე წვენი. ასეთი სალათი შეიძლება შევინახოთ გრილ ადგილას გარებეული დროით და როცა დაგჭირდება, კიმაროთ.

**მასალა:** კომბოსტო – 5 კილოგრამი, ხახვი – 2 კილოგრამი, ნიორი – 200 გრამი, ნიახური – 200 გრამი, ოხრახუში – 200 გრამი, ქინდი – 300 გრამი, კამა – 200 გრამი, ხმელი ქინდი, უცხო სუნელი, ზაფრანა – თოთო ჩაის კონტი, ზეთი – 1,5 ლიტრი, ძმარი – 2 ჩაის ჭიქა, წიწაპა, მარილი – გემოვნებით.

### მწვანე პამიდვრის სალათა

პატარა ზომის მწვანე პამიდვრები დავჭრათ რგოლებად, დავაყაროთ ცოტა მარილი და გავაჩეროთ 3-4 საათი, რათა დაიწუროს ზედმეტი წვენისაგან.

წვრილი, ქართული ხახვი დავჭრათ რგოლებად; ასევე რგოლებად დავჭრათ თესლებაშიცლილი ბულგარული წიწაპა.

ნიახური, ქინდი, კამა, ოხრახუში, რეპანი დავჭრათ წვრილი და მწვანე პამიდორთან ერთად მოვათავსოთ დიდ ჭურჭელში, დავასხათ ზეთი და ძმარში გახსნილი ხმელი ქინდი, უცხო სუნელი, ზაფრანა, შავი წიწაპა, წითელი წიწაპა, ნიორი, მარილი, უველავერი ეს გავაჩეროთ ერთი დღე-დღემე, დროდადრო ფრთხილად ვურიოთ, ჩაგაწყოთ ქილებში და მოვუპრათ თავი. ასეთი სალათი (ისევე როგორც კომბოსტო), შეიძლება შევინახოთ გარკვეული დროით გრილ ადგილას და როცა დაგვჭირდება, გამოვიყენოთ.

**მასალა:** მწვანე პამიდორი – 5 კილოგრამი, ხახვი – 1,5 კილოგრამი, ნიახური – 200 გრამი, ქინდი – 200 გრამი, ოხრახუში – 300 გრამი, რეპანი – 100 გრამი, კამა – 200 გრამი, ბულგარული წიწაპა – 2 კილოგრამი, ნიორი – 100 გრამი, ზეთი – 2 ლიტრი, ძმარი – 2 ჩაის ჭიქა, წითელი, შავი წიწაპა, მარილი – გემოვნებით.

### კიტრისა და პამიდვრის სალათა

სალი, ქორფა კიტრი გაფუცექნათ, დავჭრათ მრგვალ ნაჭრებად, ავიღოთ სასალათე ჭურჭელი და დაჭრილი კიტრი ჭურჭლის ნაპირზე, ირგვლივ შემოვალაგოთ გვირგვინის მსგავსად.

მაგარი, მწიფე წითელი პამიდორიც დავჭრათ მრგვალ ნაჭრებად და კიტრის გვირგვინის შეუალები შემოვალაგოთ ლამაზად. ბულგარული წიწაპა, მწარე წიწაპა, მწვანე ხახვი, ოხრახუში, რეპანი, კამა დავჭრათ წვრილი და მოვაყროთ დაჭრილ სალათს. დავასხათ მზესუმზირის ან ზეთის ზეთი და ცოტა ძმარი, მოვაყროთ მარილი და სუფრაზე ისე მივიტაროთ.

**მასალა:** კიტრი – 0,5 კილოგრამი, პამიდორი – 0,5 კილოგრამი, ბულგარული წიწაპა – 2 ცალი, მწარე წიწაპა – 1 ცალი, მწვანე ხახვი, მწვანილი – 3-3 ძირი, ზეთი – 3 სუფრის კონტი, ძმარი – 1 სუფრის კონტი, მარილი – გემოვნებით.

### ჭარხლის სალათა

წითელი ჭარხლი მოვხარშოთ, გავაცილოთ კანი, დავჭრათ წვრილ თეხატეხედ ნაჭრებად. ხმელი სუნელი, დანაყილი ქინდი, ზაფრანა დავნაყოთ ნიორთან ერთად, გავსხათ მაიონეზი, დავამატოთ შავი პილი.

პილი, წვრილი დაჭრილი მწვანილი – ქინდი, ოხრახუში, კამა, მწვანე ხახვი. შევანელოთ მარილით და ყველაფერი ავტომატური ჭარხლი. გადავიტანოთ სასალათეზე, მოვაყაროთ წვრილი დაჭრილი მწვანილი. ასეთივე სალათი შეიძლება მომზადდეს სტაფილოსგან.

**მასალა:** ჭარხლი – 1 კილოგრამი, მაიონეზი – 1 ქილა, მწვანილი, მწვანე ხახვი – 3-3 ძირი, ხმელი სუნელი, ქინდი, ზაფრანა – თოთო ჩაის კონტი, შავი პილი და გემოვნებით.

### მწვანე სალათა

მწვანე სალათის ფოთლები გავარჩიოთ, გავრეცხოთ და თოთოეული ფოთოლი დავჭრათ 2-3 ნაწილი. დაჭრილი სალათა დავაწყოთ სასალათე ჭურჭელზე, გადავასხათ სანელებელი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 0,5 ჩაის ჭიქა არაჟანს დავამატოთ 2 სუფრის კონტი ძმარი, წვრილი დაჭრილი, მაგრად მოხარშული ერთი კვერცხი, მარილი, პილი, ცოტა შაქრის ფხვნილი, მრგვალი დაჭრილი ნედლი კიტრი და ერთმანეთში კარგად ავურიოთ. ზემოდან მოვაყაროთ დაკეპილი კამა.

**მასალა:** სალათის ფოთლები – 2 პატარა კონა, არაჟანი – 0,5 ჩაის ჭიქა, კვერცხი – 1 ცალი, კიტრი – 1-2 ცალი, ძმარი – 2 სუფრის კონტი, მარილი, პილი, შაქრის ფხვნილი, კამა – გემოვნებით.

### წითელი პამიდვრის საწებელი

პამიდორი გავრეცხოთ და კარგად გავაშროთ. ასევე გადავარჩიოთ ბულგარული და წითელი მწარე წიწაპა, გამოყვაცალი თესლი, გავრეცხოთ და გავაშროთ; ეს უველავერი ნიორთან ერთად გავატაროთ ხერცსაკეპ მანქანაში. დავამატოთ ძმარი და მარილი, კარგად ავურიოთ, გავახეროთ მეორე დღემდე, ჩავასხათ ბოთლებში, მოვუკრათ თავი და შევინახოთ მშრალ, გრილ ადგილას.

**მასალა:** პამიდორი – 5 კილოგრამი, ბულგარული წიწაპა – 1,5 კილოგრამი, ნიორი – 250 გრამი, წითელი მწარე წიწაპა – 200 გრამი, ძმარი – 0,5 ლიტრი, მარილი – გემოვნებით.

### ტყემლის საწებელი

ავიღოთ ორი წილი მწიფე ტყემალი და ერთი წილი ღოღნოში. გადავარჩიოთ, მოვაცილოთ ყუნწები, გავრეცხოთ, დავასხათ საწურზე და მოვხარშოთ. გავაცილოთ, გადავიტანოთ საწურზე და გავხეხოთ. დავამატოთ ხმელი ქინდი, კამა, ომბალო, ნიორი, წიწაპა, მარილი. ვადეულოთ, სანამ მზად არ იქნება. გადმოვდგათ ცეცხლიდან, ჩავასხათ ბოთლებში ან ქილებში, მოვუკრათ თავი და შევინახოთ მშრალ, გრილ ადგილას.

### სალი (მწვანე) ტყემლის საწებელი

ახალი, მწვანე ტყემალი გადავარჩიოთ, ყუნწები მოვაცილოთ, გავრეცხოთ; დავასხათ იმდენი წყალი, რომ ფარავდეს, დავდგათ ცეცხლზე და მოვხარშოთ. როცა მოიხარშება, გადავაწუროთ, წვენი შევინახ-

ოთ. ტყემალი გადავიტანოთ საწურზე, გავხეხოთ. იმ შემთხვევაში, თუ ტყემალი სქელი გამოვიდა, დავამატოთ წვენი (სასურველ სისქემდე). ახალი მწვანილი – ქინძი, ცერეკო, ქამა, ომბალო, ოხრახუში გავატაროთ ხერცსაკეპ მანქანაში. ნიორი, წიწაკა და მარილი დაქნაყოთ სანაყში, ყველაფერი კარგად ავურიოთ. თუ ტყემალი ძალიან მჟავე გამოვიდა, დაგმატოთ 2 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი, ჩავასხათ სატყემლეში და სუფრაზე ისე მივიტანოთ.

### აჯიგა

ცხარე და ტბილი წითელი წიწაკა გავარჩიოთ, თქსლი გამოვაცალოთ და გავრცეხოთ. გაფოთლილი ქინძი, ოხრახუში, რეპანი, ცერეკო, ნიახური, ნიორი, წიწაკასთან ერთად გავატაროთ ხერცსაკეპ მანქანაში. შემდეგ დავამატოთ უცხო სუნელი, ზაფრანა, ხმელი ქინძი, მარილი. კარგად ავურიოთ, ჩავღოთ ქილებში, მოვუკრათ თავი და შევინახოთ.

**მასალა:** ცხარე, წითელი წიწაკა – 500 გრამი, ბულგარული წითელი წიწაკა – 500 გრამი, ოხრახუში – 250 გრამი, ქინძი – 250 გრამი, ცერეკო – 250 გრამი, რეპანი – 150 გრამი, ნიახური – 150 გრამი, ნიორი – 100 გრამი, უცხო სუნელი – 2 სუფრის კოვზი, ზაფრანა – 2 სუფრის კოვზი, ხმელი ქინძი – 2 სუფრის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

### პპერცეისაბან მომზადებული პერში

#### კვერცხი ნიგვზითა და ბროწეულით

კვერცხი კარგად გავოჭიიფოთ, ავურიოთ შიგ დანაყილი ნიგოზი, ერბოში მოშუშეული, წვრილად დაჭრილი ხახვი, მარილი, წიწაკა, ბროწეულის მარცვლები და კოვზით ფრთხილად ავურიოთ ისე, რომ მარცვლები არ დაიჭიდიტოს. მომზადებული მასალა დავდოთ ერბომოსხმულ ცხელ ტაფაზე და შევწათ.

**მასალა:** კვერცხი – 4 ცალი, დანაყილი ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა, ხახვი – 1 თავი, ერბო – 1 სუფრის კოვზი, ბროწეული, მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

#### ერბო-კვერცხი სულგუნით

სულგუნი დაგჭრათ გრძელ და თხელ ნაჭრებად და დავდოთ ერბოდასხმულ გაცხელებულ ტაფაზე, შევწათ ორივე მხარეს შეწითლებამდე და შემდეგ ზემოდან დავასხათ ათქვეყილი კვერცხები.

**მასალა:** კვერცხი – 6-7 ცალი, სულგუნი – 200 გრამი, ერბო – 50 გრამი, მარილი – გემოვნებით.

#### ერბო-კვერცხი ნიგვზით

ორი კვერცხი გავოჭიიფოთ, დავაყაროთ მარილი, დანაყილი ნიგოზი, ავურიოთ და დავასხათ ერბომოსხმულ ტაფაზე. როცა შეიწვება, სუფრაზე მივიტანოთ დაჭრილ ლიმონთან ერთად.

**მასალა:** კვერცხი – 2 ცალი, ნიგოზი – 300 გრამი, ერბო – 1 სუფრის კოვზი, ლიმონი, მარილი – გემოვნებით.

#### მთელ-მთელი მოხარული კვერცხი ნიგვზის საწებლით

კვერცხები მაგრად მოვხარშოთ, მოვაცილოთ ნაჭუჭი, გავჭრათ შეუბნები და დავალაგოთ თევზები. ნიგოზი, მარილი, ნიორი, წიწაკა, ქინძი ერთად დავნაყოთ, გავხესხათ აღუდებულ ცივ წყალში, დავამატოთ ცოტა ძმარი და დაჭრილ კვერცხებს გადავასხათ.

**მასალა:** კვერცხი – 7-8 ცალი, ნიგოზი – 0,5 ჩაის ჭიქა, ნიორი, წიწაკა, ქინძი, მარილი, ძმარი – გემოვნებით.

#### ერბო-კვერცხი მწვანე ლობიოთ

გასუფთავებული, ახალი მწვანე ლობიო დავტეხოთ, მოვხარშოთ მარილწყალში, გადავიდოთ საწურზე, მერე დავყაროთ ერბომოსხულ ტაფაზე, მოვშეუშოთ, დავასხათ ზედ გათქვეყილი კვერცხი და შევწათ.

**მასალა:** მწვანე ლობიო – 300 გრამი, კვერცხი – 6 ცალი, ერბო – 2 სუფრის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

#### ერბო-კვერცხი კომბისტოთ

კომბოსტო, ხახვი, ქინძი, ქამა, ოხრახუში დაგჭრათ ძალიან წვრილად, მოვაყაროთ მარილი, კარგად ავურიოთ და მოვათავსოთ ცხიმიან ტაფაზე; დავახუროთ თავსახური და ნელ ცეცხლზე კარგად მოვშეუშოთ. შემდეგ მოვასხათ ათქვეყილი კვერცხი. კვლავ დავახუროთ თავსახური და გავახეროთ ცეცხლზე, ვიდრე კვერცხი შეიწვება. გადმოდგმის დროს ზემოდან მოვაყაროთ შავი პილატილი და სუფრაზე მიტანის წინ შეიძლება მოვასხათ არაჟანი.

**მასალა:** კომბოსტო – 200 გრამი, კვერცხი – 3 ცალი, ერბო ან ზეთი – 2 სუფრის კოვზი, ხახვი – 1-2 თავი, არაჟანი, მწვანილი, პილატილი, მარილი – გემოვნებით.

#### ერბო-კვერცხი მთელ-მთელი კვერცხებისაგან

ტაფაზე ერბო გავაცხელოთ, სათითაოდ გავტეხოთ კვერცხები და მთელ-მთელი დავახალოთ.

როცა მზად იქნება, მოვაყაროთ მარილი.

#### ყიყლიყოფ

კვერცხი გავოჭიიფოთ მარილთან ერთად, მერე ამოვავლოთ შიგ თხელად დაჭრილი თეორი პური და შევწათ ორივე მხრიდან ერბომოსხმულ ცხელ ტაფაზე.

**მასალა:** კვერცხი – 2 ცალი, პური – საჭირო რაოდენობის, ერბო – 2 სუფრის კოვზი, მარილი – გემოვნებით.

## ერბო-კვერცხი პამიღერით

ხახვი დაჭრათ წვრილად და კარგად მოვშეშოთ ერბოში. პამიღერი გავხეხოთ სახებზე და დავასხაოთ. როცა პამიღერი კარგად ჩაიხარშება და გასქელდება, მარილთან ერთად ჩავახალოთ კარგად გაოქვეყნილი კვერცხები, დავახუროთ თავსახური და შევწვათ. სუფრაზე მოტანის წინ მოვაყაროთ შავი პილპილი.

**მასალა:** კვერცხი – 2-3 ცალი, პამიღერი – 4-5 ცალი, ერბო – 2-3 სუფრის კოფზი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

## საცივი ჩახლილი კვერცხით

ნიგოზი დაგნაყოთ, გამოვხადოთ ზეთი, ჩავასხაოთ ქვაბში, დავუმატოთ წინასწარ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და მოვშეშოთ.

ქინძი, ნიორი, წიწაკა, მარილი ერთად დავნაყოთ, დავუმატოთ დანაყილი მიხაკ-დარიჩინი, ძმარი და დანაყილ ნიგოზში ავურიოთ. მიღებული მასალა გავხეხნაოთ ექვს ხაის ჭიქა ცხელ წეალში, დავასხაოთ მოშეშელ ხახვს და თხეუთმეტი წუთი ვადუღოთ. მერე მდუღარე წვენში სათითაოდ ჩავახალოთ მთლიანი კვერცხები და, როგორც კი კვერცხი მოიხარშება, ქვაბი გადმოვდგათ ცეცხლიდან.

**მასალა:** ნიგოზი – 300 გრამი, ხახვი – 4-5 თავი, წყალი – 6 ხაის ჭიქა, კვერცხი – 5-6 ცალი, ქინძი, ნიორი, წიწაკა, ძმარი, მიხაკ-დარიჩინი, მარილი – გემოვნებით.

## ხახვიანი ერბო-კვერცხი

ხახვი მოვშეშოთ ცხიმში, კარგად ავთქვიფოთ კვერცხი, დავამატოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ოხრახუში, კამა, ქინძი), დავასხაოთ მოშეშელ ხახვს და შევწვათ. გადმოდგმისას მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი იგივე მწვანილი.

**მასალა:** კვერცხი – 2 ცალი, ხახვი – 2 თავი, ერბო – 2 სუფრის კოფზი, მწვანილი, მარილი – გემოვნებით.

## კვერცხი – ნიგზის სატენით

კვერცხები მაგრად მოვხარშოთ, გადავავლოთ ცივი წყალი, რომ კარგად გაიფცევნას. გასუფთავებული კვერცხი გაჭრათ შეაზე (სიგრძეზე), ამოვაცალოთ გულები.

ნიგოზი, წიწაკა, ნიორი, მარილი, სუნელი, ყვითელი ყვავილი კარგად დავნაყოთ, დავამატოთ ძმარი, ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი (ქინძი, კამა, ოხრახუში), კარგად ავურიოთ და ამოვაგსოთ ცილის გულები მომზადებული საკაზმით და ლამაზად დავალაგოთ თევზე. შეიძლება ზემოდან მოვასხაოთ ნიგვზის საწებელა.

**მასალა:** კვერცხი – 10 ცალი, ნიგოზი – 3/4 ხაის ჭიქა, წიწაკა, ნიორი, სუნელი, ყვითელი ყვავილი, მარილი, ძმარი, მწვანილი – გემოვნებით.

## კვერცხი სატენით

მოვხარშოთ კვერცხები, გადავავლოთ ცივი წყალი, გავფცევნათ, გაჭრათ სიგრძეზე და ამოვაცალოთ გულები. გულებში ავურიოთ კარაქი, მარილი, წვრილად დაჭრილი ტარხუნა (ან პიტნა), კარგად ავზილოთ და აღნიშნული მასალით ამოვაგსოთ ცილების შუაგული. ლამაზად დავაწყოთ თევზე და ზემოდან მოვასხაოთ არაჟანი და მაიონეზი.

**მასალა:** კვერცხი – 10 ცალი, კარაქი – 70-80 გრამი, ტარხუნა (პიტნა) – 5-6 ძირი, არაჟანი ან მაიონეზი – 1 ქილი, მარილი – გემოვნებით.

## ერბო-კვერცხი მურაბით

კვერცხის გულები კარგად ავთქვიფოთ; ცალკე ავთქვიფოთ ცილები და ფრონებილად ერთმანეთს შევურიოთ. დიდ ტაფაზე გავადნოთ კარაქი და დავასხაოთ მომზადებული მასალა. როცა ერბოკვერცხი კარგად შეიწვება, გადმოვაბრუნოთ, ოდონდ მეორე მხარეს ბოლომდე ნუ შევწვათ. გადმოვიდოთ შესაფერ ჭურჭელზე, გაჭრათ ორ ნახევარწრევი, ერთს წავუსვათ მურაბა (სასურველია მაყვლის მურაბა), მეორე ნაჭერი კი ზემოდან დავაგარიოთ.

**მასალა:** კვერცხი – 10 ცალი, კარაქი – 1 სუფრის კოფზი, მურაბა – 1 ხაის ჭიქა.

## ზეზილოგანი ნაჭარი

### ლომი

ღომი წარმოადგენს სიმინდის ნაწარმის სქელ ფაფას, რომელსაც არავითარი სანელებლები არ უკეთდება. იხმარება, როგორც პურის ან მჭადის შემცვლელი, მცირეწვიანი ან მშრალ ცხარე შეჭამანდებთან. ღომი შეიძლება გაკეთდეს ღომის მარცვლებისაგან, ღერდილისაგან, ბრინჯისაგან და ცალკე ფენილისაგან.

### ლომის ლომი

ღომის მარცვლები გავარჩიოთ, რამოდენიმეჯერ გავრცელოთ, დავასხაოთ ზედ თბილი წყალი, დავდგათ ცეცხლზე, ადუდებისას მოყენებული ქაფი მოვხადოთ და ვხარშოთ. შემდეგ დაგზილოთ მოგრძო მრგვალი ჯოხით (სელოით), დავახუროთ ქაბის სახურავი და ნელ ცეცხლზე მოვშეშოთ. ღომი როცა წყალს კარგად შეიშროებს და მარცვლები მოხარშელი იქნება, ხელმეორედ დაგზილოთ სელით; დავასველოთ ჩოგანი წყლით და გადავიდოთ თითო-თითო თევზე.

**მასალა:** ღომის მარცვლები – 1 ხაის ჭიქა, წყალი – 3 ხაის ჭიქა.

## სიმინდის ფქვილით შეზელილი დომი

1 ჩაის ჭიქა დომის მარცვალი კარგად გავრეცხოთ, დავასხაოთ 4 ჩაის ჭიქა წყალი, ავადულოთ და ქაფი მოვხადოთ. როცა დომის კაბალი მოიხარშება, ჩავაროთ შიგ გაცრილი სიმინდის ფქვილი ისე, რომ დომი შესქლდეს; სელთით კარგად დავზილოთ, დავახეროთ ქვაბს სახურავი და ნელ ცეცხლზე ვშუშოთ, სანამ ფქვილის სუნი არ მოშორდება.

## დერდილის დომი

1 ჩაის ჭიქა დაღერდილი სიმინდი ჩავეაროთ ქვაბში, დავასხაოთ 4 ჩაის ჭიქა წყალი და გხარშოთ, სანამ კარგად არ მოიხარშება. შემდეგ ჩავეაროთ შიგ ცოტა სიმინდის ფქვილი, დავზილოთ, დავდგათ ნელ ცეცხლზე და ვშუშოთ, სანამ ფქვილის სუნი არ მოშორდება.

## ბრინჯისაგან მომზადებული დომი

1 ჩაის ჭიქა ბრინჯი გავარჩიოთ, კარგად გავრეცხოთ, დავასხაოთ 4-5 ჩაის ჭიქა წყალი, დავდგათ ნელ ცეცხლზე და გხარშოთ, სანამ ბრინჯი კარგად არ ჩაიხარშება. შემდეგ ჩავეაროთ შიგ ცოტა სიმინდის ფქვილი, დავზილოთ და ნელ ცეცხლზე ვშუშოთ, სანამ ფქვილის სუნი არ მოშორდება.

## სიმინდის ფქვილისაგან მომზადებული დომი

ჩავასხაოთ ქვაბში წყალი, ჯერ კიდევ ადუდებამდე ჩავეაროთ სიმინდის ფქვილი იმდენი, რომ წყალმა მიიღოს ფქვილის ფერი. როცა წყალი დაუდება, ქვაბში ჩავაზილოთ სიმინდის ფქვილი და სელთით ვურიოთ სწრაფად. კარგად რომ ჩაიზილება, გშუშოთ დაახლოებით ნახევარი საათი; კიდევ კარგად ჩავზილოთ, ცოტა ხანს გავახეროთ ცეცხლზე და ამოვილოთ ოეფშებზე წყალში ამოვლებული ჩოგნით. ფქვილის ჩაზელის შემდეგ წელის ჩამატება აღარ შეიძლება.

## ელარჯი

მოვხარშოთ დომი ჩვეულებრივი წესით; მერე გადმოვიდოთ ცეცხლი-დან, ჩავეაროთ შიგ თხელ ნაჭრებად დაჭრილი მსუქანი ჭყინტი ყველი ან ახლად ამოყვანილი სულგუნი. სელთით კარგად ავურიოთ, დავდგათ ისევ ცეცხლზე და ვურიოთ, სანამ ყველი კარგად არ ჩაიზილება დომში.

## ჩემქა

ქვაბში ჩავასხაოთ რქე და ავადულოთ. მერე ჩავეაროთ შიგ თხელ ნაჭრებად დაჭრილი ჭყინტი ყველი და სწრაფად დავიწყოთ სელთით დაზელვა. ამის შემდეგ ჩავეაროთ შიგ წმინდად გაცრილი სიმინდის ფქვილი და თან ვურიოთ, კარგად დავზილოთ და ნელ ცეცხლზე გავახეროთ რამოდენიმე წუთი, რომ კარგად მოიშუშოს. ჩემქა დომის სისქისა უნდა იყოს.

## თიხის კეცებზე გამომცხვარი მჰადი

3 ჩაის ჭიქა გაცრილი სიმინდის ფქვილი ჩავეაროთ ჯამში, დავასხაოთ 1,5 ჩაის ჭიქა წყალი (უკეთესია თბილი წყალი) და მოვზილოთ კარგი ცომი.

გაცაცხელოთ ორი კეცი, ჩავაპრათ ცომი ერთ კეცში, დავახუროთ ზედ მეორე ცხელი კეცი, დავაყაროთ ზევიდან ნაცრიანი ნაკვერჩხალი და გამოვაცხოთ.

